

მიგრაციის
საერთაშორისო
სამართალი

მიგრაციის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია



მიგრაციის
საკითხთა
სამთავრობო
კომისია



სახელმწიფო საჩუქრის
განვითარების სააგენტო

მიგრაციის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის სამდივნოსგან

მსოფლიოში დინამიკურად ცვალებად პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ თუ კულტურულ გარემოსთან ერთად იცვლება მიგრაციის ხასიათი და დაფარვის არეალი. პარალელურად, იზრდება მიგრაციის კომპლექსური მართვის პროცესში ჩართულ ქვეყანათა რიცხვი, რაც აუცილებელს ხდის საერთო ენაზე დაფუძნებული კომუნიკაციის დამკვიდრებას ყველა მონაწილე მხარეს შორის როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე. საქართველოსთვის, როგორც ამ პროცესში ჩართული შედარებით ახალი მხარისათვის, მნიშვნელოვანია საწყის ეტაპზე შეიმუშაოს გამართული ტერმინოლოგიური ბაზა მიგრაციის სფეროში, რომელიც შეჯერდება უკვე აპრობირებულ ტერმინებთან.

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ შექმნილ - მიგრაციის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონის ქართულენოვან ვარიანტს. მისი მიზანია, ქართველ მკითხველს მიაწოდოს ვრცელი ინფორმაცია მიგრაციის სფეროში საერთაშორისოდ აღიარებულ ენაზე და გახდეს ეროვნული ტერმინოლოგიური ლექსიკონის შექმნისთვის აუცილებელი ერთ-ერთი საბაზისო წყარო. ამასთან, თარგმანის პროცესში მოხდა შინაარსობრივი კუთხით ტერმინთა მაქსიმალური დაახლოება ქართულ ანალოგებთან, რითაც ერთი მხრივ, შენარჩუნდა საერთაშორისო განზომილება, ხოლო მეორე მხრივ, არ დარღვეულა შესაბამისობა საქართველოში მიღებულ მოდელებთან. ამავდროულად, ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით, ორიგინალ ტექსტს დაემატა რიგი ტერმინები, რომელთა განმარტებისას მათი მნიშვნელობა საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით მიეთითა.

თავად ლექსიკონის შექმნის წინაისტორიასა და მიზანზე დეტალურადაა მოთხრობილი ქვემოთ, მისი რედაქტორის რიშარ პერუშუს წინათქმაში.

აქვე გვსურს მადლობა გადავუხადოთ მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციას, რომლის ნებართვის საფუძველზეც შეიქმნა ლექსიკონის ქართულენოვანი ვერსია.

ქართული ტექსტის ავტორი:

მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის სამდივნო

მისამართი: თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. 67ა

ტელ: 0 32 2 40 10 10 (35 93)

ელფოსტა: SCMI-Secretariat@sda.gov.ge

ვებგვერდი: www.migration.commission.ge

სარედაქციო ჯგუფი:

მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის სამდივნო:

გიორგი ჯაში (სამდივნოს აღმასრულებელი მდივანი), ნატალია ჩუბინიძე (მდივანი მონაცემთა მოგროვებისა და დამუშავების საკითხებში), თემურ გოგინოვი (მდივანი ანალიტიკურ საკითხებში), გვანცა აბესაძე (მდივანი იურიდიულ საკითხებში), თამარ ზურაბიშვილი (მკვლევარი). ასევე, მოწვევით რუსუდან ტუმური (იურისტი).

თარგმანი:

ნინო სანიკიძე

ლექსიკოგრაფი:

ხათუნა გურიელი

რედაქტორი:

ია ლაღუა

მიგრაციის საკითხთა
სამთავრობო კომისია:

იუსტიციის სამინისტრო; შინაგან საქმეთა სამინისტრო; საგარეო საქმეთა სამინისტრო; ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო; დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი; შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი; ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; ფინანსთა სამინისტრო; განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; სტატისტიკის ეროვნული სამსახური; რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

ითარგმნა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის
„სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ინსტიტუციური განვითარების ხელშეწყობა“
ფარგლებში

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM) საქმიანობის განხორციელებისას ხელმძღვანელობს პრინციპით, რომლის თანახმად მოწესრიგებული და ჰუმანური მიგრაცია პასუხობს როგორც მიგრანტთა, ასევე მთლიანად საზოგადოების საჭიროებებს. წარმოადგენს რა საერთაშორისო მთავრობათაშორის ორგანიზაციას, IOM თანამშრომლობს საერთაშორისო პარტნიორებთან, რათა ხელი შეუწყოს მიგრაციით განპირობებული პრაქტიკული ამოცანების გადაჭრას, ცნობიერების ამაღლებას მიგრაციის საკითხებში, სოციალური და ეკონომიკური განვითარების სტიმულირებას მიგრაციის შედეგად და მიგრანტთა ღირსებისა და კეთილდღეობის დაცვას.

გამომცემელი: მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია

17 route des Morillons
1211 Geneva 19
Switzerland
ტელ: tel: +41.22.717 91 11
ფაქსი: +41.22.798 61 50
ელფოსტა: hq@iom.int
ვებგვერდი: <http://www.iom.int>

ISSN 1813-2278

© მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია

ყველა უფლება დაცულია. აკრძალულია პუბლიკაციის გადაბეჭდვა, საინფორმაციო-სამიუზეო სისტემაში განთავსება ან ნებისმიერი – ელექტრონული, მექანიკური, ფოტოკოპირებით, ჩაწერით ან სხვა სახით გადაცემა გამომცემლის წინასწარი ნებართვის გარეშე.

მიგრაციის ტენდენცია განმარტავილი დაქსიქონი

მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია



მიგრაციის
საკითხთა
სამთავრობო
კომისია



სახელმწიფო სერვისების
განვითარების სააგენტო

წინათქმა

მიგრაცია სულ უფრო მზარდად აღიქმება, როგორც მოვლენა, რომელსაც გლობალური მიდგომა და კოორდინირებული გადაწყვეტილებები ესაჭიროება. სახელმწიფოები მიგრაციის საკითხებს არა მხოლოდ ორმხრივ, არამედ რეგიონულ და ბოლო დროს, გლობალურ დონეზე განიხილავენ. აღნიშნული კოორდინაციისა და საერთაშორისო თანამშრომლობის წარმატების უზრუნველსაყოფად აუცილებელია საყოველთაოდ გასაგები ენის არსებობა. წინამდებარე ლექსიკონის მიზანია, მიგრაციის სფეროში არსებული მრავალგვარი ტერმინისა და კონცეფციის გათვალისწინებით, შეასრულოს სასარგებლო გზამკვლევის როლი და ამით ხელი შეუწყოს საერთაშორისო თანამშრომლობის პროგრესს.

ლექსიკონზე მუშაობა საკმაოდ დიდ ხანს გაგრძელდა. დოკუმენტის არაოფიციალური ვერსიები მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციამ ჯერ კიდევ 70-იან წლებში შეიმუშავა, რომლებსაც, ძირითადად, ორგანიზაციის შიდა მოხმარებისთვის იყენებდნენ. არსებული მასალების თავმოყრის მცდელობა მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ვენის ტექნიკური თანამშრომლობის ცენტრის მიერ 80-იანი წლების ბოლოს განხორციელდა, რის შედეგადაც 2001 წელს გამოქვეყნდა “მიგრაციის ცნობარი” პ. ჯ. ვან კრიკენის რედაქტორობით. IOM-ის მომდევნო ინიციატივის შედეგად, რომელიც მიგრაციის საკითხთა საერთაშორისო სამართლის სფეროში ორგანიზაციის მეტ ჩართულობას გულისხმობდა, გადაწყდა აღნიშნული ლექსიკონის გამოშვება და მიგრაციის სფეროში გამოყენებული ტერმინოლოგიის ერთ, საბოლოოდ შეთანხმებულ დოკუმენტად გაერთიანება. აღნიშნული სამუშაოს მისცემდა შესაბამის სპეციალისტებს, მიგრაციის სფეროში მომუშავე სახელმწიფო მოხელეებს, სტუდენტებს და სხვა დაინტერესებულ მომხმარებლებს, ეხელმძღვანელათ ერთიანი, სარწმუნო განმარტებითი რესურსით. წინამდებარე გამოცემა არ შეიძლება ჩაითვალოს ამომწურავად და ტექსტის ირგლივ არსებული ნებისმიერი შენიშვნა და მოსაზრება გათვალისწინებული იქნება მომდევნო, უფრო სრულყოფილ გამოცემაზე მუშაობისას.

ლექსიკონზე მუშაობის წამოწყებიდან მალევე ნათელი გახდა, რომ მიგრაციის სფეროში არსებულ ტერმინთა განმარტებები ხშირად ბუნდოვანი, წინააღმდეგობრივი და ურთიერთგამომრიცხავია. არ არსებობს საყოველთაოდ შეთანხმებული განმარტებები, რაც, ნაწილობრივ, განპირობებულია იმით, რომ მიგრაცია ტრადიციულად მხოლოდ ადგილობრივ, ეროვნულ დონეზე რეგულირდებოდა; ამდენად, მიგრაციის სფეროს ტერმინები სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული მნიშვნელობით გამოიყენება. ამას გარდა, აღნიშნული ტერმინების განმარტებები შეიძლება განსხვავდებოდეს ერთი და იგივე ქვეყანაშიც კი, მათი მნიშვნელობისა და პრაქტიკული გამოყენების მიხედვით. განმარტებები – და ეს ეხება ნებისმიერ ტერმინოლოგიას და არა მხოლოდ მიგრაციის სფეროში – შეიძლება განსხვავდებოდეს კონკრეტული ხედვის და მიდგომის შესაბამისად. მიგრაციის საკითხების რეგულირებაში ჩართულია სხვადასხვა მხარე, როგორცაა გამგზავნი და მიმღები ქვეყნების მთავრობები, პოლიცია და სასაზღვრო უწყებები, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები და თავად მიგრანტები. საყოველთაოდ შეთანხმებულ განსაზღვრებათა არარსებობისას თითოეულმა უწყებამ შეიძლება თავად, ოფიციალურად თუ არაოფიციალურად, შეიმუშაოს განმარტებები, საკუთარი თვალთახედვის მიხედვით. ასე მაგალითად, არსებობდა მრავალი სხვადასხვა განმარტება ტერმინისა „ტრეფიკინგი“, რომლებიც არცთუ დიდი ხნის წინ ერთ-ერთ

საერთაშორისო ხელშეკრულებაში შეჯერდა და განმტკიცდა ერთი ფორმალური ვარიანტის სახით. თუმცა, ბევრი სხვა ტერმინის საყოველთაოდ აღიარებული განმარტებები ჯერაც არ არსებობს. წინამდებარე ლექსიკონში წარმოდგენილია ტერმინთა საერთაშორისოდ მიღებული განმარტებები, ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში მოცემულია ზოგადი განმარტება და მითითებულია ალტერნატიული განსაზღვრებების არსებობა.

წინამდებარე პუბლიკაციის შედგენისას არსებული კიდევ ერთი გამოწვევა გამოიხატა ერთი და იმავე ან მსგავსი მოვლენის აღმნიშვნელი რამდენიმე ტერმინის არსებობაში. მაგალითად, არსებობს ნიუანსური განსხვავებები ჩამოთვლილ ტერმინებს შორის: არალეგალური მიგრაცია („illegal migration“), ფარული მიგრაცია („clandestine migration“), არადოკუმენტირებული (უსაბუთო) მიგრაცია („undocumented migration“) და არარეგულარული მიგრაცია („irregular migration“), მაგრამ, ხშირ შემთხვევაში, ეს ტერმინები გამოიყენება არათანმიმდევრულად, რის შედეგადაც ხდება ერთი ტერმინის ჩანაცვლება მეორეთი. ამდენად, ზოგი მათგანის შემთხვევაში გარდაუვალი აღმოჩნდა ჯვარედინი მითითებების გაკეთება, რაც მკითხველს გზას გაუკვლევს ალტერნატიული ან ურთიერთჩანაცვლებადი ტერმინებისკენ.

დაბოლოს, მსურს მადლიერებით მოვიხსენიო შაილა ვოხრა, ჯილიან რედპასი და კატარინა ტომოლოვა, ასევე ჩემი კოლეგები იურიდიული სამსახურიდან, რომლებმაც არ დაიშურეს პროფესიონალიზმი, გამოიჩინეს დიდი პასუხისმგებლობა და თავიანთი ხალისიანი განწყობითა და სიბეჯითით მნიშვნელოვნად შეუწყვეს ხელი ლექსიკონზე მუშაობის წარმატებით დასრულებას.

რედაქტორი

რიშარ პერუშუ

A

abduction	[æb'dʌkʃən]	გატაცება – პირის იძულებით ან მოტყუებით შეპყრობა და გადაყვანა. <i>იხ. ასევე: გატაცება გამოსასყიდის მიღების მიზნით (kidnapping), ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) (trafficking in persons / in human beings)</i>
abscond	[æb'skɒnd]	გაქცევა / მიმაღვა – თავის არიდება მართლმსაჯულებისთვის, სასამართლოში არგამოცხადება თავდებით გათავისუფლების შემდეგ.
accord	[ə'kɔ:d]	შეთანხმება <i>იხ. საერთაშორისო ხელშეკრულება (treaty)</i>
acculturation	[əkʌltʃə'reɪʃən]	აკულტურაცია (კულტურათა შერწყმა) – მოცემული კულტურის წარმომადგენელი ცალკეული პირების, ჯგუფების ან კლასების მიერ უცხო კულტურის ელემენტების (იდეების, ენის, ღირებულებების, ნორმების, ქცევის, ინსტიტუტების) თანდათანობითი შეთვისება. ნაწილობრივი ან სრული ადაპტაცია განპირობებულია კონტაქტებით და ურთიერთობებით განსხვავებულ კულტურათა შორის მიგრაციისა და სავაჭრო ურთიერთობათა შედეგად.
adjudication	[ə,dʒ(j)ʌ:dʒi'keɪʃən]	გადაწყვეტილება საიმიგრაციო სტატუსის მინიჭების თაობაზე – გადაწყვეტილება, რომელიც ადგენს, კვალიფიცირდება თუ არა განმცხადებელი ვიზის, ლტოლვილის სტატუსის ან სხვა საიმიგრაციო სტატუსის მისაღებად, რომელსაც იგი ითხოვს.
adjudicator	[ə'dʒ(j)ʌ:dʒikeɪtə(r)]	გადაწყვეტილების მიმღები პირი (საიმიგრაციო სტატუსის მინიჭების თაობაზე) – თანამდებობის პირი, რომელსაც გააჩნია საიმიგრაციო სტატუსის მინიჭების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელი უფლებამოსილება.
adjustment of status	[ə'dʒʌstmənt əv' stɛɪtəs]	სტატუსის კორექტირება <i>იხ. ასევე: სტატუსის შეცვლა (change of status)</i>
admission	[əd'mɪʃən]	ქვეყანაში დაშვება – ნებართვა ქვეყანაში შესვლაზე. უცხოელს „მიეცა ნებართვა ქვეყანაში შესვლაზე“ (“is admitted”), თუ მან გადაკვეთა სასაზღვრო-გამტარი პუნქტი (საჰაერო, სახმელეთო თუ საზღვაო) და მას სასაზღვრო კონტროლის განმახორციელებელმა უფლებამოსილმა პირებმა ქვეყანაში შესვლის ნება დართეს. უცხოელი, რომელმაც ფარულად გადაკვეთა ქვეყნის საზღვარი, არ ითვლება ქვეყანაში დაშვებულად.

adoption	[ə'dɒpʃən]	იხ. ასევე: სასაზღვრო კონტროლის განმახორციელებელი უფლებამოსილი პირები (<i>border officials</i>), სასაზღვრო-გამტარი პუნქტი (<i>border cross point</i>), შესვლა (<i>entry</i>), უარი ქვეყანაში დაშვებაზე (<i>non-admission</i>) შვილად აყვანა – 1) კანონით (საოჯახო სამართალი) დადგენილი პროცესი, რომელიც ითვალისწინებს ბავშვის ბიოლოგიური მშობლების უფლებებისა და მოვალეობების შეწყვეტას და მშვილელთათვის შესაბამისი უფლებებისა და მოვალეობების მინიჭებას; 2) საერთაშორისო სამართალში ეს ტერმინი გამოიყენება მოლაპარაკების მხარეთა თანხმობის აღსანიშნავად შემოთავაზებული ტექსტის თაობაზე.
affidavit of support	[æfi'deɪvɪt əv sə'pɔ:t]	წერილობითი (მხარდამჭერი) განცხადება – დამოწმებული იურიდიული დოკუმენტი, რომელსაც, ჩვეულებრივ, ხელს აწერს სპონსორი იმის დასადასტურებლად, რომ აუნაზღაურებს მიგრანტს ქვეყანაში შესვლის ნებართვის მოპოვებასთან დაკავშირებულ სრულ ხარჯებს. აღნიშნულ მხარდაჭერას მოითხოვენ ხანდაზმული მიგრანტები, ასევე მიგრანტები, რომლებსაც, ავადმყოფობის გამო, არ შეუძლიათ საკუთარი ინტერესების დაცვა.
agreement	[ə'ɡri:mənt]	შეთანხმება – ურთიერთგაგება (წერილობითი ან სიტყვიერი) ორ ან მეტ მხარეს შორის, რომელმაც იურიდიულად ხელშემკვრელი ხასიათი უნდა მიიღოს.
alien	['eɪliən]	უცხოელი – პირი, რომელიც არ არის მოცემული ქვეყნის მოქალაქე.
amnesty	[ˈæmniːsti]	იხ. ასევე: უცხო ქვეყნის მოქალაქე (<i>foreigner</i>), არამოქალაქე (<i>non-national</i>), უსაბუთო უცხოელი (<i>undocumented alien</i>) ამნისტია – საერთო შეწყალება, რომელიც მოიხსენიება „ლეგალიზაციასთან“ შესატყვისობით და გამოიყენება იმ პირებთან მიმართებაში, ვისაც შეუძლია დაადასტუროს, რომ ისინი გარკვეული პერიოდის განმავლობაში ცხოვრობდნენ იმ ქვეყანაში, სადაც გამოცხადებულია ამნისტია, ამ ქვეყანაში მათი ბინადრობის არალეგალური სტატუსის მიუხედავად.
ancestry based settlers	[ˈænsɪstri beɪst 'setlə(r)z]	იხ. ასევე: ლეგალიზაცია (<i>legalization</i>), რეგულარიზაცია (<i>regularization</i>) წარმომავლობის საფუძველზე დასახლებული პირები – უცხო ქვეყნის მოქალაქეები, რომლებსაც მიეცათ სხვა ქვეყანაში შესვლის ნებართვა ამ ქვეყანასთან ისტორიული, ეთნიკური ან სხვა კავშირების გამო და რომელიც ამ კავშირების საფუძველზე აღნიშნულ

		პირებს დაუყოვნებლივ ანიჭებს ხანგრძლივი ბინადრობის უფლებას, ან ჩასვლიდან მოკლე ხანში ანიჭებს მოქალაქეობას აღნიშნული უფლების არსებობის შემთხვევაში.
appeal	[ə'pi:l]	<i>იხ. ასევე: უცხოელი (alien), უცხო ქვეყნის მოქალაქე (foreigner), მოქალაქე (national), მოქალაქეობა (nationality)</i> გასაჩივრება (აპელაცია) – გადაწყვეტილების გადასინჯვის მიზნით დადგენილი პროცედურა, რომელიც გულისხმობს უფრო მაღალი ინსტანციისადმი მიმართვას, რაც ხშირად გამოიხატება დაბალი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გადასინჯვის ან ანუღირების მოთხოვნის შეტანით უფრო მაღალი ინსტანციის სასამართლოში.
applicant	[ˈæplɪkənt]	განმცხადებელი – პირი, რომელიც სახელმწიფოსგან ოფიციალურად მოითხოვს სახელმწიფოებრივი ან სამართლებრივი/იურიდიული სახის ქმედებას, როგორცაა ლტოლვილის სტატუსის მინიჭება, ვიზის ან სამუშაო ნებართვის გაცემა.
application	[æplɪ'keɪʃən]	<i>იხ. ასევე: ლტოლვილი (refugee), ვიზა (visa), შრომის ნებართვა (working permit)</i> განცხადება – თხოვნა (ჩვეულებრივ, წერილობითი), რომლითაც პირი ან ორგანიზაცია მიმართავს სახელმწიფო ორგანოს რაიმე ქმედების განხორციელების შესახებ.
arbitrary	[ˈɑːbitrəri]	<i>იხ. ასევე: მოთხოვნა (claim)</i> თვითნებური – დაუსაბუთებელი ქმედება, დაკავშირებული უსამართლობის, არაპროგნოზირებულობის, დაუსაბუთებლობის და ვოლუნტარიზმის კონცეფციებთან.
armed conflict	[ˌɑːmd 'kɒnflikt]	შეიარაღებული კონფლიქტი – ყველა შემთხვევა გამოცხადებული ომის ან შეიარაღებული კონფლიქტისა, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას ორ ან მეტ სახელმწიფოს შორის, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც საომარ მდგომარეობას ერთ-ერთი მათგანი არ აღიარებს (<i>იხ. 1949 წლის ჟენევის I-IV კონვენციების მე-2 მუხლი, საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტი</i>). შეიარაღებული კონფლიქტი წარმოიქმნება მაშინ, როდესაც სახელმწიფოები ერთმანეთს შეიარაღებულ ძალებს დაუპირისპირებენ, ან როდესაც ადგილი აქვს ხანგრძლივ შეიარაღებულ დაპირისპირებას სახელმწიფო უწყებებსა და ორგანიზებულ შეიარაღებულ დაჯგუფებებს შორის, ან თავად ამ დაჯგუფებებს შორის ამ სახელმწიფოში (<i>ტადიჩის საქმე #IT-94-1-AR 72, გვ. 35, სააპელაციო პალატა,</i>

arrival / departure card	[ə'raɪvəl / dɪ'pɑ:tʃə(r)kɑrd]	საერთაშორისო სისხლის სამართლის დანაშაულის ტრიბუნალი ყოფილი იუგოსლავიისთვის (ICTY) - არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტი) ჩასვლის / გამგზავრების ბარათი – ბარათი, რომელიც ივსება პირის მიერ დანიშნულების ქვეყანაში ჩასვლამდე ან ჩასვლისას და რომელიც წარედგინება (პასპორტთან და მოთხოვნის შემთხვევაში ვიზასთან ერთად) – საკონტროლო-გამშვებ პუნქტში მომსახურე უფლებამოსილ პირებს.
assets forfeiture	['æsɪts 'fɔ:fitʃə(r)]	იხ. ასევე: საკონტროლო-გამშვები პუნქტი (checkpoint), პასპორტი (passport), ვიზა (visa) ქონების ჩამორთმევა – სახელმწიფოს მიერ საკუთრების ჩამორთმევა, რომელიც ფიგურირებს ან რომლის მფლობელიც ჩართულია დანაშაულებრივ საქმიანობაში; მაგალითად, კონფისკაცია სატრანსპორტო საშუალებისა, რომელიც გამოიყენებოდა სახელმწიფოში უცხო ქვეყნის მოქალაქეთა უკანონოდ გადაყვანის ან ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მიზნით.
assimilation	[ə,sɪmɪ'leɪʃən]	იხ. ასევე: საზღვარზე უკანონოდ გადაყვანა (smuggling), ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) (trafficking in persons / in human beings) ასიმილაცია – ერთი ეთნიკური ან სოციალური ჯგუფის, ჩვეულებრივ, უმცირესობის, ადაპტირება მეორესთან. ასიმილაცია ნიშნავს ენის, ტრადიციების, ღირებულებების და ქცევის ან ძირითადი ცხოვრებისეული ინტერესების გათავისებას და კუთვნილების განცდის შეცვლას. ასიმილაცია უფრო ღრმა მოვლენაა, ვიდრე აკულტურაცია.
assisted migration	[ə'sɪstɪd maɪ'greɪʃən]	იხ. ასევე: აკულტურაცია (acculturation), ინტეგრაცია (integration) მიგრაციის ხელშეწყობა – მიგრანტთა გადაადგილება, რომელიც ხორციელდება სახელმწიფოს, სახელმწიფოთა ან საერთაშორისო ორგანიზაციის ხელშეწყობით, როგორც სპონტანური, დამოუკიდებელი მიგრაციის საწინააღმდეგო პროცესი.
assisted voluntary return	[ə'sɪstɪd 'vɒləntəri ri'tʃɪn]	იხ. ასევე: ნებაყოფლობით დაბრუნებაში ხელშეწყობა (assisted voluntary return), სპონტანური მიგრაცია (spontaneous migration) ნებაყოფლობით დაბრუნებაში ხელშეწყობა – მიგრანტთა იმ კატეგორიისთვის გაწეული ორგანიზაციული ან ფინანსური დახმარება, ვისაც უარი ეთქვა თავშესაფრის მიღებაზე, უკანონოდ იქნა

გადაყვანილი საზღვარზე ან არის ტრეფიკინგის მსხვერპლი, ასევე, უსახსროდ და საცხოვრებლის გარეშე დარჩენილი სტუდენტებისთვის, კვალიფიციური მოქალაქეებისა ან სხვა მიგრანტებისთვის, რომელთაც არ შეუძლიათ ან არ სურთ მასპინძელ ქვეყანაში დარჩენა და საკუთარი ნებით ბრუნდებიან წარმოშობის ქვეყნებში.

იხ. ასევე: რეპატრიაცია (repatriation), დაბრუნება (return)

asylum (diplomatic)

[ə'saɪləm
dɪpləʊ'mætɪk]

თავშესაფარი (დიპლომატიური) – საერთაშორისო დაცვა, რომელსაც სახელმწიფო ანიჭებს პირს თავისი ტერიტორიის საზღვრებს გარეთ, სადაც ვრცელდება იმუნიტეტი იმ სახელმწიფოს იურისდიქციისგან, რომლის მხრიდანაც ხორციელდება ამ პირის დევნა და რომელიც, შესაბამისად, ითხოვს მისგან დაცვას. დიპლომატიური თავშესაფარი შეიძლება პირს მიეცეს დიპლომატიური წარმომადგენლობების და წარმომადგენლობათა ხელმძღვანელების პირად რეზიდენციათა ტერიტორიაზე, ასევე სამხედრო-საზღვაო და საჰაერო ხომალდებზე. პირისთვის დიპლომატიური თავშესაფრის მიცემა აკრძალულია შენობებში, სადაც განლაგებულია საერთაშორისო ორგანიზაციები და საკონსულო დაწესებულებები. არ არსებობს დიპლომატიური თავშესაფრის უფლება, ისევე, როგორც არ არსებობს სახელმწიფოს ვალდებულება, უზრუნველყოს პირი დიპლომატიური თავშესაფრით.

იხ. ასევე: თავშესაფარი (ტერიტორიული) asylum (territorial), გაძევების დაუშვებლობა (non-refoulement), თავშესაფრის უფლება (right of asylum)

asylum (territorial)

[ə'saɪləm tɛrɪ'tɔəriəl]

თავშესაფარი (ტერიტორიული) – საერთაშორისო დაცვა, რომელსაც სახელმწიფო ანიჭებს თავის ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის მოქალაქეს, რომელიც იდევნება წარმოშობის ქვეყნის მიერ. სახელმწიფოს მიერ უცხოელისთვის თავშესაფრის მინიჭება ხორციელდება გაძევების დაუშვებლობის საფუძველზე, რის შედეგად პირი, ასევე, სარგებლობს რიგი საერთაშორისოდ აღიარებული ნორმებით.

იხ. ასევე: თავშესაფარი (დიპლომატიური) (asylum (diplomatic)), გაძევების დაუშვებლობა (non-refoulement), თავშესაფრის უფლება (right of asylum)

asylum seekers

[ə'saɪləm 'si:kə(r)z]

თავშესაფრის მაძიებლები – პირები, რომლებსაც სურთ ლტოლვილის სტატუსის მიღება და ელოდებიან გადაწყვეტილებას თავიანთ

განცხადებებზე ლტოლვილის სტატუსის მიღების შესახებ საერთაშორისო და ადგილობრივი საკანონმდებლო ნორმების შესაბამისად. უარყოფითი გადაწყვეტილების შემთხვევაში მათ უნდა დატოვონ ქვეყანა, ან შესაძლოა, გამეფებულ იქნან ქვეყნიდან ისევე, როგორც ქვეყანაში არალეგალურად მყოფი ნებისმიერი უცხოელი, იმ შემთხვევის გარდა, თუ დარჩენის ნებართვა გაიცემა ჰუმანიტარულ ან სხვა მსგავს მოსაზრებათა საფუძველზე.

იხ. ასევე: განცხადება (application), უცხოელი (alien), ლტოლვილი (refugee), თავშესაფრის უფლება (right of asylum)

B

best practices	[best' præktɪsɪz]	საუკეთესო პრაქტიკა – არსებული ნორმების და პრინციპების წარმატებული გამოყენების გზები და საშუალებები როგორც საერთაშორისო, ასევე ეროვნულ დონეზე. საუკეთესო პრაქტიკა შესაძლოა გამოყენებულ იქნეს სამოქმედო დირექტივების, ქცევის კოდექსების ან არასავალდებულო ხასიათის სხვა დოკუმენტების („რბილი კანონმდებლობა“) სახით, მაგრამ ამავედროულად, არ უნდა გამოიწვიოს მოქმედი კანონმდებლობის შესუსტება ან გაუქმება. საუკეთესო პრაქტიკას ახასიათებს: ნოვატორული ხასიათი, შემოქმედებითი გადაწყვეტილებები, დადებითი გავლენა მიგრანტთა უფლებების დაცვის კუთხით, მდგრადი ეფექტი, განსაკუთრებით, თავად მიგრანტთა ჩართულობის დროს და წარმატებული დანერგვის პოტენციალი.
bilateral	[baɪ'lætərəl]	ორმხრივი - ეხება ორ მხარეს ან ორ სახელმწიფოს. <i>იხ. ასევე: მრავალმხრივი (multilateral), საერთაშორისო ხელშეკრულება (treaty)</i>
biometrics	[baɪəʊ'mɪtrɪks]	ბიომეტრია – გაზომვადი ბიოლოგიური მახასიათებლების შესწავლა. „ბიომეტრული მაიდენტიფიცირებლები“ წარმოადგენს ინფორმაციას, რომელშიც კოდირებულია ადამიანის უნიკალური ბიოლოგიური სტრუქტურა (ე.ი. თითების ანაბეჭდები, თვალის გუგის ან ხმის სკანირებული გამოსახულებები). მთელ რიგ სახელმწიფოთა მიერ დაიწყო ბიომეტრიის, როგორც უსაფრთხოების გაუმჯობესებული ზომის გამოყენება პასპორტების, ვიზების ან ბინადრობის მოწმობების გაცემისას.
birth certificate	[bɜːθ sə'tɪfɪkət]	დაბადების მოწმობა – ორიგინალი დოკუმენტი, გაცემული სამთავრობო ან რელიგიური უწყებების მიერ, რომელიც <i>inter alia</i> შეიცავს მონაცემებს, თუ როდის და სად დაიბადა აღნიშნული პირი.

blue card	[blu 'kard]	ლურჯი ბარათი - ევროკომისიის დირექტივით (2009/50/EC) დამტკიცებული სამუშაო ნებართვა, რომელიც კვალიფიცირებულ არამოქალაქეებს ევროკავშირის წევრი ქვეყნების (დანის, ინგლისის გაერთიანებული სამეფოსა და ირლანდიის რესპუბლიკის გარდა) ტერიტორიაზე ცხოვრების და მუშაობის უფლებას ანიჭებს. ნებართვა გაიცემა ორი წლის ვადით და შეიძლება განახლდეს ვადის ამოწურვისას. ლურჯი ბარათის მფლობელები სარგებლობენ ასევე რიგი უფლებებით, როგორიცაა, მაგ., ოჯახის გაერთიანების პრიორიტეტული უფლება და ევროკავშირის წევრ ქვეყნებში დასაქმების მიზნით გადაადგილების უფლება. (რომის ხელშეკრულების მუხლი 63 (3)(ა) და 4).
bona fide	[,bʌnə 'faɪdɪ]	<i>იხ. ასევე მწვანე ბარათი (green card)</i> კეთილსინდისიერი (ლათ.) – „პატიოსანი განზრახვით“; თაღლითობის და მოტყუების გარეშე; გულწრფელი, ნამდვილი.
bona fide applicant	[,bʌnə 'faɪdɪ 'æplɪkənt]	<i>იხ. ასევე: არაკეთილსინდისიერი (mala fide)</i> კეთილსინდისიერი განმცხადებელი – პირი, რომელსაც ქვეყანაში შესვლა ნამდვილად კანონიერი საფუძვლებით სურს.
bond	[bɒnd]	გირაოს ფინანსური გარანტია – ფულადი თანხა, რომელსაც სახელმწიფო გირაოს სახით ახდევინებს უცხოელს იმისთვის, რომ ამ უკანასკნელმა ნამდვილად შეასრულოს მოთხოვნილი ქმედება, რაც, ჩვეულებრივ, ქვეყნის დატოვებაში მდგომარეობს. გამგზავრებასთან დაკავშირებული ვალდებულებითი გირაოს თანხის დაკავება შეიძლება მოხდეს ვიზის გაცემისას ან ქვეყანაში შესვლისას. გირაოს სახით დაკავებული თანხის დაბრუნება, ჩვეულებრივ, ხდება გამგზავრების ფაქტის მტკიცებულების წარმოდგენისას, მაგალითად, თავის საცხოვრებელ ქვეყანაში აღნიშნული სახელმწიფოს საკონსულო დაწესებულებაში ვიზიტის საფუძველზე.
bondage	[ˈbɒndɪdʒ]	დამოკიდებული (იძულებითი) მდგომარეობა – მდგომარეობა, როდესაც ერთი პირი იმყოფება მეორე პირის კონტროლის ქვეშ.
bonded labour	[ˈbɒndɪd 'leɪbə(r)]	<i>იხ. ასევე: იძულებითი შრომა (bonded labour), სავალო კაბალა (debt bondage)</i> იძულებითი შრომა – მომსახურება, რომელსაც პირი ეწევა ეკონომიკური მიზეზების, კერძოდ, სესხის ან წინასწარ აღებული ავანსის გამო დამოკიდებულ მდგომარეობაში ყოფნის (იძულების) შედეგად. იმ

		შემთხვევაში, როდესაც დამოკიდებულების ძირითადი მიზეზი ვალია, ეს ნიშნავს, რომ მუშაკი (ან მასზე დამოკიდებული ოჯახის წევრები ან მემკვიდრეები) ფინანსური ვალდებულებით დაკავშირებულია კონკრეტულ კრედიტორთან განსაზღვრული ან განუსაზღვრელი დროით მანამ, სანამ არ მოხდება ვალის დაფარვა. <i>იხ. ასევე: დამოკიდებული (იძულებითი) მდგომარეობა (bondage), სავალო კაბალა (debt bondage), შრომითი მიგრანტი (migrant worker)</i>
border	['bɔ:də(r)]	საზღვარი – ხაზი, რომელიც ყოფს ერთი სახელმწიფოს სახმელეთო ან საზღვაო ტერიტორიას მეორისგან. [GEO]: ხაზი, ან ამ ხაზის გასწვრივ გამავალი ვერტიკალური სიბრტყე, რომელიც ქვეყნის ტერიტორიას ხმელეთს, წყალს, წიალს და საჰაერო სივრცეს გამოყოფს მოსაზღვრე სახელმწიფოს ტერიტორიისგან.
border control	['bɔ:də(r) kən'trəʊl]	<i>იხ. ასევე: სასაზღვრო ზოლი (border line)</i> სასაზღვრო კონტროლი – სახელმწიფოს მიერ თავის ტერიტორიაზე პირთა შესვლის რეგულირება, როგორც სუვერენიტეტის გამოხატულება.
border cross point	['bɔ:də(r) 'krɒs pɔɪnt]	<i>იხ. ასევე: საზღვრის მართვა (border management)</i> [GEO]: სასაზღვრო-გამტარი პუნქტი – საერთაშორისო მიმოსვლისთვის ნებადართული გზატკეცილი ან გზის მონაკვეთი, რკინიგზის სადგურის, პორტის, ნავსადგურის, აეროპორტის (აეროდრომის) ტერიტორიის ნაწილი, სადაც ხორციელდება საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებული კონტროლი.
border line	['bɔ:də(r) laɪn]	<i>იხ. ასევე საზღვრის კონტროლის განმახორციელებელი უფლებამოსილი პირები (border officials), საკონტროლო-გამშვები პუნქტი (checkpoint)</i> [GEO]: სასაზღვრო ზოლი – არა უმეტეს 500 მეტრის სიგრძის სასაზღვრო ზონის ნაწილი, რომელიც უშუალოდ ემიჯნება სახელმწიფო საზღვარს.
border management	['bɔ:də(r) 'mænɪdʒmənt]	<i>იხ. ასევე საზღვარი (border)</i> საზღვრის მართვა – ქვეყანაში საქმიანი პირების, ტურისტების, მიგრანტების და ლტოლვილების კანონიერი ნაკადების შესვლის ხელშეწყობა და უცხოელთა არალეგალური შესვლის გამოვლენა და პრევენცია. საზღვრის მართვის მიზნით განხორციელებული ზომები გულისხმობს

		სახელმწიფოთა მიერ სავიზო მოთხოვნების დაწესებას, აგრეთვე სანქციების შემოღებას სატრანსპორტო ფორმების მიმართ, რომლებიც ახორციელებენ უცხოელთა არალეგალურ შეყვანას ქვეყანაში და ასევე, საზღვაო გზით შესვლის გაკონტროლებას. საერთაშორისო სტანდარტები მოითხოვს დაბალანსებული მიდგომის გამოყენებას კანონიერი მგზავრების ქვეყანაში შესვლის ხელშეწყობასა და არაკანონიერი საფუძვლებით ან ყალბი დოკუმენტებით პირთა შესვლის პრევენციას შორის.
border officials	['bɔ:də(r) ə'fɪʃəlz]	<i>იხ. ასევე: სასაზღვრო კონტროლი (border control)</i> სასაზღვრო კონტროლის განმახორციელებელი უფლებამოსილი პირები – ზოგადი ტერმინი, რომელიც გამოიყენება უფლებამოსილ პირთა მიმართ, რომელთა ძირითადი ამოცანა სახელმწიფოს საიმიგრაციო (და შესაძლოა, საბაჟო) კანონმდებლობათა დაცვასა და აღსრულებაში მდგომარეობს. ასევე გამოიყენება ტერმინები „მესაზღვრეები“, „სასაზღვრო პოლიცია“ ან „უცხოელთა საქმეების პოლიცია“.
border zone	['bɔ:də(r) zəʊn]	<i>იხ. ასევე: საკონტროლო-გამშვები პუნქტი (checkpoint)</i> [GEO]: სასაზღვრო ზონა – სახელმწიფო საზღვრის ხაზიდან ან სანაპირო ზოლიდან ქვეყნის ტერიტორიის სიღრმეში შემავალი, არა უმეტეს 5 კილომეტრის სიგრძის სახმელეთო ზოლი, აგრეთვე საერთაშორისო აეროპორტის (აეროდრომის), რკინიგზის სადგურის, საერთაშორისო სამდინარო და საზღვაო პორტის ტერიტორიის ნაწილი, სადაც ხორციელდება საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებული საზღვაო კონტროლი.
boundary	['baʊndəri]	სასაზღვრო
brain drain	['breɪn drem]	<i>იხ. საზღვარი (border)</i> ინტელექტის გადინება – განათლებული და ნიჭიერი ადამიანების ემიგრირება წარმოშობის ქვეყნიდან მესამე ქვეყანაში, რაც განპირობებულია წარმოშობის ქვეყანაში არსებული კონფლიქტით ან შესაძლებლობათა ნაკლებობით.
brain gain	['breɪn geɪn]	<i>იხ. ასევე: ინტელექტის შემოდიდება (brain gain), ემიგრაცია (emigration), ინტელექტის გადინების უკუპროცესი (reverse brain drain)</i> ინტელექტის შემოდიდება – განათლებული და ნიჭიერი ადამიანების იმიგრირება მესამე ქვეყნიდან მიმღებ ქვეყანაში (ასევე: ინტელექტის გადინების

burden of proof	['bɜ:d(ə)n əv' pru:f]	უკუპროცესი.) <i>იხ. ასევე: ინტელექტის გადინება (brain drain)</i> მტკიცებულების ტვირთი – მხარის ვალდებულება, დაამტკიცოს საკამათო მოსაზრება ან ბრალდება. მიგრაციის კონტექსტში, მტკიცებულების ტვირთი აკისრია უცხოელს, რომელმაც უცხო ქვეყანაში შესვლისას უნდა დაამტკიცოს, რომ აქვს ქვეყანაში შესვლის უფლება და ამ ქვეყნის კანონმდებლობით აღნიშნული უფლება არ ეზღუდება.
------------------------	-----------------------	--

C

capacity building	[kə'pæsɪtɪ 'bɪldɪŋ]	შესაძლებლობათა ზრდა – მთავრობათა და სამოქალაქო საზოგადოებათა შესაძლებლობათა ზრდა ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და დამოკიდებულებათა გაღრმავების შედეგად. შესაძლებლობათა ზრდა შეიძლება გამოიხატოს მნიშვნელოვანი პროექტის შემუშავებასა და განხორციელებაში პარტნიორ მთავრობასთან ერთად, ან სხვა შემთხვევაში, ორმხრივი ან მრავალმხრივი ფორმატის მხარდაჭერაში დიალოგის წარმართვის მიზნით დაინტერესებულ უწყებათა შორის. ნებისმიერ შემთხვევაში, შესაძლებლობათა ზრდა გამიზნულია მართვის საყოველთაოდ მიღებულ სტანდარტებთან დასაახლოებლად.
carbon dioxide sensors	['kɑːbən daɪ'ɒksaɪd 'sensə(r)z]	ნახშირბადის დიოქსიდის სენსორები – მოწყობილობა (სტაციონარული ან მობილური), რომელიც გამოიყენება დახურულ კონტეინერში (სარკინიგზო ვაგონში ან სატვირთო ავტომანქანის ძარაში) ნახშირბადის დიოქსიდის შემცველობის დასადგენად. აღნიშნული სენსორები გამოიყენება საზღვარზე ადამიანების ფარულად გადაყვანის ფაქტის დასადგენად.
carrier	['kæriə(r)]	<i>იხ. ასევე: სენსორები (sensors)</i> გადამზიდი – ტერმინი „გადამზიდი“ გამოიყენება „სატრანსპორტო საშუალებასთან“ მიმართებაში და აღნიშნავს სატრანსპორტო საშუალების მფლობელს ან გადაზიდვის ტიპს. ტერმინი „გადამზიდი“, ჩვეულებრივ, გულისხმობს ავიაკომპანიას, საავტობუსო, სარკინიგზო ან საზღვაო კომპანიას. ზოგი სახელმწიფოს კანონმდებლობით, ტერმინი აღნიშნავს სატრანსპორტო საშუალების ნებისმიერ მფლობელს, რომელსაც პირი თავის ტერიტორიაზე გადაჰყავს.
carrier liability law	['kæriə(r) laɪə'bɪlɪtɪ lɔː]	<i>იხ. ასევე სატრანსპორტო საშუალება (conveyance)</i> კანონმდებლობა გადამზიდის პასუხისმგებლობის შესახებ – კანონი, რომელიც ითვალისწინებს სამართლებრივ პასუხისმგებლობას გადამყვანის მიმართ სახელმწიფოს ტერიტორიაზე შესასვლელად საჭირო ნამდვილი დოკუმენტის არმქონე პირის შემოყვანის გამო.
certificate of identity	[sə'tɪfɪkət əv aɪ'dentɪtɪ]	პირადობის დამადასტურებელი მოწმობა – დოკუმენტი (განსხვავებული პასპორტისგან), რომელსაც გასცემს სახელმწიფო პირის ქვეყანაში

		შესვლის ან ქვეყნიდან გასვლის ხელშეწყობის მიზნით.
		<i>იხ. ასევე: სამგზავრო დოკუმენტები (travel documents)</i>
chain migration	[tʃeɪn maɪˈɡreɪʃən]	ჯაჭვური მიგრაცია - პროცესი, როდესაც დანიშნულების ქვეყანაში დასახლებული პირები დახმარებას უწევენ სამშობლოში დარჩენილ ოჯახის წევრებს და ახლობლებს საზღვარგარეთ გამგზავრებაში. ეს დახმარება შეიძლება იყოს როგორც ფინანსური, ასევე მატერიალურ-ტექნიკური და ინფორმაციული. ჯაჭვური მიგრაციის შედეგად მიმღებ ქვეყნებში იქმნება ერთი და იგივე სახელმწიფოდან/რეგიონიდან ჩამოსულ იმიგრანტთა კლასტერები.
change of status	[tʃeɪndʒ əv ˈsteɪtəs]	სტატუსის შეცვლა – პროცედურა, რომელიც ქვეყანაში ლეგალურად მყოფ უცხოელს უფლებას აძლევს, მიოთხოვოს მისთვის განსხვავებული საიმიგრაციო სტატუსის მინიჭება. მაგალითად, კანონმდებლობა შეიძლება ითვალისწინებდეს დებულებას, რომელიც საშუალებას აძლევს სტუდენტური ვიზის მფლობელ არამოქალაქს, სწავლის დასრულების შემდგომ მიოთხოვოს სტატუსის შეცვლა, კერძოდ, სტუდენტური ვიზის შეცვლა სამუშაო ვიზით.
		<i>იხ. ასევე: უცხოელი (alien), საიმიგრაციო სტატუსი (immigration status), ვიზა (visa)</i>
checkpoint	[ˈtʃekpaɪnt]	საკონტროლო-გამშვები პუნქტი – ადგილი (სახმელეთო საზღვარზე, აეროპორტში ან საზღვაო პორტში), სადაც საზღვრის კონტროლზე პასუხისმგებელი პირები აწარმოებენ ქვეყანაში შემომსვლელ პირთა შემოწმებას და ახორციელებენ საბაჟო პროცედურებს.
		<i>იხ. ასევე: საზღვარი (border), სასაზღვრო კონტროლი (border control), საზღვრის კონტროლზე პასუხისმგებელი პირები (border officials), სასაზღვრო-გამტარი პუნქტი (border cross point), სასაზღვრო ზონა (border zone)</i>
child	[tʃaɪld]	ბავშვი – პირი 18 წელზე ქვემოთ იმ შემთხვევების გარდა, როდესაც შესაბამისი კანონმდებლობით, იგი სრულწლოვანებას უფრო ადრე აღწევს (<i>გაერო-ს ბავშვის უფლებების დაცვის კონვენცია, 1989 წ., მუხლი 1</i>).
		<i>იხ. ასევე: არასრულწლოვანი (minor)</i>
child adoption	[tʃaɪld əˈdɒpʃən ɪntəˈnæʃənəl]	ბავშვის (საერთაშორისო) შვილად აყვანა – ბავშვის

(international)

შვილად აყვანა უცხო ქვეყნიდან.

child exploitation

[tʃaɪld eksplɔɪ'teɪʃən]

იხ. ასევე: შვილად აყვანა (adoption)

ბავშვის ექსპლუატაცია – ბავშვის უფლებების დაცვის 1989 წლის კონვენციის და ბავშვის შრომის უკიდურესი ფორმების აკრძალვისა და დაუყოვნებლივ აღმოფხვრის ღონისძიებების შესახებ 1999 წლის კონვენციის თანახმად, ბავშვის ექსპლუატაცია გულისხმობს: ეკონომიკურ ექსპლუატაციას (ნებისმიერ სამუშაოს, რომელიც შეიძლება იყოს ბავშვებისთვის სახიფათო ან დაბრკოლება შეუქმნას განათლების მიღებაში, ზიანი მიაყენოს მათ ჯანმრთელობას ან ფიზიკურ, გონებრივ, სულიერ, ზნეობრივ ან სოციალურ განვითარებას), სექსუალური ექსპლუატაცია (ბავშვების გამოყენება სექსუალური ნიშნის შემცველი უკანონო საქმიანობის, პროსტიტუციის ან საბავშვო პორნოგრაფიის მიზნით), გატაცება, გაყიდვა ან ბავშვით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) ან ბავშვის ექსპლუატაციის ნებისმიერი სხვა ფორმა.

იხ. ასევე: გატაცება (abduction), ბავშვის შრომა (child labour), ექსპლუატაცია (exploitation), გატაცება გამოსასყიდის მიღების მიზნით (kidnapping), ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) (trafficking in persons / in human beings)

child labour

[tʃaɪld 'leɪbə(r)]

ბავშვის შრომა – ბავშვის მიერ შესრულებული ნებისმიერი შრომა, რომელიც საზიანოა მისი ჯანმრთელობისთვის, განათლებისთვის, ფიზიკური, გონებრივი, ზნეობრივი, თუ სოციალური განვითარებისთვის.

იხ. ასევე: ბავშვის ექსპლუატაცია (child exploitation), მონობა (slavery), ბავშვის შრომის უკიდურესი ფორმები (worst forms of child labour)

circular migration

['sɜːkjələ(r)
maɪ'greɪʃən]

ცირკულარული მიგრაცია – ქვეყნებს შორის ადამიანების განგრძობითი მიმოსვლა (დროებითი და ხანგრძლივი მიმოსვლის ჩათვლით), რაც ნებაყოფლობით წარმართვის შემთხვევაში, შესაძლოა, სასარგებლო აღმოჩნდეს ყველა ჩართული მხარისთვის და მოემსახუროს როგორც გამგზავნი, ასევე მიმღები ქვეყნების შრომითი ბაზრის საჭიროებებს.

იხ. ასევე: შრომითი მიგრაცია (labour migration)

citizen

['sɪtɪzən]

იხ. მოქალაქე (national)

citizenship

['sɪtɪzənʃɪp]

იხ. მოქალაქეობა (nationality)

civil and political
rights

['sɪvɪl ənd pəʊ'lɪtɪkəl
raɪts]

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები –

ჩვეულებრივ, გამოიყენება სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ 1966 წლის საერთაშორისო პაქტით განსაზღვრული სხვადასხვა უფლების აღსანიშნავად (მაგალითად, თვითგამორკვევის უფლება, ბუნებრივი სიმდიდრისა და რესურსების თავისუფლად განკარგვის უფლება, დისკრიმინაციის დაუშვებლობა, ქალების და მამაკაცების თანაბარი უფლებების და სიცოცხლის უფლება, წამების, სასტიკი, არაადამიანური, ღირსების შემლახავი, დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის აკრძალვა, თავისუფლების უფლება, მონობის და იძულებითი შრომის აკრძალვა, თვითნებური დაკავების და პატიმრობაში ყოფნის აკრძალვა, ქვეყნის შიგნით თავისუფალი გადაადგილების, ადამიანის თავისუფლების და უსაფრთხოების, სასამართლოს წინაშე თანასწორობის უფლება, მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ სამართლიანი და საჯარო განხილვის უფლება სისხლის სამართლის დანაშაულებათა შემთხვევაში, სისხლის სამართლის რეტროაქტიური (უკუქმედების ძალის მქონე) პასუხისმგებლობის მოქმედების აკრძალვა, ოჯახის პირადი ცხოვრების, საცხოვრებლის ხელშეუხებლობის და მიმოწერის კონფიდენციალობის დაცვის უფლება, აზრის და აღმსარებლობის თავისუფლების უფლება, გამოხატვის თავისუფლების უფლება, მშვიდობიანი თავშეყრის უფლება, გაერთიანების თავისუფლების და საზოგადოებრივ საქმეებში მონაწილეობის უფლება).

claim

[kleim]

მოთხოვნა, განცხადება – სახელმწიფო ორგანოში ან სასამართლოში წარდგენილი განცხადება კონკრეტული ქმედების განხორციელების ან უფლების (პრივილეგიის) დადასტურების მოთხოვნით, როგორცაა ლტოლვილის სტატუსი, კომპენსაციის მიღების ან სამოქალაქო სამართლის გზით საქმის გადასინჯვის უფლება.

clandestine migration

[klæn'destɪn
maɪ'greɪʃən]

იხ. ასევე: განცხადება (application)

ფარული მიგრაცია – ფარული, საიდუმლო მიგრაცია, განხორციელებული საიმიგრაციო მოთხოვნების დარღვევით. ფარული მიგრაცია სახეზეა მაშინ, როდესაც არამოქალაქე პირი არღვევს ქვეყანაში შესვლის რეგულაციებს, ან ლეგალურად შესვლის შემდეგ რჩება ქვეყანაში დადგენილ ვადაზე მეტ ხანს, საიმიგრაციო წესების დარღვევით.

იხ. ასევე: სამართლებრივი საფუძვლის გარეშე

		<i>მყოფი მიგრანტი (irregular migrant), არალეგალური მიგრაცია (irregular migration), ლეგალური მიგრაცია (regular migration), უსაბუთო უცხოელი (undocumented alien)</i>
coercion	[kəʊ'zɜːʃən]	იძულება, ძალდატანება – იძულება ფიზიკური ძალის გამოყენებით ან ფიზიკური ძალის გამოყენების მუქარით.
constitution	[kɒnstɪ'tjuːʃən]	კონსტიტუცია – ქვეყნის ძირითადი ორგანული კანონი, რომელიც განსაზღვრავს მთავრობის კონცეფციას, ბუნებას და მოწყობის საფუძვლებს; ასევე აკონკრეტებს მთავრობის სუვერენული ძალაუფლების ხარისხს და მისი გამოყენების მეთოდებს. ხელშეკრულება, რომელიც აფუძნებს საერთაშორისო ორგანიზაციას, განსაზღვრავს მის მანდატს და მუშაობის პრინციპებს.
consular functions	['kɒnsjələ(r) 'fʌŋkʃənz]	საკონსულო ფუნქციები – გამგზავნი სახელმწიფოს და მისი მოქალაქეების ინტერესების დაცვა მიმღებ სახელმწიფოში; სავაჭრო, ეკონომიკურ, კულტურულ და სამეცნიერო ურთიერთობათა განვითარება გამგზავნ და მიმღებ ქვეყნებს შორის (<i>ვენის კონვენცია საკონსულო ურთიერთობის შესახებ, 1963 წ., მუხლი 5</i>).
consular officers	['kɒnsjələ(r) 'ɒfɪsə(r)]	საკონსულოს თანამდებობის პირები – ოფიციალური პირები, რომლებიც წარმოადგენენ თავიანთ სახელმწიფოს საზღვარგარეთ ვიზების გაცემის და ბინადრობის საკითხებთან დაკავშირებით. <i>საკონსულო ურთიერთობის შესახებ ვენის 1963 წლის კონვენციის მუხლი 1(დ)-ს მიხედვით:</i> „საკონსულოს თანამდებობის პირი ნიშნავს ნებისმიერ პირს, საკონსულო დაწესებულების ხელმძღვანელის ჩათვლით, რომელიც უფლებამოსილია, შეასრულოს საკონსულო ფუნქციები“.
consular protection	['kɒnsjələ(r) prəʊ'tekʃən]	<i>იხ. ასევე: საკონსულო ფუნქციები (consular functions)</i> საკონსულო დაცვა - საკონსულო ფუნქციები, რომლებიც მიმართულია საზღვარგარეთ მყოფ მოქალაქეთა დასახმარებლად, დაიცვან თავიანთი უფლებები და ინტერესები ადგილობრივ სასამართლოებში. კერძოდ, დაცვა ვრცელდება იმ მიგრანტებზე, რომლებიც არიან დაპატიმრებულნი ან მოთავსებულნი სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში, იმყოფებიან მეთვალყურეობის ქვეშ სასამართლოს მოლოდინში ან არიან დაკავებულნი ნებისმიერი სხვა ფორმით. ამ მიგრანტებს დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოთ თავიანთი უფლების შესახებ, დაუკავშირდნენ

(pre)consular support services	[pri:'kɒnsjʊlə(r) sə'pəʊt' sɜ:vɪsɪz]	საკონსულო წარმომადგენლობას. საკონსულო დახმარების მიზნით გაწეული მომსახურება – მთავრობებისა და მიგრანტებისთვის გაწეული მომსახურება ვიზის მისაღებად განცხადებების მომზადებაში, განცხადების ოფიციალურ შეტანამდე. მომსახურება შეიძლება გულისხმობდეს: იურიდიულ კონსულტაციას, დახმარებას განცხადების ფორმის შევსებასა და მხარდამჭერი დოკუმენტაციის შეგროვებაში, სწავლასთან და მუშაობასთან დაკავშირებული დოკუმენტების ნამდვილობის დადგენაში, დოკუმენტების თარგმნაში.
convention	[kən'venʃən]	კონვენცია
conveyance	[kən'veɪəns]	<i>იხ. საერთაშორისო ხელშეკრულება (treaty)</i> სატრანსპორტო საშუალება - ნებისმიერი სახის საჰაერო ხომალდი, გემი, მატარებელი, ავტომობილი ან სხვა სატრანსპორტო საშუალება, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნეს ადამიანის ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყანაში ტრანსპორტირებისთვის.
country of destination	['kʌntri əv destɪ'neɪʃən]	<i>იხ. ასევე: გადამზიდი (carrier)</i> დანიშნულების ქვეყანა – ქვეყანა, რომელიც წარმოადგენს დანიშნულების ადგილს მიგრაციული (ლეგალური და არალეგალური) ნაკადებისთვის.
country of habitual / usual residence	['kʌntri əv hæ'bitʃu:əl / ju:ʒuəl 'rezɪdəns]	ჩვეული (მუდმივი) ბინადრობის ქვეყანა – ქვეყანა, რომელშიც პირი ცხოვრობს, ე.ი. ქვეყანა, რომელშიც პირს საცხოვრებელი ადგილი აქვს, სადაც იგი ყოველდღიურად ატარებს დროს. საზღვარგარეთ დროებითი გამგზავრება დასვენების, შვებულების, მეგობრების და ნათესავების მონახულების, საქმიანი, სამკურნალო ან რელიგიური მომლოცველობის მიზნებით არ ცვლის პირის ჩვეული ბინადრობის ქვეყანას.
country of origin	['kʌntri əv 'ɒrɪdʒɪn]	<i>იხ. ასევე: ბინადრობა (residence)</i> წარმოშობის ქვეყანა – ქვეყანა, რომელიც წარმოადგენს მიგრაციული (ლეგალური და არალეგალური) ნაკადების წყაროს.
country of transit	['kʌntri əv 'traɪnzɪt]	<i>იხ. ასევე: წარმოშობის სახელმწიფო (state of origin)</i> სატრანზიტო ქვეყანა – ქვეყანა, რომლის გავლით მოძრაობენ მიგრაციული (ლეგალური და არალეგალური) ნაკადები.
covenant	['kʌvɪnənt]	<i>იხ. ასევე: სატრანზიტო სახელმწიფო (state of transit)</i> პაქტი <i>იხ. საერთაშორისო ხელშეკრულება (treaty)</i>

credibility assessment	[kredɪ'bɪlɪtɪ ə'sesmənt]	სანდოობის შეფასება – ვიზის გაცემის ან განსხვავებული საიმიგრაციო სტატუსის მინიჭების შესახებ განცხადების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას გასაღებელი ნაბიჯი, რომელიც ემსახურება განმცხადებლის მიერ მიწოდებული ინფორმაციის თანმიმდევრულობის და სარწმუნოების დადგენას.
crime, international	[kraɪm ɪntə'næʃənl]	დანაშაული (საერთაშორისო) – საერთაშორისო სამართლის მიხედვით, დანაშაული მშვიდობის წინააღმდეგ, სამხედრო დანაშაული, დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ, მეკობრეობა, გენოციდი, აპარტიდი და ტერორიზმი ითვლება საერთაშორისო დანაშაულად. ყველა სახელმწიფოს ვალდებულებაა, გამოაცხადოს დევნა ამ დანაშაულებათა ჩამდენების მიმართ ან მოახდინოს მათი ექსტრადირება; ინდივიდუალური პასუხისმგებლობა ამ დანაშაულებათა გამო გათვალისწინებულია აგრეთვე საერთაშორისო დონეზე (სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალები ყოფილი იუგოსლავიის, რუანდის თაობაზე, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო).
cultural orientation	['kʌltʃərəl ori:nteiʃən]	<i>იხ. ასევე: გენოციდი (genocide), ტერორიზმი (terrorism)</i> კულტურული ორიენტაცია – სასწავლო კურსები მიგრანტთათვის, რომელთაც სურთ მიმღები ქვეყნის შესახებ ცოდნის გაღრმავება.
custody	['kʌstədi]	ზედამხედველობა / მეურვეობა – პასუხისმგებლობა, რომელიც გამოიხატება პირის მიმართ კონტროლსა და მასზე ზრუნვაში. სასამართლომ არასრულწლოვანის კონტროლი და მასზე ზრუნვა შეიძლება ნათესავს ან სხვა მეურვეს დააკისროს. ოფიციალური უწყებების მიერ დაკავებული პირი იმყოფება „ზედამხედველობის ქვეშ“ ('in custody').
customary law, international	[kʌstəməri lɔ: ɪntə'næʃənl]	ჩვეულებითი სამართალი (საერთაშორისო) – საერთაშორისო სამართლის წყარო. არსებული ნორმის ჩვეულებად გადაქცევისთვის საჭიროა ორი კრიტერიუმი: სახელმწიფო პრაქტიკა და <i>opinio juris</i> - კონცეფცია, რომლის თანახმად, აღნიშნული პრაქტიკის გამოყენება აუცილებელია მოქმედი კანონმდებლობით ან იგი შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

D

de facto [di: 'fæktəʊ]

de facto (ლათ.) - ფაქტობრივად არსებული.

de facto partner [di: 'fæktəʊ
pɑ:tənə(r)]

იხ. ასევე: *de jure*

de facto პარტნიორი – სახელმწიფოთა მზარდი რაოდენობა აღიარებს არა მხოლოდ ოფიციალურ მეუღლეებს, არამედ ქორწინებაში არმყოფ სრულწლოვანთა შორის დამყარებულ გარკვეული სახის ურთიერთობებს, მუდმივი ბინადრობის ან სხვა საიმიგრაციო სტატუსის მინიჭების მიზნით.

de facto protection [di: 'fæktəʊ
prəʊ'tekʃən]

de facto დაცვა – დაცვა, რომელიც ორგანიზაციის კონკრეტული მიზნის განსახორციელებლად ან მის შედეგად ინიშნება.

de facto refugees [di: 'fæktəʊ
rɛfju:'dʒi:z]

de facto ლტოლვილები – პირები, რომლებიც არ არიან აღიარებულნი ლტოლვილებად ლტოლვილთა სტატუსის შესახებ გაერო-ს 1951 წლის კონვენციის და ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1967 წლის ოქმის მიხედვით, მაგრამ რომლებსაც არ შეუძლიათ ან, დასაბუთებულად მიჩნეული მიზეზების გამო, არ სურთ თავიანთი მოქალაქეობის ქვეყანაში დაბრუნება; ან, მოქალაქეობის არქონის შემთხვევაში – მუდმივი ბინადრობის ქვეყანაში დაბრუნება.

de facto statelessness [di: 'fæktəʊ
'steɪtɪsɪnəs]

იხ. ასევე: *ქვეყნის გარეთ გადაადგილებული პირები (externally displaced persons), ქვეყნის შიგნით [GEO: იძულებით] გადაადგილებული პირები (internally displaced persons), ლტოლვილი (refugee)*

de facto მოქალაქეობის არქონა – იმ პირთა მდგომარეობა, რომლებიც არიან კონკრეტული ქვეყნის მოქალაქეები, მაგრამ ქვეყნის დატოვების შემდეგ აღარ სარგებლობენ მისი დაცვით, იმის გამო, რომ უარს აცხადებენ მსგავს დაცვაზე ან სახელმწიფო აცხადებს უარს მათ დაცვაზე. ტერმინი *de facto* მოქალაქეობის არქონა ხშირად უკავშირდება ლტოლვილებს.

de jure [di: 'dʒʊəri]

იხ. ასევე: *მოქალაქეობა (nationality), მოქალაქეობის არქონა (statelessness)*

de jure (ლათ.) – უფლების ან კანონის ძალით არსებული.

debt bondage [dɛt 'bɒndɪdʒ]

იხ. ასევე: *de facto*

სავალო კაბალა – მდგომარეობა ან პირობები, რომელიც დგება მევალის მიერ ვალის უზრუნველსაყოფად საკუთარი ან მასზე დამოკიდებული პირის მიერ მომსახურების გაწევის

		შედეგად, იმ შემთხვევაში, თუ მომსახურების შესაბამისად შეფასებული ღირებულება არ არის მიმართული ვალის დასაფარად, ან აღნიშნული მომსახურების არსი და ხანგრძლივობა განსაზღვრული არ არის (გაერო-ს დამატებითი კონვენცია მონობის აკრძალვის შესახებ, 1956 წ.) იხ. ასევე: ექსპლუატაცია (exploitation), მონობა (slavery), ბავშვის შრომის უკიდურესი ფორმები (worst forms of child labour)
deception	[di'seɪʃən]	მოტყუება – მიგრაციის კონტექსტში ეს ტერმინი აღნიშნავს არა მხოლოდ ყალბ ან მცდარ ინფორმაციას, არამედ ასევე მიგრანტისთვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის ნაკლებობის ფაქტის მიზანმიმართულად ბოროტად გამოყენებას.
defendant	[di'fendənt]	მოპასუხე – პირი, რომლის მიმართ აღძრულია სამოქალაქო სარჩელი; განსასჯელი, ბრალდებული – პირი, რომლის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.
demography	[di:'mɒɡrəfi]	დემოგრაფია – მეცნიერება მოსახლეობის შესახებ, რომელიც იკვლევს მის რაოდენობას, სიმჭიდროვეს, გეოგრაფიულ განაწილებას და სიცოცხლის ხანგრძლივობის მაჩვენებლებს.
denationalization	[di,næʃənaɪ'zeɪʃən]	მოქალაქეობის ჩამორთმევა იხ. ასევე: მოქალაქეობის დაკარგვა (loss of nationality)
dependants	[di'pendənts]	დამოკიდებული პირები – ზოგადი მნიშვნელობით, სხვის დახმარებაზე დამოკიდებული პირები. მიგრაციის კონტექსტში, „დამოკიდებულ პირებად“ მოიხსენიება მეუღლე და არასრულწლოვანი შვილები, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მეუღლე არ არის ფინანსურად დამოკიდებული პირი.
		იხ. ასევე: ბავშვი (child), de facto პარტნიორი (de facto partner), მეორადი განმცხადებელი (derivative applicant), ოჯახის წევრები (members of the family), არასრულწლოვანი (minor)
deportation	[di:pə'teɪʃən]	დეპორტაცია – უცხოელის გაძევება ქვეყნის ტერიტორიიდან სახელმწიფოს მიერ, თავისი სუვერენული უფლების გამოყენებით, რაც, ჩვეულებრივ, დარჩენაზე ან ბინადრობის ვადის გახანგრძლივებაზე უარის თქმის შემდეგ ხდება.
derivative applicant	[di'rɪvətɪv' æplɪkənt]	იხ. ასევე: გაძევება (expulsion, refoulement) მეორადი განმცხადებელი – პირი, ჩვეულებრივ, მეუღლე ან არასრულწლოვანი შვილი, რომელსაც შეუძლია, მიიღოს საიმიგრაციო სტატუსი სხვა პირის განცხადების საფუძველზე.

derogation	[dɛrə'geɪʃən]	იხ. ასევე ბავშვი (<i>child</i>), არასრულწლოვანი (<i>minor</i>), <i>de facto</i> პარტნიორი (<i>de facto partner</i>), ოჯახის წევრები (<i>members of the family</i>), ძირითადი განმცხადებელი (<i>principal applicant</i>) უფლების შეზღუდვა – 1) უფლებების შეზღუდვა ან შეჩერება კონკრეტულ სიტუაციაში. (მაგალითად, 1966 წლის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი უფლებას აძლევს სახელმწიფოს, გადაუხვიოს თავისი ვალდებულებების შესრულებისგან პაქტის მიხედვით „სახელმწიფოში საგანგებო წესების შემოღების დროს, როცა ერის სიცოცხლე საფრთხეშია“); 2) კანონის ნაწილობრივი ანუღირება უფრო გვიან მიღებული აქტის შედეგად, რომელიც ზღუდავს პირველის გავლენის სფეროს და ასუსტებს მის სარგებლიანობას და ძალას.
detention	[dɪ'tɛnʃən]	დაკავება - სახელმწიფო უწყებების მიერ პირის გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა, ჩვეულებრივ, პატიმრობაში ყოლის გზით. დაკავების ორი სახე არსებობს: დაკავება სისხლის სამართლებრივი დევნის გამო, რისი მიზანიც ჩადენილი დანაშაულის შედეგად სასჯელის გამოტანაა, ან სხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისას, შესაბამისი სახდელის დაკისრების და/ან მისი აღსრულების მიზნით (დეპორტაცია ან გაძევება). ქვეყნების უმრავლესობაში არალეგალური მიგრანტები ექვემდებარებიან ადმინისტრაციული წესით დაკავებას, ვინაიდან არღვევენ საიმიგრაციო წესებს და რეგულაციებს, რაც არ მიიჩნევა დანაშაულად. რიგ ქვეყნებში უცხოელი შეიძლება დაკავებული იქნეს მანამ, სანამ ელოდება გადაწყვეტილების მიღებას ლტოლვილის სტატუსის მინიჭების, ქვეყანაში შესვლაზე ნებართვის ან ქვეყნიდან გაძევების თაობაზე.
determination	[dɪ,tʃ:mrɪ'neɪʃən]	განსაზღვრა
diaspora	[daɪ'æspərə]	იხ. გადაწყვეტილება საიმიგრაციო სტატუსის მინიჭების თაობაზე (<i>adjudication</i>) დიასპორა – აღნიშნავს ნებისმიერ პირს ან ეთნიკურ ჯგუფს, რომელიც ტოვებს ტრადიციულ ეთნიკურ სამშობლოს და სახლდება მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში.
diplomatic asylum	[dɪpləʊ'mætɪk ə'saɪləm]	დიპლომატიური თავშესაფარი იხ. თავშესაფარი (დიპლომატიური) (<i>asylum (diplomatic)</i>)

diplomatic protection	[dɪpləʊ'mætɪk prəʊ'tekʃən]	დიპლომატიური დაცვა – საერთაშორისო სამართლის უმთავრესი პრინციპი, რომელიც უფლებას აძლევს სახელმწიფოს, დაიცვას თავისი მოქალაქეები, რომლებიც დაზარალებულნი არიან სახელმწიფოს მიერ ჩადენილი საერთაშორისო სამართლის საწინააღმდეგო ქმედებების შედეგად და რომლისგან მათ ვერ მიიღეს კომპენსაცია ჩვეულებრივი გზებით. ერთგვარადაა თავისი მოქალაქის საქმეში და მიმართავს დიპლომატიურ ქმედებას ან საერთაშორისო სასამართლო პროცედურებს მისი სახელით, სახელმწიფო, ფაქტობრივად, იცავს თავის უფლებებს; კერძოდ, უფლებას თავისი მოქალაქის მაგალითზე უზრუნველყოს საერთაშორისო სამართლის ნორმების დაცვა. (<i>მავრომატის საქმე პალესტინის შეთანხმებაზე (იურისდიქცია), Mavrommatis Palestine Concession Case (Jurisdiction), P.C.I.J.1924</i>)
discrimination	[dɪskrɪmɪ'neɪʃən]	დისკრიმინაცია – ადამიანების მიმართ უთანასწორო მიდგომა იმ შემთხვევაში, როდესაც არ არსებობს დასაბუთებული განსხვავება პრივილეგირებულთა და მსგავს პრივილეგიათა არმქონეებს შორის. დისკრიმინაცია აკრძალულია „რასის, სქესის, ენის ან რელიგიური მრწამსის“ (გაერო-ს ქარტია, 1945 წ., მუხლი 1(3)) ან „რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა რწმენის, ეროვნული თუ სოციალური წარმომავლობის, ქონებრივი, წოდებრივი თუ სხვა ნიშნით“ (ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, 1948 წ., მუხლი 2).
displacement	[dɪs'pleɪsmənt]	გადაადგილება – პირის იძულებითი გასახლება თავისი სახლიდან ან ქვეყნიდან, ხშირად, შეიარაღებული კონფლიქტის ან ბუნებრივი კატასტროფების შედეგად.
displaced person	[dɪs'pleɪsd 'pɜːrs(ə)n]	გადაადგილებული პირი (displaced person) – პირი, რომელიც ტოვებს თავის ქვეყანას ან თემს შიშის ან იმ საფრთხეების გამო, რომლებიც განსხვავდება იმ გარემოებებისგან, რომლებიც მას ლტოლვილად აქცევდა. გადაადგილებული პირი ხშირად იძულებულია დატოვოს ჩვეული გარემო შიდა კონფლიქტის ან ბუნებრივი ან ადამიანის ჩარევით გამოწვეული კატასტროფის გამო.

იხ. ასევე: *de facto* ლტოლვილები (*de facto refugees*),

documented migrant	['dɒkjʊmentɪd 'maɪgrənt]	ქვეყნის გარეთ გადაადგილებული პირები (<i>externally displaced persons</i>), ქვეყნის შიგნით [GEO: იძულებით] გადაადგილებული პირები (<i>internally displaced persons</i>), ლტოლვილი (<i>refugee</i>) საბუთიანი (კანონიერად მყოფი) მიგრანტი – მიგრანტი, რომელმაც ლეგალურად გადაკვეთა ქვეყნის საზღვარი და იმყოფება იქ აღნიშნულ ქვეყანაში მისი ყოფნისთვის განსაზღვრული კრიტერიუმის თანახმად.
documented migrant worker	['dɒkjʊmentɪd 'maɪgrənt 'wɜ:kə(r)]	საბუთიანი (კანონიერად მყოფი) შრომითი მიგრანტი – შრომითი მიგრანტი ან მისი ოჯახის წევრები, რომლებმაც მიიღეს დასაქმების ქვეყანაში შესვლის, ბინადრობის და ანაზღაურებადი საქმიანობის ნებართვა, ამ ქვეყნის კანონმდებლობის და საერთაშორისო შეთანხმებათა შესაბამისად, რომელთა წევრიც არის ეს სახელმწიფო. (შრომითი მიგრანტების და მათი ოჯახის წევრების უფლებათა დაცვის შესახებ საერთაშორისო კონვენცია, 1990 წ.).
domicile	['dɒmɪsɪl]	იხ. ასევე: საბუთიანი მიგრანტი (<i>documented migrant</i>), შრომითი მიგრანტი (<i>migrant worker</i>), უსაბუთო უცხოელი (<i>undocumented alien</i>), უსაბუთო შრომითი მიგრანტები (<i>undocumented migrant workers</i>) (მუდმივი) საცხოვრებელი – ადგილი, სადაც პირი ფიზიკურად იმყოფება და რასაც თავის სახლად თვლის; პირის ნამდვილი, შეუცვლელი, ძირითადი და მუდმივი საცხოვრებელი, რომელშიც იგი აპირებს დაბრუნებას და ცხოვრებას, მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად შეიძლება სხვაგან ბინადრობდეს.
Dublin Convention	['dʌblɪn kən'venʃən]	იხ. ასევე: ბინადრობა (<i>residence</i>) დუბლინის კონვენცია – ევროკავშირის სახელმწიფოებს შორის დადებული შეთანხმება (მიღებულია 1990 წ., ძალაში შევიდა 1997 წ.), რომელიც განსაზღვრავს, თუ ევროკავშირის რომელი წევრი სახელმწიფოა პასუხისმგებელი თავშესაფრის მოთხოვნის შესახებ განცხადების განხილვაზე, რომლითაც განმცხადებელმა ევროკავშირის ერთ-ერთ წევრ სახელმწიფოს მიმართა. კონვენცია უზრუნველყოფს, რომ ერთი და იგივე განცხადება არ იქნეს განხილული ევროკავშირის წევრი რამდენიმე სახელმწიფოს მიერ ერთდროულად და რომ არ მოხდეს თავშესაფრის მაძიებლის ერთი სახელმწიფოდან მეორეში გადაგზავნა იმ მიზეზის გამო, რომ მისი საქმის განხილვაზე პასუხისმგებლობას არავინ იღებს.

due process

[dju: 'prəʊses]

იხ. ასევე: გადაადგილების პროცესში მყოფი ლტოლვილები (*refugees in orbit*)
ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურა – სამართლებრივ პროცედურათა გატარება საყოველთაოდ მიღებული წესების და პრინციპების თანახმად, რომლებიც უზრუნველყოფს პირადი უფლებების დაცვას და აღსრულებას, მათ შორის, შეტყობინებას და საქმის სამართლიანი მოსმენის უფლებას შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სასამართლოში ან ადმინისტრაციულ უწყებაში.

E

economic migrant	[i:kə'nomik 'maigrənt]	ეკონომიკური მიგრანტი – პირი, რომელიც ტოვებს თავის ჩვეულ/მუდმივ საცხოვრებელს, რათა დასახლდეს ქვეყნის ფარგლებს გარეთ ცხოვრების ხარისხის გასაუმჯობესებლად. ეს ტერმინი შეიძლება გამოყენებულ იქნეს აღნიშნულ პირთა განსასხვავებლად დევნას გარიდებული ლტოლვილებისგან; ასევე, ზოგ შემთხვევაში, ტერმინი შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმ პირებთან მიმართებით, რომლებსაც გამიზნული აქვთ, შეაღწიონ დანიშნულების ქვეყანაში კანონიერი ნებართვის გარეშე და/ან გამოიყენონ თავშესაფრის მიღების პროცედურები საამისოდ კეთილსინდისიერი (<i>bona fide</i>) მიზეზის არარსებობისას. ტერმინი ასევე მოიცავს იმ პირებს, რომლებიც წარმომავლობის ქვეყანას ტოვებენ სასოფლო-სამეურნეო სეზონის დროს და სახლდებიან სხვა ქვეყნებში, მუშაობის მიზნით და შესაბამისად, მოიხსენიებიან სეზონურ მუშებად. <i>იხ. ასევე: საზღვრისპირა მუშაკი (frontier worker), შრომითი მიგრანტი (migrant worker), სიღარიბის გამო მიგრანტი (poverty migrant), სეზონური მუშაკი (seasonal worker)</i>
e-gate	['i:geit]	ელექტრონული კარიბჭე – ავტომატიზირებული, ელექტრონული ტერმინალი ბიომეტრული პასპორტის მქონე პირთათვის.
emigration	[ɛmɪ'greɪʃən]	ემიგრაცია – ერთი ქვეყნიდან მეორეში გამგზავრება საცხოვრებლად. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ნორმების თანახმად, ყველა ადამიანს აქვს უფლება, თავისუფლად დატოვოს ნებისმიერი ქვეყანა, საკუთარის ჩათვლით და რომ სახელმწიფომ მხოლოდ ძალზე იშვიათ შემთხვევებში შეიძლება დააწესოს შეზღუდვები პირის უფლებაზე, დატოვოს მისი ქვეყნის ტერიტორია.
entry	['ɛntri]	შესვლა – უცხოელის შესვლა უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე ნებისმიერი ფორმით, ნებაყოფლობით ან იძულებით, ლეგალურად ან არალეგალურად. <i>იხ. ასევე: ქვეყანაში დაშვება (admission), უარი ქვეყანაში დაშვებაზე (non-admission)</i>
entry into force	['ɛntri 'ɪntu fɔːs]	ძალაში შესვლა / ამოქმედება – მომენტი, როდესაც ხელშეკრულების ყველა დებულების შესრულება იურიდიულად სავალდებულო ხდება მონაწილე მხარეთათვის. <i>სახელშეკრულებო სამართლის შესახებ</i>

		გენის 1969 წლის კონვენციის მუხლი 24-ის თანახმად, ხელშეკრულება ძალაში შედის იმ პირობებით და იმ თარიღით, რაც განსაზღვრულია თავად ხელშეკრულებით ან როგორც შეთანხმდებიან მისი მონაწილე მხარეები. ამგვარი დებულების ან შეთანხმების არარსებობისას ხელშეკრულება ძალაში შედის მაშინ, როდესაც ყველა მონაწილე მხარე გამოთქვამს თანხმობას, რომ ხელშეკრულება სავალდებულოა. თუ სახელმწიფო ხელშეკრულებას უერთდება მისი ძალაში შესვლის შემდგომ, მისთვის ხელშეკრულება სავალდებულო გახდება ხელშეკრულებასთან მიერთების თარიღიდან, იმ შემთხვევის გარდა, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
entry stamp	[ˈɛntri stæmp]	შესვლის აღმნიშვნელი ბეჭედი – საზღვრის კონტროლზე პასუხისმგებელ პირთა მიერ პირის ქვეყანაში შესვლისას მის პასპორტში გაკეთებული აღნიშვნა თარიღის და ადგილის მითითებით, როდის და სად გადმოკვეთა პირმა ქვეყნის საზღვარი.
exclusion	[ɛkˈskluːʒən]	სახელმწიფოში შესვლაზე უარი – ოფიციალური უარი ქვეყანაში უცხოელის შესვლაზე. ზოგ ქვეყანაში უცხოელის შესვლაზე უარი შეიძლება განაცხადონ საზღვრის კონტროლზე პასუხისმგებელმა ან სხვა ოფიციალურმა პირებმა; სხვა ქვეყნებში დასკვნა ქვეყანაში შესვლაზე უარის თქმის შესახებ გამოაქვს საიმიგრაციო საქმეთა მოსამართლეს სასამართლო განხილვის საფუძველზე.
exit visa	[ˈɛksɪt ˈviːzə]	ქვეყნიდან გასასვლელი ვიზა – ვიზა, რომელიც გაიცემა იმ პირებზე, ვისაც ქვეყანაში ვიზით დადგენილი ყოფნის ვადა ამოეწურათ და რომლებსაც ქვეყნის დატოვებამდე ესაჭიროებათ ვიზის გახანგრძლივება.
exodus	[ˈɛksədəs]	მასობრივი გამგზავრება – წარმოშობის ქვეყნის დატოვება მოსახლეობის ჯგუფების (იზოლირებული და ცალკეული სახით) მიერ. ქვეყნის მასობრივი დატოვება დროის მოცემულ პერიოდში მოსახლეობის დიდი რაოდენობის ან თემების ან ცალკეული ჯგუფების გადაადგილებას აღნიშნავს.
exploitation	[ɛksplɔɪˈteɪʃən]	ექსპლუატაცია – ქმედება, დაკავშირებული ვინმეს ან რაიმეს მიმართ უპირატესობის გამოყენებასთან, კერძოდ კი, პირის ზოროტად გამოყენება მეორე პირის სარგებლის მიზნით (მაგ., სექსუალური ექსპლუატაცია, იძულებითი შრომა ან მომსახურება, მონობა, მონობის მსგავს მდგომარეობაში ან მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენება, ორგანოების ამოკვეთა).

expulsion	[ɛk'spʌlʃən]	იხ. ასევე: ბავშვის ექსპლუატაცია (child exploitation), იძულებითი შრომა (forced labour), მონობა (slavery), ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) (trafficking in persons / in human beings) გამეგება – სახელმწიფო უწყების მიერ განხორციელებული ქმედება, რომელიც გამიზნულია პირის ან პირთა (უცხო ქვეყნის მოქალაქეთა ან მოქალაქეობის არმქონე პირთა) ქვეყნის ტერიტორიიდან იძულებით გასაყვანად.
expulsion order	[ɛk'spʌlʃən 'ɔ:də(r)]	ბრძანება გამეგების შესახებ – სახელმწიფოს მიერ გაცემული ბრძანება, რომელიც არამოქალაქე პირებს მის ტერიტორიაზე დარჩენას უკრძალავს. ბრძანება გაიცემა პირის მიერ ქვეყნის ტერიტორიაზე არალეგალურად მოხვედრისას, ან იმ შემთხვევაში, თუ პირს არ აქვს ქვეყანაში ყოფნის უფლება. აღნიშნულ ბრძანებას, ჩვეულებრივ, თან ახლავს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ აუცილებლობის შემთხვევაში გამეგება დეპორტაციის გზით აღსრულდება.
expulsion en masse	[ɛk'spʌlʃən ɒj mæs]	იხ. ასევე: დეპორტაცია (deportation), გამეგება (expulsion) მასობრივი გამეგება – მასობრივი, კოლექტიური გამეგება. უცხო ქვეყნის მოქალაქეთა კოლექტიური გამეგება აკრძალულია საერთაშორისო სამართლის რიგი აქტებით (ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის (1950 წ.) მე-4 ოქმის მუხლი 4; ადამიანის და ხალხთა უფლებების აფრიკული ქარტია (1981 წ.), მუხლი 12-5; ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია (1969 წ.), მუხლი 22-9). ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს თანახმად, კოლექტიური გამეგება გულისხმობს ნებისმიერ ქმედებას, რომელიც აიძულებს უცხო ქვეყნის მოქალაქეთა ჯგუფს, დატოვონ ქვეყანა; იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ეს ზომა ხორციელდება ამ ჯგუფის წევრი თითოეული უცხოელის კონკრეტული საქმის დასაბუთებული და ობიექტური შესწავლის საფუძველზე (ანდრიჩი შვედეთის წინააღმდეგ, #45917/99, 1999 წლის 23 თებერვალი / Andric v. Sweden, No. 45917/99, 23 February 1999).
externally displaced persons	[ɛk'stɜ:nəlɪ dɪs'pleɪsd 'pɜ:rs(ə)nz]	იხ. ასევე: გამეგება (expulsion) ქვეყნის გარეთ გადაადგილებული პირები – პირები, რომლებმაც დატოვეს თავიანთი ქვეყანა დევნის, მასობრივი ძალადობის, შეიარაღებული კონფლიქტის ან ადამიანის ჩარევით გამოწვეული

extradition

[ekstrə'diʃən]

კატასტროფების გამო. ეს ადამიანები ხშირად ქვეყანას მასობრივად ტოვებენ. ზოგჯერ მათ ასევე *de facto* ლტოლვილებად მოიხსენიებენ.

იხ. ასევე: de facto ლტოლვილები (de facto refugees), გადაადგილებული პირი (displaced person), ქვეყნის შიგნით [GEO: იძულებით] გადაადგილებული პირები (internally displaced persons)

ექსტრადიცია – ხელშეკრულების ან სხვა ორმხრივ შეთანხმებათა საფუძველზე ერთი სახელმწიფოს მიერ მეორესთვის იმ პირის ოფიციალური გადაცემა, რომელსაც ბრალი ედება ან გასამართლებულია დანაშაულისთვის, რომელიც მან ჩაიდინა ერთი სახელმწიფოს საზღვრებს გარეთ და მეორე სახელმწიფოს იურისდიქციის ქვეშ არსებულ ტერიტორიაზე, აღნიშნული პირის მიმართ სასამართლო გამოძიების წარმოების და სასჯელის აღსრულების მიზნით.

იხ. ასევე: დეპორტაცია (deportation), გაძევება (expulsion, refoulement)

F

facilitated migration	[fə'silitetɪd maɪ'greɪʃən]	გამარტივებული მიგრაცია - ლეგალური მიგრაციის ხელშეწყობა ან წახალისება მგზავრობის გაადვილების გზით. ხელშეწყობა გულისხმობს ნებისმიერ ზომას, როგორცაა ვიზის მიღების პროცესის გამარტივება ან მგზავრების შემოწმების უზრუნველყოფა კვალიფიცირებული და სათანადოდ დაკომპლექტებული პერსონალის მიერ.
family members	['fæmɪli 'membə(r)z]	ოჯახის წევრები <i>იხ. ოჯახის წევრები (members of family)</i>
family reunification / reunion	['fæmɪli ri:ju:nɪfɪ'keɪʃən / ri:ju:niən]	ოჯახის გაერთიანება - პროცესი, როდესაც იძულებითი ან ნებაყოფლობითი მიგრაციის შედეგად დაშორებული ოჯახის წევრები ისევ ერთიანდებიან თავიანთი წარმოშობის ქვეყნიდან განსხვავებულ ქვეყანაში. აღნიშნულ პირთა ქვეყანაში დაშვების შესახებ სახელმწიფოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება გარკვეულწილად დისკრეციულ ხასიათს ატარებს. <i>იხ. ასევე: დამოკიდებული პირები (dependants), ოჯახის განუყოფლობა (family unity)</i>
family unity, right to	[fæmɪli 'ju:nɪti raɪt tə']	ოჯახის განუყოფლობა (განუყოფლობის უფლება) – ოჯახის უფლება, იცხოვროს ერთად და როგორც საზოგადოების ფუნდამენტურმა უჯრედმა, ისარგებლოს პატივისცემით, დაცვით და ხელშეწყობით. ეს უფლება ვრცელდება არა მხოლოდ მოქალაქეებზე, არამედ ქვეყნის ფარგლებს გარეთ მცხოვრებ პირებზე და დაცულია საერთაშორისო სამართლით (მაგ., ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, 1948 წ., მუხლი 16; ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, 1950 წ., მუხლი 8; ევროპის სოციალური ქარტია, 1961 წ., მუხლი 16; სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი, 1966 წ., მუხლები 17 და 23; ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტი, 1966 წ., მუხლი 1; ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია, 1969 წ., მუხლი 17).
feminization of migration	[fə'mɪnaɪ'zeɪʃən əv maɪ'greɪʃən]	მიგრაციის ფემინიზაცია – ქალების მზარდი მონაწილეობა მიგრაციულ პროცესებში. დღეისთვის ქალები მსოფლიო მასშტაბით უფრო თავისუფლად გადაადგილდებიან როგორც დამოუკიდებელი მიგრანტები და არა ოჯახური საჭიროებების ან მამაკაცზე დამოკიდებულების გამო (ქალები მიგრანტთა

first asylum principle	[fɜ:st ə'saɪləm 'prɪnsɪp(ə)l]	საერთო რაოდენობის დაახლოებით 48%-ს შეადგენენ). პირველი თავშესაფრის პრინციპი – პრინციპი, რომლის თანახმად თავშესაფრის მაძიებელმა თავშესაფარი უნდა მოითხოვოს პირველივე ქვეყანაში, სადაც მას საფრთხე აღარ ემუქრება.
forced / compulsory labour	[fɔ:st / 'kɒmpəls(ə)rɪ 'leɪbə(r)]	იძულებითი / სავალდებულო შრომა – ნებისმიერი სამუშაო ან სამსახური, რომელიც პირს სავალდებულოდ ეკისრება რაიმე სახის სასჯელის საფრთხის გამო და რომლის შესრულების მზადყოფნა მას ნებაყოფლობით არ შეუთავაზებია (<i>შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენცია იძულებითი შრომის შესახებ # 29, 1930 წ. მუხლი 2(1)</i>).
forced migration	[fɔ:st maɪ'greɪʃən]	იძულებითი მიგრაცია – ზოგადი ტერმინი, რომელიც გამოიყენება მიგრაციული ნაკადების დასახასიათებლად, რომელთა შემთხვევაშიც არსებობს იძულების ელემენტი, მათ შორის სიცოცხლისა და არსებობის მიმართ საფრთხე, რომელიც გამოწვეულია ბუნებრივი, თუ ადამიანის ჩარევით განპირობებული მიზეზებით (მაგ., ლტოლვილთა და ქვეყნის შიგნით გადაადგილებულ პირთა ნაკადები, ასევე ბუნებრივი, ეკოლოგიური, ქიმიური და ბირთვული კატასტროფებით, შიმშილობით და განვითარების პროექტებით გამოწვეული გადაადგილება).
forced repatriation	[fɔ:st rɪpeɪtri'eɪʃən]	<i>იხ. ასევე: ქვეყნის შიგნით [GEO:იძულებით] გადაადგილებული პირები (internally displaced persons), ლტოლვილი (refugee)</i> იძულებითი რეპატრიაცია <i>იხ. არანებაყოფლობითი რეპატრიაცია (involuntary repatriation)</i>
forced resettlement / relocation	[fɔ:st rɪ:'set(ə)lmənt / 'rɛləkeɪʃən]	იძულებითი განსახლება – სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილი, რომელიც გულისხმობს ცალკეული პირების ან ჯგუფების არანებაყოფლობით გადაადგილებას მათი ჩვეული საცხოვრებელი ადგილიდან სახელმწიფოს იურისდიქციის ფარგლებში.
forced return	[fɔ:st rɪ'tɜ:ɪn]	იძულებითი დაბრუნება – პირის სავალდებულო დაბრუნება წარმოშობის, სატრანზიტო ან მესამე ქვეყანაში ადმინისტრაციული ან სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე. <i>იხ. ასევე: დეპორტაცია (deportation), გაძევება (expulsion, refoulement), არანებაყოფლობითი რეპატრიაცია (involuntary repatriation), რეპატრიაცია (repatriation), დაბრუნება (return), ნებაყოფლობითი რეპატრიაცია (voluntary repatriation), ნებაყოფლობითი დაბრუნება (voluntary return)</i>

foreigner	['fɒrɪnə(r)]	უცხო ქვეყნის მოქალაქე – პირი, რომელიც წარმოადგენს უცხო ქვეყნის მოქალაქეს ან აქვს მის მიმართ ერთგულების გამოცხადების ვალდებულება. <i>იხ. ასევე: უცხოელი (alien)</i>
fraud	[fra:d]	თაღლითობა / გაყალბება – სიმაართლის დამახინჯება ან მნიშვნელოვანი ფაქტის დამალვა გარკვეული სარგებლის მიღების მიზნით.
fraudulent document	['fra:dʒələnt 'dɒkjʊmənt]	ყალბი დოკუმენტი – ნებისმიერი სამგზავრო ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც გაყალბებული ან შეცვლილი იქნა პირის ან ორგანიზაციის მიერ რაიმე სახით, იმ პირთა ან ორგანიზაციათა გარდა, ვინც კანონით უფლებამოსილია, დაამზადოს ან გასცეს სამგზავრო ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი სახელმწიფოს სახელით; დოკუმენტი, რომელიც გაიცა დაწესებული პროცედურების დარღვევით ან მოპოვებული იქნა არასწორი მონაცემების წარდგენის, კორუფციის, ძალდატანების ან სხვა არაკანონიერი მეთოდის გამოყენებით; დოკუმენტი, რომელიც გამოიყენება კანონიერი მფლობელისგან განსხვავებული პირის მიერ. <i>გაერო-ს ოქმი მიგრანტთა სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო გზებით არალეგალური გადაყვანის წინააღმდეგ – გაერთიანებული ერების ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ მიმართული კონვენციის დამატება, 2000 წ., მუხლი 3(გ).</i> <i>იხ. ასევე: პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი (identity document), სამგზავრო დოკუმენტები (travel documents)</i>
freedom of movement	['fri:dəm əv 'mu:vmənt]	გადაადგილების თავისუფლება – ეს უფლება შედგება სამი ძირითადი ელემენტისგან: ქვეყნის ტერიტორიაზე გადაადგილების თავისუფლება (<i>ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, 1948 წ., მუხლი 13(1): „ყოველ ადამიანს აქვს უფლება, დაუბრკოლებლად იცვლიდეს ადგილსამყოფელს და ირჩევდეს თავის საცხოვრებელ ადგილს თითოეული სახელმწიფოს ფარგლებში.“</i>); უფლება, დატოვოს ნებისმიერი ქვეყანა და დაბრუნდეს წარმოშობის ქვეყანაში (<i>ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, 1948 წ., მუხლი 13(2): „ყოველ ადამიანს აქვს უფლება, დატოვოს ნებისმიერი ქვეყანა, მათ შორის, თავისი და ასევე, დაბრუნდეს თავის ქვეყანაში.“</i>). <i>იხ. ასევე: დატოვების უფლება (ქვეყნის) / (right to leave), დაბრუნების უფლება (right to return)</i>

frontier	['frantiə(r)]	<i>იბ. საზღვარი (border)</i>
frontier worker	['frantiə(r) 'wɜ:kə(r)]	საზღვრისპირა მუშაკი – შრომითი მიგრანტი, რომელიც ინარჩუნებს მის ჩვეულ (მუდმივ) საცხოვრებელს მეზობელ ქვეყანაში, რომელშიც იგი ბრუნდება ყოველდღე ან სულ მცირე, კვირაში ერთხელ მაინც (<i>შრომითი მიგრანტების და მათი ოჯახის წევრების უფლებათა დაცვის საერთაშორისო კონვენცია, 1990 წ., მუხლი 2(2)(ა).</i>
fundamental human rights	[fʌndə'mentəl 'hju:mən raɪts]	<i>იბ. ასევე: შრომითი მიგრანტი (migrant worker)</i> ადამიანის ძირითადი უფლებები – ადამიანის უფლებათა ფართო სპექტრში რამდენიმე მათგანს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რაც გარკვეულ უფლებათა ხელშეუვალობის პრინციპიდან მომდინარეობს. ასე მაგალითად, <i>სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი, 1966 წ., მუხლი 4(1)</i> უფლებას აძლევს სახელმწიფოს, გადაუხვიოს ვალდებულებების შესრულებისგან „სახელმწიფოში საგანგებო წესების შემოღების დროს, როცა ერის სიცოცხლე საფრთხეშია“, მაგრამ კრძალავს ნებისმიერ გადახვევას შემდეგ მუხლებთან მიმართებაში: <i>მუხლი 6 (სიცოცხლის უფლება), მუხლი 7 (წამება), მუხლები 8(1) და (2) (მონობა და მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენება), მუხლი 11 (თავისუფლების აღკვეთა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის), მუხლი 15 (სისხლის სამართლის უკუქმედების ძალის მექანე პასუხისმგებლობის გამოყენება), მუხლი 16 (პირის სამართლის სუბიექტად ცნობა), მუხლი 18 (აზროვნების, სინდისის და რელიგიის თავისუფლება).</i> მიუხედავად აღნიშნულისა, არსებობს ტენდენცია, ადამიანის ყველა უფლება მიჩნეულ იქნეს საყოველთაო, განუყოფელ, ურთიერთდამოკიდებულ და ურთიერთდაკავშირებულ უფლებებად, რომლებიც განხილული უნდა იქნეს თანაბრად და სამართლიანად, ერთიან საფუძველზე და მიექცეს თანაბარი ყურადღება. <i>იბ. ასევე: ადამიანის უფლებები (human rights), წამების აკრძალვა (prohibition of torture), მონობა (slavery), წამება (torture)</i>

G

gender based violence	[ˈdʒɛndə(r) beɪstˈvaɪələns]	ძალადობა გენდერული ნიშნით <i>იხ. ძალადობა ქალების მიმართ (violence against women)</i>
genocide	[ˈdʒɛnəsaid]	გენოციდი – ნებისმიერი ქვემოთჩამოთვლილი ქმედება, რომელთა მიზანია ადამიანების ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური ჯგუფის მთლიანი ან ნაწილობრივი განადგურება, რაც გამოიხატება: ჯგუფის წევრთა მოკვლაში; მათთვის სერიოზული ფიზიკური ან ფსიქიკური ზიანის მიყენებაში; ცხოვრების იმგვარი პირობების მიზანმიმართულ შექმნაში, რომლებიც მიმართულია ჯგუფის მთლიანი ან ნაწილობრივი ფიზიკური განადგურებისკენ; ზომების გატარება, რომლებიც გამიზნულია შობადობის აღკვეთისკენ ამ ჯგუფში; ბავშვების ძალისმიერი გადაყვანა ერთი ჯგუფიდან მეორეში (<i>კონვენცია გენოციდის დანაშაულის აღკვეთის და დასჯის შესახებ, 1948 წ., მუხლი II</i>).
genuine and stable marriage	[ˈdʒɛnjuːɪn ənd ˈsteɪb(ə)l ˈmæɪrɪdʒ]	ნამდვილი და სტაბილური ქორწინება – ქორწინება, რომელსაც საკონსულო ან საიმიგრაციო სამსახურის თანამშრომელი განსაზღვრავს, როგორც ნამდვილს, რომელიც გაფორმდა მისი გრძელვადიანი შენარჩუნების მიზნით და განსაკუთრებულობის საფუძველზე და როგორც სტაბილურს, ვინაიდან არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ იგი შენარჩუნდება. ბევრ ქვეყანაში, სადაც საკონსულო ან საიმიგრაციო სამსახურის თანამდებობის პირები ვერ ადგენენ, თუ რამდენად ნამდვილია ქორწინება და რამდენად გაფორმდა იგი მისი გრძელვადიანი შენარჩუნების მიზნით და განსაკუთრებულობის საფუძველზე, ისინი უშვებენ, რომ ქორწინება ნამდვილია, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც არსებობს საპირისპირო მტკიცებულებები.
good faith	[ɡʊd feɪθ]	პატიოსანი განზრახვა – გონების მდგომარეობა, რომელიც ხასიათდება რწმენების და განზრახვების კეთილსინდისიერებით, მოტყუებისა და არაპატიოსანი სარგებლის მიღების მიზნის არარსებობით.
green border	[ɡriːn ˈboʊdə(r)]	<i>იხ. ასევე: კეთილსინდისიერი (bona fide)</i> მწვანე საზღვარი – ტერმინი, რომელიც გამოიყენება სახელმწიფო სახმელეთო საზღვრის ნაწილის აღსანიშნავად სასაზღვრო-გამტარ პუნქტებს შორის. წყლის საზღვარი (მდინარე ან საზღვაო ზოლი)

		შეიძლება ასევე მოხსენიებულ იქნეს „ლურჯ საზღვრად“. <i>იხ. ასევე: საზღვარი (border), სასაზღვრო-გამტარი პუნქტი (border cross line)</i>
green card	[gri:n kard]	მწვანე ბარათი - აშშ-ს მთავრობის მიერ არამოქალაქეთათვის გაცემული პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, რომელიც მათ შეერთებულ შტატებში მუდმივი ბინადრობის სტატუსს ანიჭებს. ასევე მოიხსენიება მუდმივი ბინადრობის მოწმობად, რაც წარმოადგენს მტკიცებულებას იმისა, რომ არამოქალაქე წარმოადგენს კანონიერ მუდმივ ბინადარს, შეერთებულ შტატებში მუდმივი ცხოვრების და მუშაობის უფლებით.
grounds of inadmissibility	[graʊndz əv inədmi's(ə)liti]	<i>იხ. ასევე ლურჯი ბარათი (blue card)</i> ქვეყანაში დაშვებაზე უარის თქმის საფუძვლები – მიგრაციის კანონმდებლობაში ან რეგულაციებში მოცემული განმარტებები იმ მიზეზებისა, რომელთა გამო არამოქალაქეებს შეიძლება აეკრძალოთ ქვეყანაში შესვლა. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც პირი აკმაყოფილებს ვიზის ან საიმიგრაციო სტატუსის მისაღებად წაყენებულ მოთხოვნებს, თუკი მასზე ვრცელდება დაშვებაზე უარის თქმის საფუძვლები, იგი ვიზას ან საიმიგრაციო სტატუსს ვერ მიიღებს. დაშვებაზე უარის თქმის საფუძვლები, ზოგადად, შემუშავებულია ქვეყანაში არასასურველ არამოქალაქეთა შესვლის აღსაკვეთად, როგორებიც არიან ნამდვილი სამგზავრო დოკუმენტების არმქონე პირები, სისხლის სამართლის დანაშაულში მხილებული პირები, პირები, რომლებიც წარმოადგენენ საფრთხეს საზოგადოებრივი ჯანმრთელობისთვის ან უსაფრთხოებისთვის და წარსულში დეპორტირებული პირები.
guardian	['gɑ:diən]	<i>იხ. ასევე: უარის თქმა (waiver)</i> მეურვე – პირი, რომელსაც მინიჭებული აქვს იურიდიული უფლებამოსილება და ვალდებულია, იზრუნოს მეორე პირზე ან მის საკუთრებაზე, ჩვეულებრივ, ამ პირის უნარშეზღუდულობის ან არასრულწლოვანების გამო.

H

habeas corpus	[ˈheɪbiːəs ˈkɔːpəs]	habeas corpus (ლათ.) – სასამართლო განხილვამდე განხორციელებული ქმედება, მიმართული პირის დაკავების ან პატიმრობის მართლზომიერების დასადგენად.
habitual / usual residence	[həˈbitʃʊəl / juːʒʊəl ˈreɪdəns]	<i>იხ. ასევე writ of habeas corpus</i> ჩვეული (მუდმივი) ბინადრობა – ადგილსამყოფელი ქვეყანაში, სადაც პირი ბინადრობს და ჩვეულებრივ, ყოველდღიურად ატარებს საათებს.
health	[helθ]	<i>იხ. ასევე: ჩვეული (მუდმივი) ბინადრობის ქვეყანა (country of habitual / usual residence), საცხოვრებელი (domicile)</i> ჯანმრთელობა – მდგომარეობა, რომელიც გულისხმობს სრულ ფიზიკურ, გონებრივ და სოციალურ კეთილდღეობას და არა მხოლოდ დაავადების ან უძლურობის არარსებობას.
health assessment	[helθ əˈsesmənt]	ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება – მიგრაციის კონტექსტში – მოსახლეობის გადაადგილების შედეგად მიმღები ქვეყნების საზოგადოებრივ ჯანმრთელობაზე ასახული ნეგატიური ზეგავლენის შემცირების და მართვის გაუმჯობესების პროცესი. ასევე მიგრანტთა ინტეგრაციის ხელშეწყობა მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოვლენის, ხარჯთეფექტური მართვისა და სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების გზით. მიგრანტთა გამგზავრებამდე ჩატარებული ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება ხელს უწყობს მათი ჯანმრთელობის დაცვას, ვინაიდან იძლევა პრევენციული და სამკურნალო ჩარევის ინიცირების საშუალებას იმ შემთხვევებისთვის, რომლებზეც დროული რეაგირება აუცილებელია თავად მიგრანტთა ჯანმრთელობის მდგომარეობაზე და/ან მიმღები ქვეყნების საზოგადოებრივ ჯანმრთელობაზე ნეგატიური გავლენის თავიდან ასაცილებლად.
hearing	[hɪə(r)ɪŋ]	მოსმენა / სასამართლოს სხდომა – შესაძლებლობა, რომ მხარე მოსმენილ ან წარდგენილ იქნეს სასამართლოში, განხილვაში არსებული საქმის ირგვლივ.
holding / reception centre	[ˈhəʊldɪŋ / rɪsepʃən ˈsentə(r)]	მიმღები / განთავსების ცენტრი – თავშესაფრის მამიებელთა და არალეგალურად შემოსულ მიგრანტთა დროებითი განთავსების ცენტრი, სადაც მათ მიმღებ ქვეყანაში ჩასვლისთანავე ათავსებენ. ამ პირთა სტატუსის დადგენა ხდება მათ ლტოლვილთა ბანაკებში

host country	[həʊst 'kʌntri]	გადაყვანამდე ან წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნებამდე. მასპინძელი ქვეყანა
human rights	['hju:mən raɪts]	იხ. მიმღები ქვეყანა (receiving country) ადამიანის უფლებები – თავისუფლებები და სარგებელი, რომლებიც, თანამედროვე ღირებულებების შესაბამისად, შეუძლია ნებისმიერ ადამიანს მოითხოვოს, „როგორც თავისი უფლება“ საზოგადოებაში, რომელშიც ცხოვრობს. ეს უფლებები განსაზღვრულია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო კანონით, რომელიც აერთიანებს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას, 1948 წ., და ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტებს, 1966 წ. ეს უფლებები ასევე განმტკიცებულია სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებით (მაგ., კონვენცია ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, 1979 წ., საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, 1965 წ.).
human trafficker	['hju:mən 'træfɪkə(r)]	იხ. ასევე: ადამიანის ძირითადი უფლებები (fundamental human rights)
humanitarian law	[hju:mæni'teəriən lɔ:]	იხ. ადამიანთა მოვაჭრე (ტრეფიკიორი) (trafficker) ჰუმანიტარული სამართალი – საერთაშორისო სამართლის წესები, რომლებიც გამიზნულია ადამიანის დასაცავად საომარი მოქმედებების ან შეიარაღებული კონფლიქტის დროს.
humanitarian principles	[hju:mæni'teəriən 'prɪnsɪp(ə)lz]	ჰუმანიტარული პრინციპები – ეთიკური სტანდარტები, რომლებიც ვრცელდება ჰუმანიტარულ სფეროში მოქმედ ყველა მხარეზე, რომლებიც თავიანთი საქმიანობისას ადამიანის საერთაშორისო უფლებებით და ჰუმანიტარული სამართლის პრინციპებით ხელმძღვანელობენ და ცდილობენ უზრუნველყონ ჰუმანიტარული ჩარევის სათანადო განხორციელება. ჰუმანიტარული პრინციპები პირველად მკაფიოდ ფორმულირებული იქნა წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის ძირითად პრინციპებში, 1965 წ.

I

identity document	[aɪ'dentɪtɪ 'dɒkjʊmənt]	პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი – დოკუმენტი, რომლის დანიშნულება მისი მფლობელის ვინაობის დადასტურებაა. <i>იხ. ასევე: პასპორტი (passport), სამგზავრო დოკუმენტები (travel documents)</i>
illegal alien	[ɪ'li:ɡəl 'eɪlɪən]	არალეგალური უცხოელი <i>იხ. უსაბუთო უცხოელი (undocumented alien), სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მყოფი მიგრანტი (irregular migrant)</i>
illegal / unlawful entry	[ɪ'li:ɡəl / 'ʌn'lə:fəl 'entri]	არალეგალური / უკანონო შესვლა – საზღვრის გადაკვეთა მიმღებ ქვეყანაში ლეგალური შესვლისთვის დადგენილი აუცილებელი მოთხოვნების შესრულების გარეშე (გაერო-ს ოქმი მიგრანტთა სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო გზებით კონტრაბანდის წინააღმდეგ – გაერთიანებული ერების ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ მიმართული კონვენციის დამატება, 2000 წ., მუხლი 3(ბ). <i>იხ. ასევე: არალეგალური მიგრაცია (irregular migration), უსაბუთო უცხოელი (undocumented alien)</i>
illegal migrant	[ɪ'li:ɡəl 'maɪɡrənt]	არალეგალური მიგრანტი <i>იხ. ასევე: სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მყოფი მიგრანტი (irregular migrant)</i>
illegal migration	[ɪ'li:ɡəl maɪ'ɡreɪʃən]	არალეგალური მიგრაცია <i>იხ. ასევე არალეგალური მიგრაცია (irregular migration)</i>
immigration	[ɪmɪ'ɡreɪʃən]	იმიგრაცია – პროცესი, რომლის შედეგად არამოქალაქეები ჩადიან სხვა ქვეყანაში, იქ დასახლების მიზნით. <i>იხ. ასევე: ემიგრაცია (emigration)</i>
immigration status	[ɪmɪ'ɡreɪʃən 'steɪtəs]	საიმიგრაციო სტატუსი – სტატუსი, რომელიც ენიჭება მიგრანტს მიმღები ქვეყნის საიმიგრაციო კანონმდებლობის თანახმად.
immigration zone	[ɪmɪ'ɡreɪʃən zəʊn]	საიმიგრაციო ზონა – სახელმწიფოს ღია წყლებისა და სახმელეთო ტერიტორიის ზონა, რომელშიც მოქმედებს ამ ქვეყნის საიმიგრაციო კანონმდებლობა (ასევე იწოდება მიგრაციის ზონად).
inalienable	[ɪn'eɪlɪənəb(ə)l]	განუყოფელი – ის, რაც არ ექვემდებარება გადაცემას ან მიკუთვნებას; ხშირად გამოიყენება ადამიანის უფლებების კონტექსტში.
individual migration	[ɪndɪ'vɪdʒu:əl maɪ'ɡreɪʃən]	ინდივიდუალური მიგრაცია – ცალკეული პირების

		ან ოჯახების მიგრაციის შემთხვევები. მასობრივი მიგრაციის პროგრამებისგან განსხვავებით, მსგავსი გადაადგილებები, ჩვეულებრივ, თვითდაფინანსებულია, ან ფინანსდება კერძო პირების, ორგანიზაციების ან სახელმწიფოს მიერ. <i>იხ. ასევე მასობრივი / კოლექტიური მიგრაცია (mass / collective migration)</i>
influx	[ˈɪnflʌks]	შემოდინება – სახელმწიფოში არამოქალაქეთა დიდი რაოდენობით შემოსვლა ქვეყანაში ხანგრძლივი დროის განმავლობაში. <i>იხ. ასევე: მასობრივი / კოლექტიური მიგრაცია (mass / collective migration)</i>
inhumane treatment	[ɪnhjʊrˈmeɪn ˈtri:tmənt]	არაადამიანური მოპყრობა – ფიზიკური ან ფსიქოლოგიური / გონებრივი სისასტიკე, რომელიც საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს და/ან ჯანმრთელობას.
injunction	[ɪnˈdʒʌŋkʃən]	სასამართლოს აკრძალვა – სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც პირს ავალდებულებს ან უკრძალავს რაიმე ქმედების განხორციელებას. სასამართლოს აკრძალვის მისაღებად მოსარჩელემ უნდა დაასაბუთოს, რომ საკითხის მარტივი, ადეკვატური და სრულყოფილი მოგვარების საშუალება კანონის ფარგლებში არ არსებობს და სასამართლო აკრძალვის შესახებ გადაწყვეტილების მიუღებლობის შემთხვევაში მას გამოუსწორებელი ზიანი მიადგება.
instrument	[ˈɪnstɹəmənt]	სამართლებრივი ინსტრუმენტი / იურიდიული დოკუმენტი – წერილობითი ფორმით შედგენილი ფორმალური ან სამართლებრივი დოკუმენტი, როგორიცაა შეთანხმება ან საერთაშორისო ხელშეკრულება. რატიფიცირების, მიღების, დამტკიცების ან მასთან მიერთების შემთხვევაში დოკუმენტი ადასტურებს სახელმწიფოს თანხმობას, იკისროს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება.
integration	[ɪntɪˈɡreɪʃən]	ინტეგრაცია – პროცესი, რომლის დროსაც საზოგადოება იმიგრანტებს იღებს - როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფურად. მიმღები ქვეყნების მიერ დადგენილი მოთხოვნები შეიძლება არსებითად განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან და პასუხისმგებლობა ინტეგრაციაზე აწევს არა მხოლოდ ერთ კონკრეტულ ჯგუფს, არამედ გადანაწილებულია თავად იმიგრანტებს, მთავრობას, ორგანიზაციებს და მიმღები ქვეყნის მოსახლეობას შორის. <i>იხ. ასევე: აკულტურაცია (acculturation), ასიმილაცია</i>

interception	[Intə'sepʃən]	(assimilation) პრევენციული ჩარევა – სახელმწიფოს მიერ მის საზღვრებს გარეთ განხორციელებული ნებისმიერი ზომა, რომელიც მიმართულია შესაბამისი დოკუმენტების არმქონე პირთა მიერ სახმელეთო, საზღვაო ან საჰაერო საზღვრის გადაკვეთისა და სავარაუდო დანიშნულების ქვეყანაში ჩასვლის მცდელობის აღკვეთის, შეწყვეტის ან შეჩერებისკენ. იხ. ასევე: დანიშნულების ქვეყანა (country of destination)
inter-country adoption	[Intə 'kʌntri ə'dɒpʃən]	შვილად აყვანა სხვა ქვეყნის მოქალაქეთა მიერ იხ. შვილად აყვანა (საერთაშორისო) (international child adoption)
internal migration	[In'tɜːnəl maɪ'greɪʃən]	შიდა მიგრაცია – ადამიანების გადაადგილება ქვეყნის ერთი რეგიონიდან მეორეში ახალ საცხოვრებელ ადგილზე დამკვიდრების მიზნით, ან ამგვარი შედეგით. აღნიშნული მიგრაცია შეიძლება იყოს დროებითი ან მუდმივი. შიდა მიგრანტები გადაადგილდებიან, მაგრამ რჩებიან წარმოშობის ქვეყნის საზღვრებში (მაგ. სოფლად დასახლებულთა მიგრაცია ქალაქებში). იხ. ასევე: de facto ლტოლვილები (de facto refugees), ქვეყნის შიგნით [GEO: იძულებით] გადაადგილებული პირები (internally displaced persons), საერთაშორისო მიგრაცია (international migration), სოფლიდან სოფლად მიგრირებულები (rural-rural migrants), სოფლიდან ქალაქში მიგრირებულები (rural-urban migrants), ქალაქიდან სოფელში მიგრირებულები (urban-rural migrants), ქალაქიდან ქალაქში მიგრირებულები (urban-urban migrants)
internally displaced persons / IDPs	[In'tɜːnəlɪ dɪs'pleɪst 'pɜːrs(ə)nz / aɪdɪpɪz]	ქვეყნის შიგნით [GEO: იძულებით] გადაადგილებული პირები – პირები ან პირთა ჯგუფი, რომლებიც აიძულეს ან დაავალდებულეს, დაეტოვებინათ თავიანთი სახლი ან ჩვეული ბინადრობის ადგილი; კერძოდ, შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად ან მისი შედეგების თავიდან აცილების მიზნით, ასევე ძალადობის საყოველთაო გამოვლინებების, ადამიანის უფლებების დარღვევების და ბუნებრივი ან ადამიანის ჩარევით გამოწვეული კატასტროფების თავიდან ასაცილებლად; და რომლებსაც არ დაუტოვებიათ საერთაშორისოდ აღიარებული სახელმწიფო საზღვრები (ქვეყნის შიგნით გადაადგილების სახელმძღვანელო პრინციპები, გაერო-ს დოკუმენტი E/CN.4/1998/53/დანართი 2).

international assistance	[ɪntə'næʃənəl ə'sɪstəns]	<i>იხ. ასევე: გადაადგილებული პირი (displaced person), ქვეყნის გარეთ გადაადგილებული პირები (externally displaced persons)</i> საერთაშორისო დახმარება – საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ გაწეული როგორც არაფულადი, ასევე ფინანსური სახის დახმარება და კვალიფიცირებულ ექსპერტთა მომსახურება.
international law	[ɪntə'næʃənəl lɔ:]	საერთაშორისო სამართალი – სამართლებრივი პრინციპები, რომელთა თანახმად, ხდება სახელმწიფოთა შორის ურთიერთობათა რეგლამენტირება. თანამედროვე მსოფლიოში საერთაშორისო ურთიერთობათა სამართალი ვრცელდება არა მხოლოდ ქვეყნებზე, არამედ ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ფიზიკურ პირებზეც კი (მაგალითად, მათზე, ვინც იცავს საკუთარ უფლებებს ან სამხედრო დანაშაულებების ჩამდენებზე). საერთაშორისო სამართალს ასევე საზოგადოებრივი საერთაშორისო სამართალი (<i>jus gentium</i>) ეწოდება.
international migration	[ɪntə'næʃənəl maɪ'greɪʃən]	საერთაშორისო მიგრაცია – პროცესი, როდესაც ადამიანები ტოვებენ თავიანთ წარმოშობის ან ჩვეული ბინადრობის ქვეყანას სხვა ქვეყანაში მუდმივი ან დროებითი დამკვიდრების მიზნით. საერთაშორისო მიგრაციის შემთხვევაში მიგრანტები კვეთენ საერთაშორისო საზღვარს.
international migration law	[ɪntə'næʃənəl maɪ'greɪʃən lɔ:]	<i>იხ. ასევე: შიდა მიგრაცია (internal migration)</i> მიგრაციის საერთაშორისო სამართალი – ნორმატიულ-სამართლებრივი დოკუმენტები, რომლებიც გამოიყენება მიგრაციის სფეროსთან მიმართებით.
international minimum standard	[ɪntə'næʃənəl 'mɪnɪməm 'stændəd]	საერთაშორისო მინიმალური სტანდარტი – სახელმწიფო ვალდებულია, დაიცვას საერთაშორისო სამართლით განსაზღვრული მინიმალური სტანდარტები მის ტერიტორიაზე მყოფ უცხოელებთან (ან მათ საკუთრებასთან) მოპყრობისას (მაგ., მართლმსაჯულებაზე უარის თქმა, არასანქცირებული დაკავება ან სასამართლოს ხელმისაწვდომობის დაბრკოლების შექმნა არღვევს საერთაშორისო სამართლით განსაზღვრულ მინიმალურ სტანდარტებს.)
international protection	[ɪntə'næʃənəl prəʊ'tekʃən]	<i>იხ. ასევე: ეროვნული რეჟიმი (national treatment)</i> საერთაშორისო დაცვა – სამართლებრივი დაცვა, რომელიც ეფუძნება საერთაშორისო ხელშეკრულებით ორგანიზაციისადმი მიკუთვნებულ მანდატს და ემსახურება სახელმწიფოთა მიერ ლტოლვილთა

სტატუსის შესახებ კონვენციით (1951 წ.), ჟენევის კონვენციებითა (1949 წ.) და ოქმებით (1977 წ.), წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის უფლების ინიციატივით, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციებით და ადამიანის უფლებათა სფეროში შემუშავებული სამართლებრივი დოკუმენტებით განსაზღვრული უფლებების დაცვისთვის გარანტიების შექმნას.

იხ. ასევე: *de facto დაცვა (de facto protection), დაცვა (protection)*

interview

[ˈɪntəvju:]

გასაუბრება – პირის გამოკითხვა ან მასთან გასაუბრება ინფორმაციის მოპოვების ან ადამიანის პიროვნული თვისებების განსაზღვრის მიზნით. გასაუბრება სტანდარტული პროცედურაა ლტოლვილის ან სხვა საიმიგრაციო სტატუსის მინიჭების შესახებ განცხადების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

იხ. ასევე: *საიმიგრაციო სტატუსის მინიჭებაზე გადაწყვეტილების მიმღები პირი (adjudicator), განცხადება (application), სიღრმისეული შემოწმება (secondary inspection)*

involuntary
repatriation

[ɪnˈvɒləntəri
ˌrɛpɛɪtriˈeɪʃən]

არანებაყოფლობითი რეპატრიაცია – ლტოლვილთა რეპატრიაცია წარმოშობის ქვეყანაში მიმღები ქვეყნის მიერ, იმგვარი პირობების შექმნის შედეგად, რაც მათ არ უტოვებს სხვა ალტერნატივას. ვინაიდან რეპატრიაცია პიროვნული უფლებაა (გაძევების ან დეპორტაციისგან განსხვავებით, რომლებიც სახელმწიფოს სუვერენულ უფლებებს წარმოადგენს), არც პირის მოქალაქეობის სახელმწიფო, არც დროებითი ბინადრობის სახელმწიფო ან უწყება, რომელმაც პირის დაკავება განახორციელა, არ არის გამართლებული პირის ნების საწინააღმდეგოდ, რეპატრიაციის განხორციელებისას, იქნება ეს ლტოლვილი, თუ სამხედრო ტყვე. თანამედროვე საერთაშორისო სამართლის თანახმად, სამხედრო ტყვეები ან ლტოლვილები, რომლებიც რეპატრიაციაზე უარს ამბობენ, განსაკუთრებით კი, საკუთარ ქვეყანაში პოლიტიკური შევიწროების შიშის გამო, დაცულ უნდა იქნან გაძევებისგან და შესაძლებლობის შემთხვევაში, უზრუნველყოფილნი – დროებითი ან მუდმივი თავშესაფრით.

იხ. ასევე: *დეპორტაცია (deportation), გაძევება (expulsion / refoulement), იძულებითი დაბრუნება (forced return), რეპატრიაცია (repatriation), დაბრუნება (return), ნებაყოფლობითი დაბრუნება (voluntary return),*

irregular migrant	[i'regjʊlə(r) 'maɪgrənt]	<i>ნებაყოფლობითი რეპატრიაცია (voluntary repatriation)</i> სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მყოფი მიგრანტი – პირი, რომელსაც არალეგალური შესვლის ან ვიზის ამოწურვის გამო არ აქვს სატრანზიტო ან მიმღებ ქვეყანაში ლეგალური ყოფნის სტატუსი. ტერმინი გამოიყენება იმ მიგრანტებთან მიმართებაში, რომლებიც არღვევენ ქვეყანაში შესვლის წესებს, ასევე ყველა იმ პირთან მიმართებაში, რომლებსაც აღარ აქვთ მასპინძელ ქვეყანაში დარჩენის უფლება (ფარული / არალეგალური / უსაბუთო მიგრანტი ან არალეგალურად შემოსული მიგრანტი).
irregular migration	[i'regjʊlə(r) maɪ'greɪʃən]	<i>იხ. ასევე: ფარული მიგრაცია (clandestine migration), საბუთიანი მიგრანტი (documented migrant), უსაბუთო უცხოელი (undocumented alien), არალეგალური შესვლა (illegal entry), არალეგალური მიგრაცია (irregular migration)</i> არალეგალური მიგრაცია – გადაადგილება, რომელიც ხორციელდება გამგზავნი, სატრანზიტო და მიმღები ქვეყნების მარეგულირებელი ნორმების დარღვევით. სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მიგრაციის მკაფიო და საყოველთაოდ აღიარებული განსაზღვრება არ არსებობს. დანიშნულების ქვეყნის თვალთახედვით, ეს არის აღნიშნულ ქვეყანაში არალეგალური შესვლა, დარჩენა ან მუშაობა, რაც ნიშნავს იმას, რომ მიგრანტს არ აქვს ნებართვა, ან მოცემული ქვეყნის საიმიგრაციო რეგულაციებით განსაზღვრული (ქვეყანაში) შესვლის, დარჩენის ან მუშაობისთვის აუცილებელი დოკუმენტები. გამგზავნი ქვეყნის თვალთახედვით, კანონიერი საფუძვლის არარსებობად მიჩნეულია შემთხვევები, როდესაც პირი საერთაშორისო საზღვარს კვეთს ნამდვილი პასპორტის ან სამგზავრო დოკუმენტის გარეშე ან არ ასრულებს ქვეყნის დატოვებისთვის განსაზღვრულ ადმინისტრაციულ მოთხოვნებს. თუმცა, არსებობს ტენდენცია, შეიზღუდოს ტერმინის „არალეგალური მიგრაცია“ გამოყენება და იგი გამოყენებულ იქნეს მხოლოდ მიგრანტთა უკანონო გადაყვანისა და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შემთხვევებში.
itinerant worker	[ai'tɪnərənt 'wɜ:kə(r)]	<i>იხ. ასევე: ფარული მიგრაცია (clandestine migration), სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მყოფი მიგრანტი (irregular migrant), ლეგალური მიგრაცია (regular migration), უსაბუთო უცხოელი (undocumented alien)</i> მიგრანტი, რომლის საქმიანობაც დაკავშირებულია მოგზაურობასთან – შრომითი მიგრანტი, რომელიც,

ჩვეულებრივ, ცხოვრობს ერთ ქვეყანაში და თავისი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, იძულებულია, გაემგზავროს მეორე ქვეყანაში ან ქვეყნებში ხანმოკლე პერიოდებით (*შრომითი მიგრანტების და მათი ოჯახის წევრების უფლებათა დაცვის საერთაშორისო კონვენცია, 1990 წ., მუხლი 2(2)(ე).*

იხ. ასევე: შრომითი მიგრანტი (migrant worker)

J

judgement	[ˈdʒʌdʒmənt]	განჩინება / სასამართლოს გადაწყვეტილება – საქმეში მონაწილე მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება სასამართლოს მიერ.
judicial review	[dʒuːˈdɪʃəl riˈvjuː]	ზემდგომი სასამართლოს მიერ საქმის მეორეჯერ განხილვა – სასამართლოს უფლებამოსილება, გააუქმოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ქმედებები, როგორც არაკონსტიტუციური ან კანონთან წინააღმდეგობაში მყოფი; სასამართლოს მიერ ფაქტობრივი ან იურიდიული გადაწყვეტილებების გადასინჯვა, რომლებიც მიღებული იქნა უფრო დაბალი ინსტანციის სასამართლოს ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ.
judiciary	[dʒuːˈdɪʃ(i)əri]	სასამართლო ხელისუფლება – ხელისუფლების შტო, რომელიც პასუხისმგებელია კანონების ახსნა-განმარტებაზე და მართლმსაჯულების ადმინისტრირებაზე; სასამართლოთა სისტემა; მოსამართლეთა უწყება.
jurisdiction	[dʒʊərɪsˈdɪkʃən]	იურისდიქცია – სარჩელის საფუძვლიანობის განხილვის ან განსაზღვრის იურიდიული ძალაუფლება ან უფლებამოსილება. ტერმინი ასევე შეიძლება შეეხებოდეს გარკვეული ტერიტორიის საზღვრებს, რომლებშიც შესაძლოა ხორციელდებოდეს რომელიმე კონკრეტული უფლებამოსილება.
jus cogens	[dʒʌs ˈkəʊɡenz]	jus cogens (ლათ.) საერთო საერთაშორისო სამართალი – კანონის იმპერატიული ნორმა, რაც გულისხმობს მის სავალდებულო ხასიათს ყველასთვის, ცალკეულ მხარეთა ნების მიუხედავად. საერთო საერთაშორისო სამართლის იმპერატიული ნორმა მიღებულია და აღიარებულია სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ მთლიანობაში როგორც ნორმა, რომლისგან ნებისმიერი სახის გადახვევა დაუშვებელია და რომლის შეცვლა შეიძლება მხოლოდ საერთო საერთაშორისო სამართლის იგივე ხასიათის მქონე მომდევნო ნორმით (<i>ვენის კონვენცია სახელშეკრულებო სამართლის შესახებ, 1969 წ., მუხლი 53</i>), მაგ., წამების აკრძალვა.
jus sanguinis	[dʒʌs ˈsæŋɡwɪnɪs]	jus sanguinis (ლათ.) „სისხლის პრინციპი“ – წესი, რომლის თანახმად ბავშვის მოქალაქეობა განისაზღვრება მშობლების მოქალაქეობის მიხედვით, მისი დაბადების ადგილის მიუხედავად.

jus soli

[dʒʌs 'səʊlɑɪ]

იხ. ასევე: *jus soli*

jus soli (ლათ.) „წიადაგის პრინციპი“ - წესი, რომლის თანახმად ბავშვის მოქალაქეობა განისაზღვრება მისი დაბადების ადგილის მიხედვით (თუმცა მოქალაქეობა ბავშვს შეიძლება მშობლების მოქალაქეობის მიხედვით მიენიჭოს).

იხ. ასევე: *jus sanguinis*

K

kidnapping

['kɪd'næpɪŋ]

გატაცება გამოსასყიდის მიღების მიზნით – პირის ან პირთა ჯგუფის კანონსაწინააღმდეგო იძულებითი გატაცება ან დაკავება, რომელიც, ჩვეულებრივ, ხორციელდება გატაცებული მსხვერპლისგან ან მესამე მხარისგან ეკონომიკური ან პოლიტიკური სარგებლის მიღების მიზნით. გატაცება გამოსასყიდის მიღების მიზნით ექვემდებარება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ცალკეული ქვეყნების ეროვნულ კანონმდებლობათა მიხედვით; თუმცა, გამოსასყიდის მიღების მიზნით ჩადენილი გარკვეული სახის გატაცებებზე (მაგ., მეკობრეობაზე) ვრცელდება საერთაშორისო სამართლის ნორმები.

L

labour migration	[ˈleɪbə(r) maɪˈɡreɪʃən]	შრომითი მიგრაცია – ადამიანების გადაადგილება ერთი ქვეყნიდან მეორეში, დასაქმების მიზნით. უმეტეს ქვეყნებში შრომითი მიგრაცია რეგულირდება მიგრაციის სფეროს მარეგულირებელი ეროვნული კანონმდებლობით. ამასთან, ზოგი ქვეყანა აქტიურად მონაწილეობს მის ფარგლებს გარეთ მიგრაციის რეგულირებაში და საკუთარ მოქალაქეთათვის ხელსაყრელი პირობების შექმნაში.
laissez-passer	[ləse pase]	<i>იხ. ცირკულარული მიგრაცია (circular migration)</i> laissez-passer (ფრანგ. საშვი) – 1) გაერო-ს მიერ თავის თანამშრომელთათვის გაცემული სამგზავრო დოკუმენტი (რომელიც ქვეყნების მიერ აღიარებული და მიღებულია, როგორც მოქმედი სამგზავრო დოკუმენტი), სამსახურებრივი მივლინების მიზნებიდან გამომდინარე (<i>გაერო-ს პრივილეგიებისა და იმუნიტეტების შესახებ ძირითადი კონვენცია, 1946 წ.</i>); 2) რეადმისიის ხელშეკრულებათა კონტექსტში: სტანდარტული დროებითი სამგზავრო დოკუმენტი (დასაბრუნებელი მოწმობა), რომელიც გაიცემა მესამე ქვეყნის მოქალაქეზე წარმოშობის ან მუდმივი ბინადრობის ქვეყანაში დასაბრუნებლად (<i>ევროსაბჭოს 1994 წ. 30 ნოემბრის რეკომენდაციის დანართი</i>). კანონიერი – ის, რაც კანონს არ ეწინააღმდეგება, კანონით ნებადართული. კანონიერი დაშვება (ქვეყანაში) – უცხოელის კანონიერი შესვლა ქვეყანაში, მათ შორის, მოქმედი საიმიგრაციო ვიზის საფუძველზე.
lawful	[ˈlɔːfʊl]	<i>იხ. ასევე: ქვეყანაში დაშვება (admission)</i> ერთა სამართალი
lawful admission	[ˈlɔːfʊl ædˈmɪʃən]	<i>იხ. ასევე: საერთაშორისო სამართალი (international law)</i> ლეგალიზაცია – პროცედურა, რომელიც მიმართულია რაიმე ქმედების კანონის ფარგლებში მოსაქცევად; ავტორიზაცია ან დასაბუთება სამართლებრივი სანქცირების გზით.
legalization	[ˈliːgəlaɪzeɪʃən]	ლეგიტიმური – ის, რაც წარმოადგენს ნამდვილს, მოქმედს ან კანონიერს. მაგალითად, ლეგალური მიგრანტი ქვეყანაში შედის ლეგიტიმური განზრახვით, დაიცვას მიგრაციის მარეგულირებელი კანონმდებლობა და წარმოადგინოს ლეგიტიმური სამგზავრო დოკუმენტები.
legitimate	[lɪˈdʒɪtɪmət]	<i>იხ. ასევე: კეთილსინდისიერი (bona fide)</i>

lineage	[ˈlɪnɪdʒ]	გენეოლოგია, წარმომავლობა – წინაპრები და შთამომავლები; ოჯახი, აღმავალი ან დაღმავალი ხაზით.
local remedies, exhaustion of	[ˈləukəl remədɪz ɪgˈzɔːstʃ(ə)n əv]	შიდასამართლებრივი გასაჩივრების საშუალების ამოწურვა – წესი, რომლის თანახმად, სამართლებრივი დაცვის საშუალებები უნდა ამოიწუროს საქმის საერთაშორისო ინსტანციაში განხილვამდე. ეს წესი დადგენილია საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის მიერ და ძირითადად გამოიყენება იმ შემთხვევებში, როდესაც ქვეყანა იღებს თავისი მოქალაქის მიერ წარდგენილ საჩივარს, რომლის უფლებების ხელყოფა, მისივე განცხადების მიხედვით, მოხდა სხვა ქვეყანაში, საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევით. საერთაშორისო სასამართლოსადმი მიმართვამდე აღნიშნულ სიტუაციაში სავალდებულოა, რომ ქვეყანას, სადაც მოხდა დარღვევა, მიეცეს საშუალება, თავისი სამართლებრივი სისტემის ფარგლებში არსებული საშუალებებით გამოასწოროს აღნიშნული დარღვევა (<i>ინტერჰენდელის საქმე, გაერო-ს/პირველადი პრეტენზია (მიღებლობის მოთხოვნით) / მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო, 1959 წ.</i>)
long-term migrant	[ˌlɒŋ ˈtɜːm ˈmaɪgrənt]	გრძელვადიანი მიგრანტი – პირი, რომელიც მიემგზავრება მისი ჩვეული ბინადრობის ქვეყნიდან განსხვავებულ ქვეყანაში, სულ ცოტა ერთი წლით მაინც, ისე, რომ დანიშნულების ქვეყანა, ფაქტობრივად, მისი ახალი ჩვეული ბინადრობის ქვეყანა ხდება. გამგზავრების ქვეყნის შეხედულებით, აღნიშნული პირი გრძელვადიან ემიგრანტს, ხოლო მიმღები ქვეყნის თვალსაზრისით – გრძელვადიან იმიგრანტს წარმოადგენს.
lookout system	[ˈlʊkaʊt ˈsɪstɪm]	<i>იხ. ასევე: მუდმივი მოსახლეები (permanent settlers), მოკლევადიანი მიგრანტი (short-term migrant)</i> არასასურველ / ძიებაში მყოფ პირთა სია – იმ პირთა ოფიციალური, ჩვეულებრივ (მაგრამ არა აუცილებლად) ავტომატიზებული სია, რომელთაც არ უნდა მიეცეთ სახელმწიფოში შესვლის საშუალება ან შესვლისთანავე უნდა იქნენ დაპატიმრებულნი. აღნიშნული სია, ჩვეულებრივ, წარმოადგენს უწყებათაშორის პროექტს, რომელსაც ინფორმაციით უზრუნველყოფენ ქვეყნის სამართალდამცავი, სადაზვერვო და მიგრაციის სამსახურები. საკონსულოს თანამშრომლები ან საზღვრის კონტროლზე პასუხისმგებელი პირები

რეგულარულად ამოწმებენ მონაცემებს სისტემაში (იქნება ეს ელექტრონული თუ ბეჭდური სახით), ვიზის გაცემაზე ან პიროვნების ქვეყანაში შესვლის ნებართვაზე გადაწყვეტილების მიღებისას.

იხ. ასევე: ბიომეტრია (biometrics)

loss of nationality

[lɒs əv næʃə'nælɪti]

მოქალაქეობის დაკარგვა – მოქალაქეობის დაკარგვა შეიძლება თან მოჰყვეს ინდივიდის (ექსპატრიაცია, მოქალაქეობაზე გამიზნული უარის თქმა ან მოქალაქეობის ავტომატური დაკარგვა სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მიღების შედეგად) ან სახელმწიფოს (მოქალაქეობის ჩამორთმევა) ქმედებას. მოქალაქეობის ჩამორთმევა წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ ცალმხრივ აქტს, რომელიც გამოიხატება ადმინისტრაციულ ორგანოთა გადაწყვეტილებით ან კანონის ამოქმედებით, რის შედეგადაც პირი კარგავს მოქალაქეობას. მიუხედავად იმისა, რომ მოქალაქეობის ჩამორთმევის საყოველთაო დებულებები არ არსებობს, რიგმა სახელმწიფოებმა შეიმუშავეს შესაბამისი ნორმები, როგორიცაა: სხვა ქვეყნის სამოქალაქო ან სამხედრო სამსახურში ჩადგომა, უცხო ქვეყნის ჯილდოების მიღება, გასამართლება გარკვეული სახის დანაშაულებებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ მოქალაქეობის მინიჭება ან ჩამორთმევა, არსებითად, სახელმწიფოს იურისდიქციას წარმოადგენს, სახელმწიფოებმა მოქალაქეობის საკითხების გადაწყვეტისას უნდა დაიცვან საერთაშორისო სამართლის გარკვეული ნორმები, როგორიცაა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მუხლი 15(2): „არავის არ შეიძლება თვითნებურად ჩამოერთვას მოქალაქეობა ან მოქალაქეობის შეცვლის უფლება“.

იხ. ასევე: მოქალაქეობა (nationality), მოქალაქეობის არქონა (statelessness)

M

mala fide	[ˈməɪlə ˈfaɪdɪ]	არაკეთილსინდისიერი (ლათ.) – „არაპატიოსანი განზრახვით“; თაღლითობის და მოტყუების მიზნით.
mandate refugee	[ˈmændəɪt rɛfjuːˈdʒiː]	იხ. ასევე: bona fide მანდატით განსაზღვრული ლტოლვილი იხ. ლტოლვილი (მანდატით განსაზღვრული) (refugee (mandate))
mass / collective migration	[mæs / kəˈlektɪv maɪˈɡreɪʃən]	მასობრივი / კოლექტიური მიგრაცია – ადამიანთა დიდი ჯგუფების მოულოდნელი გადაადგილება. იხ. ასევე: ინდივიდუალური მიგრაცია (individual migration), შემოდინება (influx)
mediation	[miːdiˈeɪʃən]	მედაცია, მედატორობა (შუამავლობა) – დავების მოგვარების არასავალდებულო მეთოდი ნეიტრალური მესამე მხარის მონაწილეობით, რომელიც ცდილობს, დაეხმაროს მოდავე მხარეებს ორმხრივად მისაღები გადაწყვეტილების მიღწევაში.
member of minority	[ˈmɛmbə(r) əv miˈnɒrɪti]	უმცირესობის წარმომადგენელი – პირი, რომელიც, იმის მიუხედავად, რომ მისი წარმომავლობა უცხო ქვეყანას უკავშირდება, ხდება მიმღები ქვეყნის მოქალაქე ამ ქვეყანაში დაბადების შედეგად ან ნატურალიზაციის გზით.
members of the family	[ˈmɛmbə(r)z əv ðə ˈfæmɪli]	იხ. ასევე: უმცირესობა (minority) ოჯახის წევრები – შრომით მიგრანტებთან ქორწინებაში ან ისეთ ურთიერთობაში მყოფი პირები, რაც მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, შეიძლება ჩაითვალოს ქორწინებად. ასევე, მათზე დამოკიდებული შვილები და სხვა პირები, რომლებიც მოქმედი კანონმდებლობის ან დაინტერესებულ სახელმწიფოთა შორის გაფორმებული ორმხრივი ან მრავალმხრივი შეთანხმებების მიხედვით, ითვლებიან ოჯახის წევრებად (შრომითი მიგრანტების და მათი ოჯახის წევრების უფლებათა დაცვის საერთაშორისო კონვენცია, 1990 წ., მუხლი 4).
migrant	[ˈmaɪɡrənt]	იხ. ასევე: ბავშვი (child), დამოკიდებული პირები (dependants), მეორადი განმცხადებელი (derivative applicant) მიგრანტი – საერთაშორისო დონეზე ტერმინ „მიგრანტის“ საყოველთაოდ მიღებული განსაზღვრება არ არსებობს. ჩვეულებრივ, ტერმინი „მიგრანტი“ მოიაზრებს ყველა იმ შემთხვევას, როდესაც პირი მიგრაციის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს

migrant in an irregular situation	['maɪgrənt ɪn ən ɪ'regjələ(r) sɪtjʊr'eɪʃən]	თავისუფლად, ძალდაუტანებლად, რაც ნაკარნახევია „პირადი კეთილდღეობის“ მიზეზით და ხდება გარე იძულებითი ფაქტორის ჩარევის გარეშე. ამდენად, ეს ტერმინი გამოიყენება იმ პირთა და მათი ოჯახის წევრთა მიმართ, რომლებიც მიემგზავრებიან სხვა ქვეყანაში ან რეგიონში, როგორც მატერიალური და სოციალური პირობების, ასევე პირადი და თავისი ოჯახის წევრების სამომავლო პერსპექტივების გაუმჯობესების მიზნით. სამართლებრივი საფუძვლის გარეშე შემოსული მიგრანტი
migrant flow	['maɪgrənt fləʊ]	<i>იხ. სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მყოფი მიგრანტი (irregular migrant), უსაბუთო შრომითი მიგრანტი (undocumented migrant worker)</i> მიგრანტთა ნაკადი – გარკვეული რაოდენობა მიგრანტებისა, რომლებიც შემოდის ქვეყანაში ან მიემგზავრებიან ქვეყნიდან, ან რომლებიც სარგებლობენ ქვეყანაში შემოსვლის ან ქვეყნიდან გასვლის უფლებით, დასაქმების ან კონკრეტული დროის შემდეგ საკუთარი თავის დამკვიდრების მიზნით.
migrant stock	['maɪgrənt stɒk]	მიგრანტთა ჯგუფი – მიგრანტთა გარკვეული რაოდენობა, რომელიც ცხოვრობს ქვეყანაში დროის კონკრეტულ მომენტში.
migrant worker	['maɪgrənt 'wɜ:kə(r)]	შრომითი მიგრანტი – პირი, რომელიც დასაქმდება, დასაქმებულია ან დასაქმებული იყო ანაზღაურებადი საქმიანობით ქვეყანაში, რომლის მოქალაქესაც იგი არ წარმოადგენს (<i>შრომითი მიგრანტების და მათი ოჯახის წევრების უფლებათა დაცვის საერთაშორისო კონვენცია, 1990 წ., მუხლი 2(1)</i>).
migrant worker in an irregular situation	['maɪgrənt 'wɜ:kə(r) ɪn ən ɪ'regjələ(r) sɪtjʊr'eɪʃən]	<i>იხ. ასევე: საბუთიანი შრომითი მიგრანტი (documented migrant worker), საზღვრისპირა მუშაკი (frontier worker), მიგრანტი, რომლის საქმიანობა დაკავშირებულია მოგზაურობასთან (itinerant worker), პროექტში დასაქმებული მუშაკი (project-tied worker), მეზღვაური (seafarer), სეზონური მუშაკი (seasonal worker), თვითდასაქმებული მუშაკი (self-employed worker), მიზნობრივად დასაქმებული მუშაკი (specified employment worker), სანაპირო ზოლზე განლაგებულ ობიექტზე დასაქმებული მუშაკი (worker on an offshore installation)</i> სამართლებრივი საფუძვლის გარეშე შემოსული შრომითი მიგრანტი <i>იხ. უსაბუთო შრომითი მიგრანტი (undocumented migrant worker)</i>

migrants for settlement	['maɪgrənts fə(r) 'set(ə)lmənt]	ჩასახლებას დაქვემდებარებული მიგრანტები – უცხო ქვეყნის მოქალაქეები, რომლებმაც მიიღეს ხანგრძლივი ან განუსაზღვრელი დროით დარჩენის უფლება და რომლებსაც, ფაქტობრივად, შეუზღუდავად შეუძლიათ ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური უფლებების განხორციელება (მაგ., დაქირავებული შრომითი მიგრანტები, ოჯახის გაერთიანების მიზნით მიგრირებულები, მიგრანტები თავისუფალი განსახლების უფლებით ან უცხოელი პენსიონერები).
migration	[maɪ'greɪʃən]	მიგრაცია – საერთაშორისო საზღვარზე ან ქვეყნის შიგნით გადაადგილების პროცესი. მიგრაცია გულისხმობს მოსახლეობის ნებისმიერი სახით გადაადგილებას, მიუხედავად ხანგრძლივობისა, შემადგენლობისა და გამომწვევი მიზეზებისა; მიგრაცია მოიცავს ლტოლვილთა, იძულებით გადაადგილებულ პირთა, გამოსახლებულ პირთა და ეკონომიკურ მიგრანტთა გადაადგილებას.
migration management	[maɪ'greɪʃən 'mænɪdʒmənt]	იხ. ასევე: მიგრაციის მთლიანი მოცულობა (total migration) / მიგრაციის საღდო (net migration) მიგრაციის მართვა – ტერმინი გამოიყენება მიგრაციის ჰუმანური, მოწესრიგებული კონტროლის ეროვნული სისტემის და შესაბამისი მრავალმხრივი სახელმწიფო ფუნქციების აღსანიშნავად, რაც კერძოდ, მოიცავს უცხო ქვეყნის მოქალაქეთა შემოსვლის და ქვეყნის საზღვრებში დარჩენის პროცესების მართვას და ასევე, ლტოლვილთა და იმ პირთა დაცვას, რომელთაც აღნიშნული დაცვა ესაჭიროებათ.
minimum standard	['mɪnɪməm 'stændəd]	მინიმალური სტანდარტი
minor	['maɪnə(r)]	იხ. საერთაშორისო მინიმალური სტანდარტი (international minimum standard) არასრულწლოვანი – პირი, რომელსაც ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით, არ მიუღწევია სრულწლოვანი ასაკისთვის და შესაბამისად, არ აქვს გარკვეული სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების განხორციელების უფლებამოსილება.
minority	[mi'nɒrɪti]	იხ. ასევე: ბავშვი (child) უმცირესობა – მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო სამართალში უმცირესობის საყოველთაოდ მიღებული განსაზღვრება არ არსებობს, ასეთად შეიძლება ჩაითვალოს ჯგუფი, რომელიც რაოდენობრივად მცირეა დანარჩენ მოსახლეობასთან შედარებით და არ უჭირავს დომინირებული მდგომარეობა; მისი წევრები ხასიათდებიან დანარჩენი მოსახლეობისგან

		განსხვავებული ეთნიკური, რელიგიური და ლინგვისტური თვისებებით და გაერთიანებულნი არიან, თუმცა არა გამოკვეთილად, თავიანთი კულტურის, ტრადიციების, რელიგიისა და ენის შენარჩუნებისკენ მიმართული სოლიდარობის გრძნობით.
mixed flows	[mɪkst 'fləʊz]	<i>იხ. ასევე უმცირესობის წევრი (member of minority)</i> შერეული ნაკადები – მოსახლეობის კომპლექსური გადაადგილება, რომელიც მოიცავს ლტოლვილებს, თავშესაფრის მაძიებლებს, ეკონომიკურ და სხვა მიგრანტებს.
multilateral	[mʌltɪ'lætərəl]	მრავალმხრივი – ხელშეკრულებებთან და მოლაპარაკებებთან მიმართებაში, ტერმინი „მრავალმხრივი“ გულისხმობს პროცესში ორზე მეტი სახელმწიფოს ჩართულობას. <i>იხ. ასევე: ორმხრივი (bilateral), საერთაშორისო ხელშეკრულება (treaty)</i>

N

national / citizen [ˈnæʃənəl / ˈsɪtɪzən]

მოქალაქე – პირი, რომელიც დაბადებით ან ნატურალიზაციის შედეგად წარმოადგენს პოლიტიკური თემის წევრს, არის თემისადმი ლოიალური და უფლებამოსილია, განახორციელოს ყველა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლება და იყოს დაცული; სახელმწიფოს წევრი, რომელიც უფლებამოსილია, სარგებლობდეს ყველა არსებული პრივილეგიით. პირი, რომელსაც აქვს რომელიმე ქვეყნის მოქალაქეობა.

იხ. ასევე: მოქალაქეობა (nationality), ნატურალიზაცია (naturalization)

national territory [ˈnæʃənəl ˈtɛrɪtəri]

ეროვნული ტერიტორია – გეოგრაფიული რაიონები, რომლებიც მიეკუთვნება სახელმწიფოს, ან იმყოფება მისი იურისდიქციის ფარგლებში.

national treatment [ˈnæʃənəl ˈtri:tment]

ეროვნული რეჟიმი – ამ სტანდარტის თანახმად, უცხოელს არ უნდა ჰქონდეს იმაზე უკეთესი სამართლებრივი დაცვის მოლოდინი, რომელსაც მიმღები ქვეყანა სთავაზობს თავის მოქალაქეებს. თუმცა, ეროვნული რეჟიმი არ უნდა იქნეს გამოყენებული სახელმწიფოს მიერ, როგორც საერთაშორისო სამართლის მინიმალური სტანდარტით განსაზღვრულ საერთაშორისო ვალდებულებათა თავიდან აცილების საშუალება.

nationality / citizenship [ˈnæʃəˈnælɪti / ˈsɪtɪzənʃɪp]

მოქალაქეობა – ინდივიდსა და სახელმწიფოს შორის არსებული სამართლებრივი კავშირი. გაერო-ს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ 1955 წელს *ნოტებომის საქმის* (Nottebohm case) საფუძველზე მოქალაქეობა განსაზღვრა, როგორც „სამართლებრივი კავშირი, რომელსაც საფუძვლად უდევს მიჯაჭვულობის სოციალური ფაქტი, არსებობის, ინტერესებისა და გრძნობების ჭეშმარიტი ურთიერთკავშირი, ორმხრივი უფლებებისა და ვალდებულებების არსებობასთან ერთად. [...] პირი, რომელსაც მოქალაქეობა ენიჭება, ან უშუალოდ კანონის მიხედვით, ან ხელისუფლების ქმედებათა შედეგად, ფაქტობრივად, უფრო მჭიდრო კავშირში იმყოფება მოქალაქეობის მიმნიჭებელი სახელმწიფოს მოსახლეობასთან, ვიდრე ნებისმიერ სხვა სახელმწიფოსთან“. *მოქალაქეობის კანონებთან დაკავშირებულ საკითხებზე ჰააგის კონვენციის (1930 წ.) 1-ლი მუხლის მიხედვით: „თითოეული სახელმწიფო თავად, თავის კანონებთან*

		შესაბამისობით წევრებს, ვინ არიან მისი მოქალაქეები. ეს კანონი აღიარებული უნდა იქნეს სხვა სახელმწიფოების მიერ იმდენად, რამდენადაც ის შეესაბამება საერთაშორისო კონვენციებს, საერთაშორისო სტანდარტებს და მოქალაქეობის მარეგულირებელ საყოველთაოდ აღიარებულ სამართლის პრინციპებს“.
naturalization	[ˌnætʃərəlaɪˈzeɪʃən]	იხ. ასევე: მოქალაქეობა (citizenship), მოქალაქეობის დაკარგვა (loss of nationality), მოქალაქე (national) ნატურალიზაცია – სახელმწიფოს მიერ მოქალაქეობის მინიჭება უცხოელისთვის, ამ უკანასკნელის განაცხადის საფუძველზე მიღებული ოფიციალური აქტის შესაბამისად. საერთაშორისო სამართალი ნატურალიზაციის წესებს დაწვრილებით არ განსაზღვრავს, მაგრამ აღიარებს ყოველი სახელმწიფოს კომპეტენციას, მოახდინონ იმ პირთა ნატურალიზაცია, რომლებიც არ წარმოადგენენ მოქალაქეებს და რომლებიც მიმართავენ შესაბამის სახელმწიფოს მოქალაქეობის მინიჭების თხოვნით.
net migration	[net maɪˈgreɪʃən]	იხ. ასევე: მოქალაქე (national), მოქალაქეობა (nationality) მიგრაციის სალდო
		იხ. ასევე: მიგრაციის მთლიანი მოცულობა (total migration)
neutrality	[njuːˈtrælɪti]	ნეიტრალიტეტი – სახელმწიფოს მდგომარეობა, რომელიც შეიარაღებული კონფლიქტის მიმდინარეობისას არ იკავებს არც ერთ მხარეს, მაგრამ ამავდროულად, აგრძელებს მშვიდობიან ურთიერთობებს კონფლიქტში მონაწილე მხარეებთან.
next of kin	[ˌnɛkst əf ˈkɪn]	უახლოესი ნათესავი – პირთან ყველაზე ახლო სისხლით ნათესაობაში მყოფი ადამიანი ან ადამიანები.
nomad	[ˈnɒmæd]	მომთაბარე – ინდივიდი, ხშირად ჯგუფის წევრი, რომელიც გადაადგილდება ერთი ადგილიდან მეორეზე, ჩვეულებრივ, წყლის, საკვების და სამოვრების მოძიების მიზნით.
non-admission	[ˌnɒnædˈmɪʃən]	უარი ქვეყანაში დაშვებაზე - ქვეყნის ტერიტორიაზე შესვლაზე უარის თქმა.
		იხ. ასევე: ქვეყანაში დაშვება (admission)
non-discrimination	[ˌnɒndɪskrɪmɪˈneɪʃən]	დისკრიმინაციის აკრძალვა – უარის თქმა ადამიანთა ნეგატიური სახით გამორჩევაზე მხოლოდ იმ ნიშნით, რომ ისინი კონკრეტულ კატეგორიას მიეკუთვნებიან. დისკრიმინაცია აკრძალულია საერთაშორისო სამართლით, მაგ.: <i>სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის (1966 წ.) მუხლი 26-ის</i> თანახმად: „ყველა ადამიანი თანასწორია კანონის

		წინაშე და ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე აქვს კანონის თანასწორი დაცვის უფლება. ამ მხრივ ყოველგვარი დისკრიმინაცია უნდა აიკრძალოს კანონით და კანონი უნდა უზრუნველყოფდეს ყველა პირის თანასწორ და ეფექტიან დაცვას რაიმე ნიშნის, როგორიცაა რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა მრწამსის, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა გარემოებების გამო დისკრიმინაციის წინააღმდეგ.“
non-documented migrant workers	[,nɒn'dɒkjʊmentɪd 'maɪgrənt' wɜ:kə(r)z]	<i>იხ. ასევე: დისკრიმინაცია (discrimination), ჰუმანიტარული პრინციპები (humanitarian principles)</i> უსაბუთო შრომითი მიგრანტები <i>იხ. უსაბუთო შრომითი მიგრანტები (undocumented migrant workers)</i>
non-national	[,nɒn'næʃənəl]	არამოქალაქე <i>იხ. უცხოელი (alien), უცხო ქვეყნის მოქალაქე (foreigner), მესამე ქვეყნის მოქალაქე (third country national)</i>
non-refoulement	[,nɒnrɪ:'faʊlment]	გაძევების დაუშვებლობა – ლტოლვილთა სტატუსის შესახებ ჟენევის კონვენციით (1951 წ.) განსაზღვრული პრინციპი, რომლის თანახმად „არც ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფო არ გაასახლებს ან დააბრუნებს ლტოლვილს იმ ქვეყნის საზღვარზე, სადაც მის სიცოცხლეს ან თავისუფლებას საფრთხე ემუქრება რასის, რელიგიის, ეროვნების, გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების ან პოლიტიკური მრწამსის გამო.“ თუმცა, ეს პრინციპი არ შეიძლება გამოყენებული იქნეს „იმ ლტოლვილთან მიმართებაში, რომელიც ანგარიშგასაწევი მიზეზების გამო სახელმწიფო უშიშროებისთვის საფრთხეს წარმოადგენს ქვეყანაში, სადაც იგი იმყოფება ან მსჯავრდებულია სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებით განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისთვის და ამ ქვეყნის მოსახლეობისთვის საფრთხეს წარმოადგენს“. <i>(ლტოლვილთა სტატუსის შესახებ ჟენევის კონვენცია, 1951 წ., მუხლი 33 (1) და (2)).</i> <i>იხ. ასევე: აუცილებლობით გამოწვეული დაყოვნების უფლება (tolerated stay)</i>

O

oath	[აჲთ]	ფიცი – ნამდვილობის საჯარო დადასტურება, რომელიც უფრო მეტ ძალას იძენს რაიმე წმინდად ან პატივსაგებად მიჩნეულის (მაგ., ღმერთის) ხსენების შედეგად. იურიდიულ კონტექსტში, ფიცის დადებით გაკეთებული ზეპირი ან წერილობითი განცხადება სიმართლის თქმის იურიდიულ ვალდებულებას წარმოშობს. ქვეყნების უმრავლესობაში, ის ვინც ფიცის დადების შემდეგ სიმართლეს არ ამბობს, ჩადის სისხლის სამართლის დანაშაულს.
ombudsman	['ɒmbʊdzmən]	სახალხო დამცველი (ომბუდსმენი) – სახელმწიფოს კონკრეტული ქმედებების თაობაზე მოქალაქეთა საჩივრების მიღების, შესწავლის და ანგარიშის მომზადების მიზნით დანიშნული თანამდებობის პირი (ზოგ ქვეყანაში ამ პირთა კომპეტენციაში შედის მიგრაციის საკითხებიც).
orderly migration	[ˈɔːdəli maɪˈɡreɪʃən]	ორგანიზებული მიგრაცია – ადამიანის გადაადგილება მისი ჩვეული საცხოვრებლიდან ახალ საცხოვრებელ ადგილზე; როგორც წარმოშობის ქვეყნიდან გამგზავრების, ასევე მგზავრობის, სატრანზიტო და მიმღებ ქვეყანაში შესვლის მარეგულირებელი კანონებისა და რეგულაციების დაცვით.
organized crime	[ˈɔːɡənaɪzd kraɪm]	<i>იხ. ასევე: მიგრაციის მართვა (migration management)</i> ორგანიზებული დანაშაული – ფართოდ გავრცელებული დანაშაულებრივი საქმიანობა, რომელიც კოორდინირებულია და კონტროლდება ცენტრალური სინდიკატის მიერ.
overstay	[əʊvəˈsteɪ]	<i>იხ. ასევე: საზღვარზე უკანონოდ გადაყვანა (smuggling), ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) (trafficking in persons / in human beings)</i> ნებადართულ ვადაზე მეტი ხნით დარჩენა – ქვეყანაში ყოფნა იმ ვადაზე მეტი ხნით, რაზეც გაიცა ნებართვა. ტერმინი ასევე შეიძლება გამოიყენებოდეს, როგორც არსებითი სახელი: „უსაბუთო უცხოელთა რაოდენობა თანაბრადაა გადანაწილებული ვადაზე მეტი ხნით დარჩენებსა და არალეგალურ შემოსვლებს შორის“.
		<i>იხ. ასევე: სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მყოფი მიგრანტი (irregular migrant), უსაბუთო უცხოელი (undocumented alien)</i>

P

Palermo Protocols [pə'le:məʊ
'prəʊtəʊkɒlz]

პალერმოს ოქმები – ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ კონვენციის დამატებითი ოქმები (2000 წ.): *ოქმები მიგრანტთა სახელმწიფო, საზღვაო და საჰაერო გზებით უკანონო გადაყვანის წინააღმდეგ, ოქმი ადამიანით, განსაკუთრებით, ქალებით და ბავშვებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ, ოქმი უკანონოდ წარმოებული ცეცხლსასროლი იარაღის, მისი შემადგენელი ნაწილების და საბრძოლო მასალების ბრუნვის წინააღმდეგ.*

passenger ['pæsɪndʒə(r)]

მგზავრი – პირი, რომელიც გადაადგილდება სატრანსპორტო საშუალებით (გემით, ავტობუსით, ავტომობილით, თვითმფრინავით, მატარებლით და ა.შ.), მაგრამ რომელიც მას არ მართავს.

passport ['pɑ:spɔ:t]

პასპორტი – პირის, როგორც იმ ქვეყნის მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი, რომელიც გასცემს პასპორტს, რაც წარმოადგენს მფლობელის ამ ქვეყანაში დაბრუნების უფლების მტკიცებულებას. დასავლეთის ქვეყნების ტრადიციით, პასპორტი გამოიყენება საზღვარგარეთ სამგზავროდ და არა როგორც პირადობის დამადასტურებელი შიდა დოკუმენტი. პასპორტი წარმოადგენს საერთაშორისოდ აღიარებულ დოკუმენტს ან მოქალაქეობის მტკიცებულებას, თუმცა მისი მტკიცებულებითი ღირებულება მხოლოდ *prima facie* დატვირთვას ატარებს.

იხ. ასევე: პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი (identity document), სამგზავრო დოკუმენტები (travel documents)

permanent residence ['pɜ:mənənt
'rezɪdəns]

მუდმივი ბინადრობა – მიმღები ქვეყნის მიერ არამოქალაქისთვის მინიჭებული უფლება, ამ ქვეყანაში იცხოვროს და იმუშაოს მუდმივად (განუსაზღვრელი ვადით).

permanent settlers ['pɜ:mənənt
'setlɜ(r)z]

მუდმივი მოსახლეები – ქვეყანაში კანონიერად შესული იმიგრანტები, რომლებსაც მიეცათ მიმღებ ქვეყანაში დასახლების უფლება, ოჯახის გაერთიანების მიზნით მიგრირებულ პირთა ჩათვლით.

permit ['pɜ:mit]

იხ. ასევე: გრძელვადიანი მიგრანტი (long-term migrant)
ნებართვა – დოკუმენტი, როგორც წესი, გაცემული სახელმწიფო ორგანოს მიერ, რომელიც ნებას რთავს

		რაიმეს არსებობაზე, ან ნებას რთავს ვინმეს, განახორციელოს გარკვეული ქმედება ან მომსახურება. მიგრაციის კონტექსტში ხშირად მოიხსენიება ბინადრობის ან მუშაობის ნებართვასთან მიმართებაში.
persecution	[pɜːsɪˈkjuːʃən]	<i>იხ. ასევე: ბინადრობის ნებართვა (residence permit), ვიზა (visa), შრომის ნებართვა (working permit)</i> დევნა – ლტოლვილებთან მიმართებაში, აღნიშნავს საფრთხეს, რომელიც ემუქრება პირის სიცოცხლეს ან თავისუფლებას რასობრივი, თუ რელიგიური კუთვნილების, მოქალაქეობის, პოლიტიკური მრწამსის ან გარკვეული სოციალური ჯგუფის წევრობის გამო.
persona non grata	[pəˈsəʊnə nɒn ˈgrɑːtə]	persona non grata (ლათ.) – „არასასურველი პირი“. არასაჭირო ან არასასურველი პირი. დიპლომატიურ კონტექსტში – პირი, რომელსაც მიმღები ქვეყნის მიერ უარი ეთქვა ქვეყანაში შესვლაზე ან დარჩენაზე.
place of habitual residence	[pleɪs əv həˈbitʃuəl ˈrezɪdəns]	ჩვეული (მუდმივი) ბინადრობის ადგილი <i>იხ. ასევე: ჩვეული (მუდმივი) ბინადრობის ქვეყანა (country of habitual/usual residence)</i>
plaintiff	[ˈpleɪntɪf]	მოსარჩელე – მხარე, რომელსაც შეაქვს სამოქალაქო სარჩელი (განცხადების შეტანის გზით) სასამართლოში.
policy	[ˈpɒlɪsi]	<i>იხ. ასევე: მოპასუხე (defendant)</i> პოლიტიკა – ზოგადი პრინციპები, რომლებითაც ქვეყნის მთავრობა ხელმძღვანელობს სახელმწიფო ურთიერთობათა მართვისას.
population displacement	[pɒpjʊˈleɪʃən dɪsˈpleɪsmənt]	მოსახლეობის გადაადგილება <i>იხ. ასევე: გადაადგილება (displacement)</i>
poverty migrant	[ˈpɒvəti ˈmaɪgrənt]	სიღარიბის გამო მიგრანტი – პირი, რომელიც იძულებულია, დატოვოს ჩვეული (მუდმივი) ბინადრობის ადგილი ეკონომიკური აუცილებლობის გამო.
prima facie	[ˌpraɪmə ˈfeɪʃɪ]	prima facie (ლათ.) – „პირველი შეხედვით“; „პირველი შთაბეჭდილებით“, მაგრამ ექვემდებარება გადამოწმებას შემდგომი მტკიცებულებებისა და ინფორმაციის შეგროვების გზით. მიგრაციის კონტექსტში, განცხადებამ იმიგრანტის სტატუსის მისაღებად შეიძლება გაიაროს წინასწარი განხილვა, რათა დადგინდეს, რამდენად არსებობს <i>prima facie</i> ყველა ძირითად მოთხოვნასთან მიმართებაში (რაც ხშირად წარმოადგენს ფინანსური დახმარების ან მუშაობის ნებართვის მიღების წინაპირობას).
primary inspection	[ˈpraɪməri ɪnˈspekʃən]	ზედაპირული შემოწმება – საერთაშორისო პრაქტიკის

მიხედვით, ქვეყანაში შესვლის მსურველ სასაზღვრო-გამტარ პუნქტებში მყოფ განმცხადებელთა შემოწმება ორი სახისაა: „ზედაპირული შემოწმება / დათვალიერება“ და „სპეციალური / სიღრმისეული შემოწმება/დათვალიერება“. განმცხადებელთა უმრავლესობა ქვეყანაში შესვლამდე მხოლოდ ხანმოკლე ზედაპირულ შემოწმებას გადის. განმცხადებელს, რომლის მიმართ სამიგრაციო სამსახურის თანამშრომელს ეჭვი უჩნდება, აგზავნიან სპეციალურ შემოწმებაზე, სადაც მას უტარდება გასაუბრება ან ტარდება დამატებითი მოკვლევა. ამგვარი ორსაფეხურიანი მიდგომის გამოყენება უფრო ეფექტიანია და მინიმუმამდე დაჰყავს დაყოვნების დრო კანონიერ მგზავრთა უმრავლესობისთვის.

იხ. ასევე: ქვეყანაში დაშვება (admission), სასაზღვრო-გამტარი პუნქტი (border cross point), სიღრმისეული შემოწმება (secondary inspection)

primary applicant ['praɪməɪ 'æplɪkənt]

მთავარი / პირველადი / ძირითადი განმცხადებელი – პირი, რომელსაც შეაქვს განცხადება ლტოლვილის ან სხვა საიმიგრაციო სტატუსის მიღების თაობაზე. ზოგადი საერთაშორისო პრაქტიკით, დამოკიდებული პირები (ჩვეულებრივ, მეუღლე და არასრულწლოვანი შვილები) ითვლებიან მეორად განმცხადებლებად და იღებენ იმავე სტატუსს, რაც მიენიჭება ძირითად განმცხადებელს.

იხ. ასევე: მეორადი განმცხადებელი (derivative applicant), მიგრანტი (migrant), ლტოლვილი (refugee)

private international law ['praɪvət ɪntə'næʃənəl lɔ:]

საერთაშორისო კერძო სამართალი – ადგილობრივი სამართლის სფერო, რომელიც არეგულირებს სამართლებრივ ურთიერთობებს, რომლებიც შეიცავს უცხო ქვეყნის კანონმდებლობის ელემენტებს, ე.ი. გულისხმობს კავშირს ადგილობრივი სამართლის სისტემისგან განსხვავებულ რომელიმე სხვა კანონმდებლობასთან და არ წარმოადგენს საერთაშორისო საჯარო სამართლის სფეროს.

pro bono [ˌprəʊ 'bɒnəʊ]

pro bono (ლათ.) – „საზოგადოებრივი კეთილდღეობისთვის“. იგულისხმება უფასო იურიდიული მომსახურების გაწევა, რომელიც საზოგადოებრივი კეთილდღეობის მიზანს ემსახურება.

prohibition of torture	[prəʊhi'biʃən əv 'tɔ:tʃə(r)]	წამების აკრძალვა – წამება აკრძალულია რიგი საერთაშორისო დოკუმენტებით, როგორიცაა: ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, 1948 წ., (მუხლი 5), ადამიანის უფლებებისა და მოვალეობების ამერიკული დეკლარაცია, 1948 წ. (მუხლი 26), სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების გაერო-ს საერთაშორისო პაქტი, 1966 წ. (მუხლი 7), ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, 1950 წ. (მუხლი 3), გაერო-ს სხვადასხვა რეზოლუცია. წამება საერთაშორისო დანაშაულია; წამებისგან დაცვა სახელმწიფოთა ვალდებულებაა და განიხილება, როგორც ადამიანის ძირითადი უფლება. წამების აკრძალვა განიხილება, როგორც <i>jus cogens</i>, რაც საერთაშორისო სამართლის იმპერატიულ ნორმას აღნიშნავს. <i>იხ. ასევე: საერთო საერთაშორისო სამართალი (jus cogens), ადამიანის ძირითადი უფლებები (fundamental human rights), წამება (torture)</i>
project-tied worker	['prɒdʒekt taɪd 'wɜ:kə(r)]	პროექტში დასაქმებული მუშაკი – შრომითი მიგრანტი, რომელსაც დასაქმების ადგილსამყოფელი სახელმწიფო იღებს განსაზღვრული დროით მხოლოდ კონკრეტულ პროექტში სამუშაოდ, რომელიც ხორციელდება მიგრანტის დამქირავებლის მიერ მოცემულ ქვეყანაში (<i>შრომითი მიგრანტების და მათი ოჯახის წევრების უფლებათა დაცვის საერთაშორისო კონვენცია, 1990 წ., მუხლი 2(2)ვ.</i>) <i>იხ. ასევე: შრომითი მიგრანტი (migrant worker)</i>
prosecution	[prɒsɪ'kju:ʃən]	ბრალდების საფუძველზე პირის სასამართლოში წარდგენის აქტი – სისხლის სამართლის საქმის წარმოების პროცესი, როდესაც ბრალდებული წარდგება სასამართლოს წინაშე და სისხლის სამართლის საქმე განიხილება სასამართლოს მიერ, შესაბამისი პროცედურების დაცვით.
protection	[prəʊ'tekʃən]	დაცვა – ნებისმიერი სახის საქმიანობა, რომლის მიზანია ადამიანის ინდივიდუალური უფლებების პატივისცემის უზრუნველყოფა შესაბამისი სამართლებრივი დოკუმენტების არსისა და სულისკვეთების გათვალისწინებით (კერძოდ, ადამიანის უფლებათა სამართალი, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი, მიგრაციის სამართალი და ლტოლვილთა საკითხების მარეგულირებელი სამართალი).
push-pull factors	[pʊʃ 'pʊl 'fæktə(r)z]	მიგრაციის მამოძრავებელი ფაქტორები – მიგრაცია ხშირად მოიხსენიება, როგორც კომპლექსური

მოდელი, რაც გულისხმობს იძულებითი ფაქტორების (რომლებიც აიძულებს ადამიანებს, დატოვონ თავიანთი ქვეყანა) და მიმზიდველი ფაქტორების (რომლებიც მათ იზიდავს ახალ ქვეყანაში დასასახლებლად) ერთობლიობას.

Q

qualified national	[ˈkwɒlɪfaɪd ˈnæʃənəl]	კვალიფიცირებული თანამემამულე – სხვა ქვეყანაში მცხოვრები კონკრეტული პროფესიული უნარ-ჩვევების მქონე თანამემამულე, რომლის პროფესიული კვალიფიკაცია მოთხოვნადია წარმოშობის ქვეყანაში ან რეგიონში.
quarantine	[ˈkwɒrəntiːn]	<i>იხ. ასევე: კვალიფიცირებული მიგრანტი (skilled migrant)</i> კარანტინი – გადამდები ან ინფექციური დაავადების მქონე ადამიანის ან ცხოველის დროებითი იზოლაცია.
quasi-judicial	[ˈkweɪsɪdʒuːˈdɪʃəl]	კვაზისამართლებრივი – აღმასრულებელი ან ადმინისტრაციული ოფიციალური პირის სამართლებრივი ქმედებები. კვაზისამართლებრივი აქტები, რომლებიც ნამდვილია იმ შემთხვევაში, თუ ადგილი არ ჰქონდა დისკრეციული უფლებამოსილების გადამეტებას, ხშირად განსაზღვრავს მოქალაქეთა ძირითად უფლებებს. კვაზისამართლებრივი აქტები შეიძლება გახდეს სასამართლო განხილვის საგანი.
quota	[ˈkwɒtə]	კვოტა / წილი / დაწესებული ოდენობა / ნორმა – რაოდენობრივი შეზღუდვა. მიგრაციის კონტექსტში ბევრი ქვეყანა აწესებს კვოტებს ან ზღვრულ მაჩვენებლებს მიგრანტთა ყოველწლიურად დასაშვებ რაოდენობაზე.

R

racial discrimination

['reɪʃəl
dɪskrɪmɪ'neɪʃən]

რასობრივი დისკრიმინაცია – პირის დისკრიმინაცია ან მისი შეურაცხყოფელი ქცევა სხვა რასისადმი კუთვნილების გამო. რასობრივი დისკრიმინაცია აღნიშნავს ნებისმიერი სახის განსხვავებას, გამორიცხვას, შეზღუდვას ან უპირატესობის მინიჭებას რასის, კანის ფერის, წარმომავლობის, ეროვნული ან ეთნიკური წარმოშობის საფუძველზე, რომელიც მიზნად ისახავს ან რასაც შედეგად მოაქვს თანაბარი შესაძლებლობების, ადამიანის უფლებების და ფუნდამენტური თავისუფლებების აღიარების, სარგებლობის და გამოყენების გაუქმება ან დაბრკოლება პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ ან საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ სხვა სფეროში (*საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ*, 1965 წ., მუხლი 1(1)).

იხ. ასევე: დისკრიმინაცია (discrimination), ქსენოფობია (xenophobia)

racism

['reɪsɪz(ə)m]

რასიზმი – იდეოლოგია, რომელიც განსაზღვრულ რასას და/ან ეთნიკურ ჯგუფებს სხვებზე მაღლა აყენებს ფიზიკური და კულტურული ნიშნების საფუძველზე და ასევე, ამართლებს სხვებზე მის ეკონომიკურ დომინირებას და კონტროლს. რასიზმი შეიძლება განისაზღვროს, როგორც რასობრივი უპირატესობის დოქტრინა ან რწმენა აღნიშნულ უპირატესობაში, რაც ეფუძნება რწმენას, რომლის თანახმად, რასობრივი კუთვნილება განსაზღვრავს ინტელექტუალურ შესაძლებლობებს, კულტურულ მახასიათებლებს და მორალურ ღირებულებებს. რასიზმი გულისხმობს რასობრივ მიკერძოებულობას და რასობრივ დისკრიმინაციას.

იხ. ასევე: დისკრიმინაცია (discrimination), ქსენოფობია (xenophobia)

ratification

[ræɪfɪ'keɪʃən]

რაციფიკაცია / დამტკიცება – რაციფიკაცია აღნიშნავს ხელშეკრულების „მიღებას“ ან „დამტკიცებას“. საერთაშორისო კონტექსტში – „საერთაშორისო აქტი, რომლის საშუალებითაც სახელმწიფო საერთაშორისოდ აცხადებს თანხმობას მისთვის ხელშეკრულების სავალდებულო ხასიათზე“ (*ვენის კონვენცია სახელშეკრულებო სამართლის შესახებ*, 1969 წ., მუხლი 2(1)(ბ)). „სახელმწიფოს თანხმობის დამადასტურებელი სარაციფიკაციო

		დოკუმენტები, რომლებიც ითვლება ძალაში შესულად მათი გაცვლისას ხელშემკვრელ სახელმწიფოებს შორის, დეპოზიტართან მათი დეპონირებისას ან სახელმწიფოთა ან დეპოზიტარის ინფორმირებისას, თუკი ისინი შეთანხმდნენ ამ პროცედურაზე“ (<i>მუხლი 16</i>). შიდასახელმწიფოებრივ კონტექსტში ეს აღნიშნავს სახელმწიფოს მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვალდებულებათა აღებას. რიგ სახელმწიფოთა კონსტიტუცია ითვალისწინებს პროცედურებს, რომელთა დაცვა აუცილებელია მანამ, სანამ სახელმწიფო მიიღებს ხელშეკრულებას, როგორც სავალდებულოს. <i>იხ. ასევე: სამართლებრივი ინსტრუმენტი (instrument), დათქმა (reservation to a treaty), საერთაშორისო ხელშეკრულება (treaty)</i>
readmission	[ri:əd'mɪʃən]	რეადმისია – სახელმწიფოს მიერ გაცემული ნებართვა იმ პირის (ამ ქვეყნის მოქალაქის, მესამე ქვეყნის მოქალაქის ან მოქალაქეობის არმქონე პირის) ქვეყანაში განმეორებით შესვლაზე, რომელიც არალეგალურად შევიდა ან იმყოფებოდა სხვა ქვეყანაში.
readmission agreement	[ri:əd'mɪʃən ə'gri:mənt]	რეადმისიის შესახებ შეთანხმება – სახელმწიფოთა შორის დადებული შეთანხმება, რომელიც განსაზღვრავს მოცემულ სახელმწიფოში არალეგალურ მდგომარეობაში მყოფ უცხოელთა თავიანთი წარმოშობის ქვეყანაში ან იმ სატრანზიტო ქვეყანაში დასაბრუნებლად, რომლის გავლითაც (<i>en route</i>) ისინი მოცემულ სახელმწიფოში შემოვიდნენ. <i>იხ. ასევე: შეთანხმება (agreement), ორმხრივი (bilateral), დაბრუნება (return)</i>
receiving country	[ri'si:vɪŋ 'kʌntri]	მიმღები ქვეყანა - დანიშნულების ქვეყანა ან მესამე ქვეყანა. დაბრუნების ან რეპატრაციის შემთხვევაში – ასევე, წარმოშობის ქვეყანა. ქვეყანა, რომელიც თანახმაა, ყოველწლიურად მიიღოს ლტოლვილთა ან მიგრანტთა განსაზღვრული რაოდენობა პრეზიდენტის, მთავრობის ან პარლამენტის გადაწყვეტილების საფუძველზე. <i>იხ. ასევე დანიშნულების ქვეყანა (country of destination), წარმოშობის ქვეყანა (country of origin), მესამე ქვეყანა (third country)</i>
re-emigration	[ri:ɛmi'greɪʃən]	რეემიგრაცია – პირის განმეორებითი გამგზავრება ქვეყნიდან, რომლის დატოვების შემდეგ იგი დაბრუნებული იყო ამავე ქვეყანაში. <i>იხ. ასევე: ემიგრაცია (emigration), დაბრუნება (return)</i>

refoulement [rɪˈfaʊlment]

გამეგება – სახელმწიფოს მიერ პირის ნებისმიერი საშუალებით დაბრუნება მეორე სახელმწიფოში, რომელშიც მის სიცოცხლეს ან თავისუფლებას საფრთხე დაემუქრება, ან იგი შეიძლება დაექვემდებაროს დევნას რასის, რელიგიის, მოქალაქეობის, რომელიმე სოციალური ჯგუფის წევრობის ან პოლიტიკური შეხედულების გამო, ან შეიძლება გახდეს წამების მსხვერპლი. გამეგება გულისხმობს პირის სხვა სახელმწიფოში დაბრუნების მიზნით განხორციელებულ ნებისმიერ ქმედებას დეპორტაციის, გამეგების, ექსტრადიციის, ქვეყანაში შესვლაზე საზღვარზე უარის თქმის, სახელმწიფოს ტერიტორიის გარეთ დაკავების და იძულებითი დაბრუნების ჩათვლით.

იხ. ასევე: დეპორტაცია (deportation), გამეგება (expulsion), ექსტრადიცია (extradition), იძულებითი დაბრუნება (forced return), არანებაყოფლობითი რეპატრაცია (involuntary repatriation), გამეგების დაუშვებლობა (non-refoulement), დევნა (persecution), დაბრუნება (return)

refugee (mandate) [ˈɹɛfjuːˈdʒiː ˈmændəɪt]

ლტოლვილი (მანდატით განსაზღვრული) – პირი, რომელიც პასუხობს გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის წესდების კრიტერიუმებს და რომელზეც ვრცელდება გაერო-ს დაცვა. აღნიშნულ დაცვას უზრუნველყოფს უმაღლესი კომისარი იმის მიუხედავად, იმყოფება თუ არა ეს პირი ქვეყანაში, რომელიც მიუერთდა *კონვენციას ლტოლვილთა სტატუსის შესახებ (1951 წ.)* ან *ოქმს ლტოლვილთა სტატუსის შესახებ (1967 წ.)* და მიუხედავად იმისა, აღიარებულია თუ არა აღნიშნული პირი ლტოლვილად მიმღები ქვეყნის მიერ რომელიმე ზემოთაღნიშნული დოკუმენტის შესაბამისად.

იხ. ასევე: ლტოლვილი (აღიარებული) (refugee (recognized))

refugee (recognized) [ˈɹɛfjuːˈdʒiː ˈrɛkəɡnaɪzd]

ლტოლვილი (აღიარებული) – პირი, რომელსაც „საფუძვლიანი შიში აქვს, რომ შეიძლება გახდეს დევნის მსხვერპლი რასის, რელიგიის, ეროვნების, რომელიმე სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების ან პოლიტიკურ შეხედულებათა გამო, იმყოფება იმ ქვეყნის გარეთ, რომლის მოქალაქეც არის და არ შეუძლია ან ამგვარი შიშის გამო არ სურს, გამოიყენოს ამ ქვეყნის მფარველობა.“ (*კონვენცია ლტოლვილთა სტატუსის შესახებ, მუხლი 1A(2), 1951 წ., 1967 წლის ოქმით შეტანილი შესწორებებით*).

იხ. ასევე: თავშესაფრის მაძიებლები (asylum seekers), de

refugee status determination	[rɛfjuːˈdʒiː ˈstetəs dɪˌtɜːmɪˈneɪʃən]	<i>facto</i> ლტოლვილები (<i>de facto</i> refugees), ქვეყნის გარეთ გადაადგილებული პირები (<i>externally displaced persons</i>), ლტოლვილი (<i>refugee</i>), გადაადგილების პროცესში მყოფი ლტოლვილები (<i>refugees in orbit</i>), ტრანზიტული ლტოლვილები (<i>refugees in transit</i>)
refugees in orbit	[rɛfjuːˈdʒiːz ɪn ˈɔːbɪt]	ლტოლვილის სტატუსის დადგენა – გაერო-ს უმაღლესი კომისარიატის და/ან სახელმწიფოთა მიერ ჩატარებული პროცედურა იმის განსაზღვრის მიზნით, შეიძლება თუ არა პირის ლტოლვილად ცნობა ადგილობრივი ან საერთაშორისო სამართლის მიხედვით. გადაადგილების პროცესში მყოფი ლტოლვილები – ლტოლვილები, რომლებსაც (მიუხედავად იმისა, რომ ისინი არ იქნენ დაბრუნებულნი ქვეყანაში, სადაც შეიძლება დაექვემდებარონ დევნას) უარი ეთქვათ თავშესაფარზე ან რომელთა განაცხადს მოცემულ ეტაპზე არც ერთი სახელმწიფო არ იხილავს და რომლებიც, თავშესაფრის პოვნის მიზნით, გადაადგილდებიან ერთი ქვეყნიდან მეორეში.
refugees in transit	[rɛfjuːˈdʒiːz ɪn ˈtrɑːnsɪt]	<i>იხ. ასევე:</i> თავშესაფარი (<i>asylum</i>), ლტოლვილი (<i>refugee</i>) ტრანზიტული ლტოლვილები – ლტოლვილები, რომლებსაც მიეცათ ქვეყნის ტერიტორიაზე დროებითი შესვლის უფლება იმ პირობით, რომ ისინი განსახლდებიან სხვა ადგილას.
refugees <i>sur place</i>	[rɛfjuːˈdʒiːz səː plɑːs]	<i>იხ. ასევე:</i> ლტოლვილი (<i>refugee</i>), განსახლება (<i>resettlement</i>) ლტოლვილები <i>sur place</i> (ლათ.) – პირები, რომლებიც არ წარმოადგენენ ლტოლვილებს წარმოშობის ქვეყნიდან გამომგზავრებისას, მაგრამ რომლებიც ხდებიან ლტოლვილები მომდევნო ეტაპზე (ე.ი. უჩნდებათ საფუძვლიანი შიში იმისა, რომ შეიძლება გახდნენ დევნის მსხვერპლნი). ლტოლვილებს <i>sur place</i> შეიძლება გაუჩნდეთ აღნიშნული შიში თავიანთ ქვეყანაში მომხდარი სახელმწიფო გადატრიალების, ან მათი გამგზავრების შემდგომ დაწყებული ან გამკაცრებული რეპრესიების / დევნის პოლიტიკის გამო. ლტოლვილის სტატუსის მოთხოვნა შეიძლება ასევე ეფუძნებოდეს ბინადრობის ან თავშესაფრის მოთხოვნის ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ საკმიანობებს.
regional consultative processes	[rɪˌdʒənəl kənˈsʌltatɪvˈprɒsesɪz]	<i>იხ. ასევე:</i> ლტოლვილი (<i>refugee</i>), დევნა (<i>persecution</i>) რეგიონული საკონსულტაციო პროცესები - სახელმწიფოთა, სამოქალაქო საზოგადოების, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობით რეგიონულ

regular migration	[ˈrɛɡjʊlə(r) maɪˈɡreɪʃən]	დონეზე მიმდინარე არაფორმალური საკონსულტაციო შეხვედრები მიგრაციასთან დაკავშირებული პრობლემების განსახილველად (მაგ., ბუდაპეშტის პროცესი /Budapest Process/, პუებლას პროცესი /Puebla Process/, მანილის პროცესი /Manila Process/, სამხრეთაფრიკული დიალოგი მიგრაციის საკითხებზე /Migration Dialogue for Southern Africa (MIDSA)). ლეგალური მიგრაცია – მიგრაცია, რომელიც მიმდინარეობს აღიარებული, კანონიერი არხებით.
regularization	[ˈrɛɡjʊləraɪzeɪʃən]	<i>იხ. ასევე: ფარული მიგრაცია (clandestine migration), არალეგალური მიგრაცია (irregular migration)</i> რეგულარიზაცია – ნებისმიერი პროცესი, რომლის მეშვეობით ქვეყანა ნებას რთავს მის ტერიტორიაზე არალეგალურად მყოფ უცხოელებს, მიიღონ კანონიერი სტატუსი. ჩვეულებრივ, რეგულარიზაცია წარმოებს იმ უცხოელთა ამნისტიის („ლეგალიზაციის“) გზით, რომლებიც ქვეყანაში არალეგალურად იმყოფებიან გარკვეული დროის განმავლობაში და რომელთა შემთხვევაში ქვეყანაში დაუშვებლობის სხვა მიზეზი არ არსებობს.
reintegration	[ˌriːɪntɪˈɡreɪʃən]	<i>იხ. ასევე: ამნისტია (amnesty), ლეგალიზაცია (legalization)</i> რეინტეგრაცია – პირის განმეორებითი ჩართვა ჯგუფში ან პროცესში, მაგ., მიგრანტის ჩართვა წარმოშობის ქვეყნის საზოგადოებაში.
reintegration (cultural)	[ˌriːɪntɪˈɡreɪʃən ˈkʌltʃərəl]	<i>იხ. ასევე: ასიმილაცია (assimilation), ინტეგრაცია (integration)</i> რეინტეგრაცია (კულტურული) – დაბრუნების პროცესში მყოფი მიგრანტის მიერ წარმოშობის ქვეყნის საზოგადოების ღირებულებების, ცხოვრების წესის, ენის, ზნეობრივი პრინციპების, იდეოლოგიისა და ტრადიციების ხელახალი მიღება.
reintegration (economic)	[ˌriːɪntɪˈɡreɪʃən ˈiːkəˈnɒmɪk]	რეინტეგრაცია (ეკონომიკური) – მიგრანტის ხელახალი ჩართვა წარმოშობის ქვეყნის ეკონომიკურ სისტემაში. მიგრანტს საშუალება ეძლევა, თავად წარმართოს საკუთარი ცხოვრება. განვითარების თვალსაზრისით, ეკონომიკური რეინტეგრაცია ასევე გულისხმობს სხვა ქვეყნებში დაგროვილი გამოცდილების გამოყენებას წარმოშობის ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიზნით.
reintegration (social)	[ˌriːɪntɪˈɡreɪʃən ˈsəʊʃəl]	რეინტეგრაცია (სოციალური) – მიგრანტის ხელახალი ჩართვა წარმოშობის ქვეყნის სოციალურ სტრუქტურებში. ეს გულისხმობს, ერთი მხრივ, პირადი სოციალური ქსელის ჩამოყალიბებას

		(მეგობრები, ნათესავები, მეზობლები), ხოლო, მეორე მხრივ, სამოქალაქო საზოგადოების სტრუქტურების (გაერთიანებების, თვითდახმარების ჯგუფებისა და სხვა ორგანიზაციების) განვითარებას.
rejected candidate	[rɪ'dʒɛktɪd 'kændɪdeɪt]	კანდიდატი, რომელსაც უარი ეთქვა განაცხადზე - განმცხადებელი, რომელსაც უარი ეთქვა შერჩევაზე პასუხისმგებელი უწყების მიერ იმის საფუძველზე, რომ იგი არ პასუხობს მოცემულ ქვეყანაში მიგრაციისთვის დადგენილ კრიტერიუმებს.
remittances	[rɪ'mɪtənsɪz]	ფულადი გზავნილები - არამოქალაქეთა მიერ გამომუშავებული ან მიღებული ფული, რომელსაც ისინი წარმოშობის ქვეყანაში აგზავნიან.
removal	[rɪ'mu:vəl]	გაყვანა
repatriation	[rɪpeɪtri'eɪʃən]	<i>იხ. დეპორტაცია (deportation)</i> რეპატრიაცია – ლტოლვილის ან სამხედრო ტყვის უფლება, დაბრუნდეს თავისი მოქალაქეობის ქვეყანაში სხვადასხვა საერთაშორისო დოკუმენტით (<i>ჟენევის კონვენციები (1949 წ.), და ოქმები (1977 წ.), ჰააგის (IV) კონვენციის დამატებითი დებულებები სახმელეთო ომის კანონთა და ჩვეულებათა შესახებ (1907 წ.),</i> ადამიანის უფლებების მარეგულირებელი დოკუმენტები და საერთაშორისო ჩვეულებითი სამართალი) განსაზღვრულ დებულებათა საფუძველზე. რეპატრიაციის არჩევანის უფლება აქვს თავად პირს და არა სახელმწიფო ორგანოს, რომელმაც იგი დააკავა. რეპატრიაციის უფლება ასევე ავალდებულებს კონკრეტულ სახელმწიფო ორგანოს, გაათავისუფლოს აღნიშნული პირები (სამხედრო და სამოქალაქო), ხოლო წარმოშობის ქვეყანას - მიიღოს თავისი მოქალაქეები. რეპატრიაცია, როგორც ტერმინი, ასევე გამოიყენება დიპლომატიური წარმომადგენლებისა და საერთაშორისო თანამდებობის პირებთან მიმართებაში საერთაშორისო კრიზისის დროს.
rescue at sea	[ˈrɛskjuː ət siː]	<i>იხ. ასევე: ნებაყოფლობით დაბრუნებაში ხელშეწყობა (assisted voluntary return), არანებაყოფლობითი რეპატრიაცია (involuntary repatriation), დაბრუნება (return), დაბრუნების უფლება (right to return), ნებაყოფლობითი დაბრუნება (voluntary return)</i> შველა ზღვაში – ზღვაზე მომხდარი უბედური შემთხვევის მსხვერპლთა შველის ვალდებულება მკაფიოდაა განსაზღვრული, როგორც სახელმწიფოებო, ასევე ჩვეულებითი საერთაშორისო სამართალი. სახელმწიფომ, რომლისკენაც ზღვაზე გადარჩენილი პირები მიემართებიან, შეიძლება უარი

reservation to a treaty	[rezə'veiʃən tu ə 'tri:ti]	განაცხადოს მათ გადმოსხმაზე და მოსთხოვოს გემის კაპიტანს, გაიყვანოს ისინი თავისი იურისდიქციიდან; ან ნება დართოს გადმოსხმაზე იმ პირობით, თუ გემის მფლობელი სახელმწიფო, სხვა სახელმწიფოები ან საერთაშორისო ორგანიზაციები უზრუნველყოფენ აღნიშნულ პირთა განთავსებას და შესაბამისი დახმარების უზრუნველყოფის გარანტიებს. დათქმა ხელშეკრულებაზე – ხელშეკრულების ხელმოწერისას, რატიფიცირებისას, მიღებისას, დამტკიცებისას ან მასთან მიერთებისას სახელმწიფოს მიერ გაკეთებული ცალმხრივი განცხადება, ნებისმიერი ფორმულირებით და ნებისმიერი დასახელებით, რომლის მეშვეობით მას სურს გამოირიცხოს ან შეცვალოს ხელშეკრულების გარკვეული დებულებების იურიდიული ძალა მოცემულ სახელმწიფოსთან მიმართებაში (<i>ვენის კონვენცია სახელშეკრულებო სამართლის შესახებ (1969 წ.), მუხლი 2(1)(დ)</i>).
resettlement	[ri:'set(ə)lmənt]	<i>იხ. ასევე: საერთაშორისო ხელშეკრულება (treaty)</i> მოსახლეობის ხელახალი განსახლება – ადამიანების (ლტოლვილების, ქვეყნის შიგნით [GEO: იძულებით] გადაადგილებული პირების და სხვ.) მიერ საცხოვრებლის შეცვლა და ინტეგრაცია სხვა გეოგრაფიულ რეგიონსა და გარემოში, ჩვეულებრივ, მესამე ქვეყანაში. ლტოლვილთა ხანგრძლივი ბინადრობა არა თავშესაფრის ქვეყანაში, არამედ სხვა სახელმწიფოში. ეს ტერმინი, ჩვეულებრივ, მოიცავს პროცესის იმ ნაწილს, რომელიც იწყება განსახლებას დაქვემდებარებულ ლტოლვილთა შერჩევით და სრულდება მათი ჩასახლებით განსახლების ქვეყანაში.
residence	['rezidəns]	<i>იხ. ასევე: იძულებითი განსახლება (forced resettlement), მუდმივი მოსახლეები (permanent settlers), ლტოლვილი (refugee)</i> ბინადრობა – გარკვეული დროის განმავლობაში კონკრეტულ ადგილზე ბინადრობის ფაქტი; ადგილი, სადაც პირი ფაქტობრივად ბინადრობს და რომელიც განსხვავებულია მისი საცხოვრებლისგან. ბინადრობა გულისხმობს პირის მხოლოდ ფიზიკურ ყოფნას მოცემულ ადგილას, მაშინ, როდესაც საცხოვრებელი გულისხმობს როგორც პირის ფიზიკურ ყოფნას, ასევე მის განზრახვას, ეს ადგილი თავის სახლად გაიხადოს. ამდენად, პირს შეიძლება გააჩნდეს ბინადრობის რამდენიმე ადგილი, მაგრამ მხოლოდ ერთი საცხოვრებელი. <i>იხ. ასევე: ჩვეული (მუდმივი) ბინადრობის ქვეყანა</i>

residence permit	[ˈrɛzɪdəns ˈpɜːmɪt]	(country of habitual/usual residence), საცხოვრებელი (domicile) ბინადრობის უფლება – სახელმწიფოს მიერ უცხოელისთვის გაცემული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ მას უფლება აქვს, იცხოვროს მოცემულ ქვეყანაში.
respondent	[rɪˈspɒndənt]	იხ. ასევე: ნებართვა (permit), ბინადრობა (residence) მოპასუხე – პირი, რომელმაც უნდა უპასუხოს სამოქალაქო საქმის წარმოების პროცესში აღძრულ საჩივარს.
restitution	[rɛstriˈtjuːʃən]	იხ. ასევე: მოპასუხე (defendant), მოსარჩელე (plaintiff) რესტიტუცია – რაიმე კონკრეტული საგნის დაბრუნება ან მისი თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენა და კანონიერი მეპატრონისთვის გადაცემა; პირისთვის მიყენებული ზარალის კომპენსაცია ან რეპარაცია; პირისთვის მიყენებული ზარალის შედეგად მიღებული სარგებლის კომპენსაცია.
return	[rɪˈtʃɪn]	დაბრუნება – ფართო გაგებით, აღნიშნავს დაბრუნების აქტს ან პროცესს. დაბრუნება შეიძლება განხორციელდეს სახელმწიფოს ტერიტორიულ საზღვრებში, რაც გულისხმობს ქვეყნის შიგნით [GEO: იძულებით] გადაადგილებული პირების და დემობილიზებული სამხედრო მოსამსახურეების (კომბატანტების) დაბრუნებას ან ლტოლვილთა, თავშესაფრის მაძიებელთა და კვალიფიცირებულ თანამემამულეთა დაბრუნებას მიმღები ქვეყნიდან (სატრანზიტო ან დანიშნულების ქვეყნიდან) წარმოშობის ქვეყანაში. არსებობს დაბრუნების ქვეკატეგორიები, მაგ., ნებაყოფლობითი დაბრუნება, იძულებითი დაბრუნება, ხელშეწყობით განხორციელებული დაბრუნება და სპონტანური დაბრუნება; ასევე არსებობს ქვეკატეგორიები, რომლებიც ცხადყოფს, თუ ვინ მონაწილეობს დაბრუნებაში, მაგ., რეპატრაცია (ლტოლვილებისთვის).
return migration	[rɪˈtʃɪn maɪˈɡreɪʃən]	იხ. ასევე: ნებაყოფლობით დაბრუნებაში ხელშეწყობა (assisted voluntary return), დეპორტაცია (deportation), გაძევება (expulsion, refoulement), რეპატრაცია (repatriation) დაბრუნებითი მიგრაცია – პირის გადაადგილება, რომელიც ბრუნდება თავისი წარმოშობის ან ჩვეული ბინადრობის ქვეყანაში, ჩვეულებრივ, სულ მცირე ერთი წლის ყოფნის შემდგომ სხვა ქვეყანაში. დაბრუნება შეიძლება იყოს ნებაყოფლობითი ან არანებაყოფლობითი.

reverse brain drain	[rɪ'vɜːs 'breɪn 'dreɪn]	დაბრუნებითი მიგრაცია გულისხმობს ასევე ნებაყოფლობით რეპატრიაციას.
right of asylum	[raɪt əv ə'saɪləm]	ინტელექტის გადინების უკუპროცესი <i>იხ. ინტელექტის შემოდინება (brain gain)</i> თავშესაფრის უფლება – ზოგადი ტერმინი, რომელიც ორი მნიშვნელობით გამოიყენება: თავშესაფრის მინიჭების უფლება (სახელმწიფომ შეიძლება მიანიჭოს თავშესაფარი თავის ტერიტორიაზე ნებისმიერ პირს საკუთარი შეხედულებისამებრ) და თავშესაფრის მიღების უფლება იმ სახელმწიფოში, რომლის ტერიტორიაზეც ხდება თავშესაფრის მოთხოვნა, ან წინასწარ მოთხოვნილ სახელმწიფოში.
right to leave	[raɪt tu li:v]	<i>იხ. ასევე: თავშესაფარი (asylum)</i> დატოვების უფლება (ქვეყნის) – „ყველას აქვს უფლება, დატოვოს ნებისმიერი ქვეყანა, მათ შორის, თავისიც.“ (ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, 1948 წ., მუხლი 13(2)). ეს უფლება განმტკიცებულია საერთაშორისო სამართლის სხვა დოკუმენტებითაც, მაგ., <i>სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის (1966 წ.) მუხლი 12(2)-ის</i> მიხედვით: „ყველას აქვს უფლება, დატოვოს ნებისმიერი ქვეყანა, მათ შორის, საკუთარი ქვეყანა“. ეს წარმოადგენს გადაადგილების თავისუფლების უფლების შემადგენელ ნაწილს, რომლითაც სარგებლობა შეუძლია უკლებლივ ყველა ადამიანს, რაიმე განსხვავების გარეშე. თუმცა, ეს უფლება, შედეგად, არ გულისხმობს ქვეყნის ტერიტორიაზე შესვლის უფლებას საერთაშორისო სამართლის მიხედვით.
right to return	[raɪt tu ri'tɜːn]	<i>იხ. ასევე: გადაადგილების თავისუფლება (freedom of movement), საერთაშორისო მინიმალური სტანდარტი (international minimum standard), რეპატრიაცია (repatriation), დაბრუნება (return)</i> დაბრუნების უფლება – გადაადგილების თავისუფლების უფლების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის (1948 წ.) მუხლი 13(2)-ის მიხედვით: „ყოველ ადამიანს აქვს უფლება [...] დაბრუნდეს თავის ქვეყანაში“. <i>სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის (1966 წ.) მუხლი 12(4)-ის</i> მიხედვით: „არავის არ შეიძლება თვითნებურად ჩამოართვან საკუთარ ქვეყანაში ჩასვლის უფლება“. თუმცა, პაქტის მუხლი 12-ის მე-3 პარაგრაფი აწესებს გარკვეულ შეზღუდვებს: „ზემოთ აღნიშნულ უფლებებზე არ ვრცელდება არავითარი შეზღუდვა,

rural-rural migrants	['rʊərəl 'rʊərəl 'maɪgrənts]	გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია ეროვნული უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის, ერის ჯანმრთელობისა თუ ზნეობის ან სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად და შეესაბამება ამ პაქტით აღიარებულ სხვა უფლებებს“. სოფლიდან სოფლად მიგრირებულები – შიდა მიგრანტები, რომლებიც გადაადგილდებიან ერთი სოფლის დასახლებიდან მეორეში.
rural-urban migrants	['rʊərəl 'ʊ:bən 'maɪgrənts]	<i>იხ. ასევე: შიდა მიგრაცია (internal migration)</i> სოფლებიდან ქალაქებში მიგრირებულები – შიდა მიგრანტები, რომლებიც გადაადგილდებიან სოფლის დასახლებებიდან ქალაქებში. <i>იხ. ასევე: შიდა მიგრაცია (internal migration)</i>

S

safe country of origin [seif 'kʌntri
əv 'ɒrɪdʒɪn]

უსაფრთხო წარმოშობის ქვეყანა – თავშესაფრის მამიებელ პირთა წარმოშობის ქვეყანა ითვლება უსაფრთხოდ, თუ იგი ზოგადად, არ წარმოადგენს ლტოლვილთა ნაკადების წარმოშობის წყაროს. მიმღებმა ქვეყნებმა შეიძლება გამოიყენონ უსაფრთხო წარმოშობის ქვეყნის კონცეფცია, როგორც უარის თქმის საფუძველი თავშესაფრის მამიებელთა კონკრეტული ჯგუფების ან კატეგორიებისთვის ერთობლივად (ინდივიდუალური ასპექტების განხილვის გარეშე).

იხ. ასევე: წარმოშობის ქვეყანა (country of origin), უსაფრთხო მესამე ქვეყანა (safe third country)

safe haven [seif 'heɪ(ə)n]

უსაფრთხო ადგილი - ნეიტრალიზებული ზონები, რომლებიც გამოიზნულია საომარი მოქმედებების მიმდინარეობისას „დაჭრილი და ავადმყოფი სამხედრო მოსამსახურეების (კომბატანტების) და საბრძოლო მოქმედებებში არამონაწილე სამოქალაქო პირთა განსათავსებლად“. (*ჟენევის კონვენცია ომის დროს სამოქალაქო პირთა დაცვის შესახებ (1949 წ.) მუხლი 15*).

safe third country [seif 'θɜːd 'kʌntri]

იხ. ასევე თავშესაფარი (asylum)

უსაფრთხო მესამე ქვეყანა – მიმღები ქვეყანა თვლის უსაფრთხოდ ნებისმიერ, წარმოშობის ქვეყნიდან განსხვავებულ ქვეყანას, რომელშიც თავშესაფრის მამიებელი უზრუნველყოფილია ან შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს დაცვით. უსაფრთხო მესამე ქვეყნის კონცეფცია (დაცვა ნებისმიერ სხვა ადგილზე/პირველი თავშესაფრის პრინციპი) ხშირად გამოიყენება, როგორც ლტოლვილის სტატუსის განსაზღვრის პროცედურაზე დაშვების საფუძველი.

იხ. ასევე: წარმოშობის ქვეყანა (country of origin), მიმღები ქვეყანა (receiving country)

Schengen Agreement ['ʃɛŋ(ə)n ə'ɡriːmənt]

შენგენის შეთანხმება – 1985 წელს გაფორმებული სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულება თავისუფალი გადაადგილების ევროპული ზონის შექმნის მიზნით შიდა სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო საზღვრებზე კონტროლის სისტემების გარეშე. შიდა უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით მიღებულ იქნა რიგი ზომებისა, მათ შორის, შემოღებულ იქნა წევრი ქვეყნების გარე საზღვრებზე სავიზო კონტროლის კოორდინირებული სისტემა.

screening	['skri:nɪŋ]	მიუხედავად იმისა, რომ გაფორმდა ევროკავშირის კონტექსტს მიღმა, შენგენის ხელშეკრულება შერწყმულია ევროპული თანამეგობრობის / ევროპული კავშირის სფეროსთან ამსტერდამის 1997 წლის ხელშეკრულების მიხედვით. წინასწარი შერჩევა / შეფასება – კონკრეტული ნიშან-თვისების ან უნარ-ჩვევის იდენტიფიცირების მიზნით ჩატარებული შემოწმება. მიგრაციის კონტექსტში, პირის წინასწარი (ხშირად, ზედაპირული) შესწავლა იმის განსაზღვრის მიზნით, თუ რამდენად აკმაყოფილებს იგი <i>prima facie</i> („პირველი შეხედვით“) კრიტერიუმებს მოთხოვნილი სტატუსის მისაღებად.
seafarer	['si:fəə(r)]	<i>იხ. ასევე: prima facie</i> მეზღვაური – შრომითი მიგრანტი, რომელიც დაქირავებულია იმ სახელმწიფოში რეგისტრირებული ხომალდის გემბანზე სამუშაოდ, რომლის მოქალაქეც არ არის (მეთევზეთა ჩათვლით). (შრომითი მიგრანტების და მათი ოჯახის წევრების უფლებათა დაცვის საერთაშორისო კონვენცია, 1990 წ., მუხლი 2(2)გ).
seasonal worker	['si:z(ə)nəl 'wɜ:kə(r)]	<i>იხ. ასევე: შრომითი მიგრანტი (migrant worker)</i> სეზონური მუშაკი – შრომითი მიგრანტი, რომლის შრომა დამოკიდებულია სეზონურ პირობებზე და სრულდება მხოლოდ წლის კონკრეტულ პერიოდში (შრომითი მიგრანტების და მათი ოჯახის წევრების უფლებათა დაცვის საერთაშორისო კონვენცია, 1990 წ., მუხლი 2(2)(ბ)).
secondary inspection	['sekəndəri in'spekʃən]	<i>იხ. ასევე: შრომითი მიგრანტი (migrant worker)</i> სიღრმისეული შემოწმება – ქვეყანაში დაშვების პროცედურის გავლისას, პირველადი შემოწმების შედეგად განმცხადებლის მიმართ ეჭვის გაჩენის შემთხვევაში, მას უტარებენ სიღრმისეულ (სპეციალურ) შემოწმება-დათვალიერებას, რაც გულისხმობს გასაუბრების ან დამატებითი მოკვლევის ჩატარებას.
secondary migration	['sekəndəri imai'greɪʃən]	<i>იხ. ასევე: პირველადი შემოწმება (primary inspection)</i> მეორადი მიგრაცია – მიგრანტის გადაადგილება მიმღები ქვეყნის ტერიტორიის ფარგლებში, თავდაპირველი ჩასახლების ადგილიდან განსხვავებულ ადგილას.
self-employed worker	[selfɪm'plɔɪd wɜ:kə(r)]	თვითდასაქმებული მუშაკი – შრომითი მიგრანტი, რომელიც არ არის დაქირავებული შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, მაგრამ დაკავებულია ანაზღაურებადი საქმიანობით (მარტო ან ოჯახის

		წევრებთან ერთად) და ამ საქმიანობის შედეგად იღებს შემოსავალს. ასევე, ნებისმიერი სხვა შრომითი მიგრანტი, რომელიც მიჩნეულია თვითდასაქმებულად დასაქმების ქვეყნის მოქმედი კანონმდებლობის, ან ორმხრივი / მრავალმხრივი შეთანხმებების თანახმად (<i>შრომითი მიგრანტების და მათი ოჯახის წევრების უფლებათა დაცვის საერთაშორისო კონვენცია, 1990 წ., მუხლი 2(2)(თ).</i>
sending country	['sendɪŋ 'kɑntri]	<i>იხ. ასევე: შრომითი მიგრანტი (migrant worker)</i> გამგზავნი ქვეყანა – ქვეყანა, რომლიდანაც ადამიანები მიემგზავრებიან საზღვარგარეთ მუდმივი ან დროებითი დასახლების მიზნით.
sensors	['sensə(r)z]	<i>იხ. ასევე: წარმოშობის ქვეყანა (country of origin)</i> სენსორები – მოწყობილობა, რომელიც გამიზნულია ადამიანების გადაადგილების ან მათი არსებობის დასადგენად; შედგება გადაადგილების გამომვლენი სენსორებისგან და ნახშირბადის დიოქსიდის სენსორებისგან. ზოგი სენსორი იმართება ოპერატორის მიერ, ზოგი კი მონტაჟდება მოშორებულ ადგილებში საზღვრის გასწვრივ და ინფორმაციას სასაზღვრო პუნქტს გადასცემს.
servitude	['sɜ:vɪtju:d]	<i>იხ. ასევე: ნახშირბადის დიოქსიდის სენსორები (carbon dioxide sensors)</i> დამონება
short-term migrant	[,ʃɔ:t 'tɜ:m 'maɪgrənt]	<i>იხ. სავალდებულო კაბალა (debt bondage), მონობა (slavery)</i> მოკლევადიანი მიგრანტი – პირი, რომელიც მიემგზავრება ჩვეულებრივი ბინადრობის ქვეყნიდან განსხვავებულ ქვეყანაში სულ მცირე სამი თვით, მაგრამ არა უმეტეს ერთი წლისა, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ქვეყანაში მგზავრობის მიზანია დასვენება, შვებულების გატარება, მეგობრების ან ნათესავების მონახულება, სამსახურებრივი საჭიროება ან მკურნალობა. საერთაშორისო მიგრაციის სტატისტიკის მიზნებით, მოკლევადიან მიგრანტთა ჩვეულებრივი ბინადრობის ქვეყანა ითვლება დანიშნულების ქვეყნად მათი იქ ყოფნის პერიოდში.
skilled migrant	[skɪld 'maɪgrənt]	<i>იხ. ასევე: გრძელვადიანი მიგრანტი (long-term migrant), მუდმივი მოსახლეები (permanent settlers), დროებითი შრომითი მიგრანტები (temporary migrant workers), ხანმოკლე ვადით დასაქმებულნი (transients)</i> კვალიფიცირებული მიგრანტი – შრომითი მიგრანტი, რომელიც თავისი უნარ-ჩვევების გამო ექვემდებარება მიმღებ ქვეყანაში დაშვების გამარტივებულ პროცედურებს (და ასევე, მასზე ვრცელდება ნაკლები

slavery	['sleɪvəri]	შეზღუდვები ქვეყანაში ყოფნის ხანგრძლივობის მხრივ, სამუშაო ადგილის შეცვლისას და ოჯახის გაერთიანებისას). <i>იხ. ასევე: კვალიფიცირებული თანამემამულე (qualified national)</i> მონობა – მონობა არის ადამიანის მდგომარეობა, რომლის მიმართ ხორციელდება საკუთრების უფლების გამომხატველი რომელიმე ან ყველა ნიშანი (<i>კონვენცია მონობის შესახებ (1926 წ.) მუხლი 1, შესწორებები შეტანილი იქნა 1953 წლის ოქმის მიხედვით</i>). მონობის ძირითადი დამახასიათებელი ელემენტია ადამიანის საკუთრებაში ყოლის ან მასზე კონტროლის განხორციელება, მისი იძულება და გადაადგილების შეზღუდვა; ისევე, როგორც წასვლის ან დამქირავებლის შეცვლის შესაძლებლობის არქონა (მაგ., ტრადიციული მონური შრომის სისტემა, იძულებითი შრომა, ბატონყმური მდგომარეობა, იძულებითი შრომა და მონობა წესჩვეულებითი ან რელიგიური მიზნებით).
smuggler (of people)	['smʌglə(r) əv 'pi:p(ə)l]	<i>იხ. ასევე: იძულებითი შრომა (bonded labour), ბავშვის შრომა (child labour), ბავშვის შრომის უკიდურესი ფორმები (worst forms of child labour)</i> ადამიანების საზღვარზე უკანონო გადაყვანი – შუამავალი, რომელსაც გადაჰყავს ადამიანები, მათთან დადებული კონტრაქტის საფუძველზე, საერთაშორისოდ აღიარებულ სახელმწიფო საზღვარზე მათი არალეგალური ტრანსპორტირების მიზნით.
smuggling	['smʌglɪŋ]	<i>იხ. ასევე: ადამიანების საზღვარზე უკანონოდ გადაყვანა (smuggling), ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) (trafficking in persons / in human beings)</i> (ადამიანების) საზღვარზე უკანონო გადაყვანა – პირის უკანონო გადაყვანა იმ სახელმწიფოში, რომლის მოქალაქეს ან მუდმივ ბინადარს ეს უკანასკნელი არ წარმოადგენს, ფინანსური ან სხვა მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით. (<i>გაერო-ს ოქმი მიგრანტთა სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო გზებით უკანონო გადაყვანის წინააღმდეგ – გაერთიანებული ერების ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ მიმართული კონვენციის დამატება, 2000 წ., მუხლი 3(გ)</i>). უკანონო გადაყვანა, ადამიანით ვაჭრობისგან განსხვავებით, არ შეიცავს ექსპლუატაციის, იძულების ან ადამიანის უფლებათა დარღვევის ელემენტს.

sovereignty	['sɒvrɪntɪ]	იხ. ასევე: არალეგალური შესვლა (illegal entry), ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) (trafficking in persons / in human beings) სუვერენიტეტი – სუვერენიტეტს, როგორც საერთაშორისო სამართლის კონცეფციას, აქვს სამი ძირითადი ასპექტი: საგარეო, საშინაო და ტერიტორიული. სუვერენიტეტის საგარეო ასპექტი აღნიშნავს სახელმწიფოს უფლებას, თავისუფლად განსაზღვროს თავისი ურთიერთობები სხვა სახელმწიფოებთან ან საერთაშორისო სამართლის სხვა სუბიექტებთან, სხვა სახელმწიფოს მიერ შეზღუდვის ან კონტროლის გარეშე. სუვერენიტეტის ეს ასპექტი ცნობილია, როგორც სახელმწიფოს დამოუკიდებლობა. სუვერენიტეტის საშინაო ასპექტი მდგომარეობს სახელმწიფოს განსაკუთრებულ უფლებაში ან მის კომპეტენციაში, განსაზღვროს თავისი ინსტიტუტების ბუნება, თავისი შეხედულებისამებრ მიიღოს კანონები და უზრუნველყოს მათი აღსრულება. სუვერენიტეტის ტერიტორიული ასპექტი გულისხმობს განსაკუთრებულ ძალაუფლებას, რომელსაც სახელმწიფო მის ტერიტორიაზე, ტერიტორიის ქვეშ ან მის ზემოთ არსებულ პირებთან და საგნებთან მიმართებაში ახორციელებს.
specified-employment worker	['spesɪfaɪd em'plɔɪmənt'wɜ:kə(r)]	მიზნობრივად დასაქმებული მუშაკი – ტერმინი აღნიშნავს შრომით მიგრანტს: ა) რომელიც გაგზავნილია დამქირავებლის მიერ განსაზღვრული დროით დასაქმების ქვეყანაში კონკრეტული დავალების ან ფუნქციების შესასრულებლად; ბ) განსაზღვრული დროის განმავლობაში ასრულებს სამუშაოს, რასაც ესაჭიროება პროფესიული, კომერციული, ტექნიკური ან სხვა სპეციალური უნარ-ჩვევები; გ) დასაქმების ქვეყანაში მყოფი დამქირავებლის თხოვნით განსაზღვრული დროის განმავლობაში ასრულებს დროებით ან მოკლევადიან სამუშაოს და უნდა დატოვოს დასაქმების ქვეყანა იქ ყოფნის ნებადართული ვადის ამოწურვისას, ან მანამდე, იმ შემთხვევაში, თუ აღარ ასრულებს კონკრეტულ დავალებას ან ფუნქციებს ან არ არის დაკავებული აღნიშნული სამუშაოთი (შრომითი მიგრანტების და მათი ოჯახის წევრების უფლებათა დაცვის საერთაშორისო კონვენცია, 1990 წ., მუხლი 2(2)(ზ)).
sponsorship	['spɒnsəʃɪp]	იხ. ასევე: შრომითი მიგრანტი (migrant worker) სპონსორობა – ქვეყანაში შესვლის მსურველი

spontaneous migration	[spɒnˈteɪniəs maɪˈɡreɪʃən]	არამოქალაქისთვის გაწეული ფინანსური მხარდაჭერა. ზოგი ქვეყანა, განსაზღვრული საიმიგრაციო სტატუსის მისანიჭებლად ითხოვს სპონსორობის ფაქტის დადასტურებას ან საკმარისი შემოსავლის მტკიცებულების დემონსტრირებას. სპონტანური მიგრაცია – პირი ან პირთა ჯგუფი, რომელიც მიგრაციასთან დაკავშირებულ გეგმებს ნებისმიერი გარე დახმარების გარეშე შეიმუშავებს და განახორციელებს. სპონტანური მიგრაცია, ჩვეულებრივ, გამოწვეულია მიგრაციის მამოძრავებელი ფაქტორებით და ხასიათდება სახელმწიფო ან ნებისმიერი სხვა სახის საერთაშორისო, თუ ადგილობრივი დახმარების არარსებობით.
standard of proof	[ˈstændəd əv ˈpruːf]	იხ. ასევე: მიგრაციის ხელშეწყობა (<i>assisted migration</i>), ნებაყოფლობით დაბრუნებაში ხელშეწყობა (<i>assisted voluntary return</i>), მიგრაციის მამოძრავებელი ფაქტორები (<i>push-pull factors</i>) მტკიცებულების სტანდარტი – კონკრეტულ შემთხვევაში მოთხოვნილი მტკიცებულების სარწმუნოების ხარისხი. მაგალითად, ლტოლვილებთან მიმართებაში „საკმარისად დასაბუთებული“ ნიშნავს მტკიცებულების სტანდარტს, რომელიც გამოიყენება დევნის მსხვერპლად გახდომის შიშის შეფასებისას.
state	[steɪt]	სახელმწიფო – პოლიტიკური წარმონაქმნი, რომელიც ფლობს სამართლებრივ იურისდიქციას და ახორციელებს ეფექტიან კონტროლს გარკვეულ ტერიტორიაზე, სარგებლობს კოლექტიური გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილებით მუდმივად მცხოვრები მოსახლეობისთვის და ძალის ლეგიტიმური მიზნით გამოყენების მონოპოლიით; ჰყავს საერთაშორისოდ აღიარებული მთავრობა, რომელიც აწარმოებს ოფიციალურ ურთიერთობებს საერთაშორისო სამართლის სხვა სუბიექტებთან ან აქვს აღნიშნული ურთიერთობების წარმოების შესაძლებლობა. საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით, სახელმწიფოებრიობის კრიტერიუმად, ჩვეულებრივ, ითვლება მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის არსებობა, განსაზღვრული ტერიტორია, მთავრობა და სხვა სახელმწიფოებთან საერთაშორისო ურთიერთობათა წარმოების შესაძლებლობა. (<i>სახელმწიფოთა უფლებებისა და მოვალეობების შესახებ მონტევიდეოს კონვენცია, მუხლი 1, 1933 წ.</i>)
state of employment	[ˌsteɪt əv ɛmˈplɔɪmənt]	დასაქმების სახელმწიფო – სახელმწიფო, სადაც

		შრომითი მიგრანტი დაკავდება, დაკავებულია ან დაკავებული იყო ანაზღაურებადი საქმიანობით, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე (<i>შრომითი მიგრანტების და მათი ოჯახის წევრების უფლებათა დაცვის საერთაშორისო კონვენცია, 1990 წ., მუხლი 6(ბ).</i> <i>იხ. ასევე: შრომითი მიგრანტი (migrant worker)</i>
state of origin	[ˌsteɪt əv ˈbrɪdʒɪn]	წარმოშობის სახელმწიფო – სახელმწიფო, რომლის მოქალაქეც არის კონკრეტული პირი (<i>შრომითი მიგრანტების და მათი ოჯახის წევრების უფლებათა დაცვის საერთაშორისო კონვენცია, 1990 წ., მუხლი 6(ა).</i>
state of transit	[ˌsteɪt əv ˈtrænzɪt]	<i>იხ. ასევე: წარმოშობის ქვეყანა (country of origin)</i> სატრანზიტო სახელმწიფო – სახელმწიფო, რომელსაც შესაბამისი პირი გადაკვეთს დასაქმების სახელმწიფოში მიმავალ გზაზე, ან დასაქმების სახელმწიფოდან წარმოშობის სახელმწიფოში ან ჩვეული ბინადრობის სახელმწიფოში დაბრუნებისას (<i>შრომითი მიგრანტების და მათი ოჯახის წევრების უფლებათა დაცვის საერთაშორისო კონვენცია, 1990 წ., მუხლი 6(გ).</i>
stateless person	[ˈsteɪtlɪs ˈpɜːrs(ə)n]	<i>იხ. ასევე: სატრანზიტო ქვეყანა (country of transit)</i> მოქალაქეობის არმქონე პირი – პირი, რომელიც არ განიხილება მოქალაქედ რომელიმე სახელმწიფოს მიერ, ამ სახელმწიფოში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად (<i>გაერო-ს კონვენცია მოქალაქეობის არმქონე პირთა სტატუსის შესახებ, 1954 წ.</i>). მოქალაქეობის არმქონე პირს არ აქვს უფლებები, რომლითაც, ჩვეულებრივ, სარგებლობს მოქალაქე: სახელმწიფოს მიერ დიპლომატიური მფარველობა, ბინადრობის ქვეყანაში ყოფნის განუყოფელი უფლება და ქვეყნიდან გამგზავრების შემთხვევაში უკან დაბრუნების უფლება.
suit	[s(j)uːt]	<i>იხ. ასევე: de facto მოქალაქეობის არქონა (de facto statelessness)</i> სასამართლო პროცესი – ერთი მხარის ან მხარეთა მიერ მეორე მხარის წინააღმდეგ საქმის წარმოება სასამართლოში.
summons	[ˈsʌmənz]	უწყება – შეტყობინება პირის სასამართლოში ან ადმინისტრაციულ ორგანოში გამოცხადების მოთხოვნით ნაფიცი მსაჯულის ან მოწმის სტატუსით.

T

technical cooperation	[ˈtɛknɪkəl kəʊ, pəˈreɪʃən]	ტექნიკური თანამშრომლობა – ინფორმაციის, ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება მოცემული თემის ირგვლივ, ძირითადად, სახელმწიფო მართვის სფეროში (მაგ., კანონმდებლობის შემუშავება, ინფრასტრუქტურის დაგეგმვა და განვითარება ან ტექნოლოგიური მოდერნიზაცია).
temporary migrant workers	[ˈtɛmpərəri ˈmaɪgrənt ˈwɜ:kə(r)z]	<i>იხ. ასევე: შესაძლებლობათა ზრდა (capacity building)</i> დროებითი შრომითი მიგრანტები – კვალიფიცირებული, ნახევრადკვალიფიცირებული ან კვალიფიკაციის არმქონე მუშაკები, რომლებიც რჩებიან მიმღებ ქვეყანაში გარკვეული დროით, რაც განსაზღვრულია ინდივიდუალური შრომითი ან მომსახურების მიწოდების შესახებ დადებული ხელშეკრულებით ან საწარმოსთან გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულებით. მათ ასევე მოიხსენიებენ, როგორც ხელშეკრულების საფუძველზე მომუშავე შრომით მიგრანტებს.
temporary protection	[ˈtɛmpərəri prəʊˈtɛkʃən]	<i>იხ. ასევე: მოკლევადიანი მიგრანტი (short-term migrant)</i> დროებითი დაცვა – ადამიანების დაუყოვნებლივ და დროებითი დაცვის მიზნით განხორციელებული განსაკუთრებული ხასიათის ღონისძიებები, მესამე ქვეყნებიდან იმ პირთა მასობრივი შემოდილების ან აღნიშნული შემოდილების გარდაუვალი ალბათობის შემთხვევაში, რომლებიც ვერ ბრუნდებიან წარმოშობის ქვეყანაში. ეს დაცვა ხორციელდება განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ არსებობს რისკი, რომ თავშესაფრის სისტემა ვერ გაატარებს ადამიანთა ამ ნაკადებს თავის ეფექტურ ფუნქციონირებაზე ნეგატიური ზეგავლენის გარეშე ზემოთ აღნიშნულ და დაცვის საჭიროების მქონე სხვა პირთა ინტერესების დაცვისას.
territorial asylum	[tɛrɪˈtɔəriəl əˈsaɪləm]	ტერიტორიული თავშესაფარი
territorial jurisdiction	[tɛrɪˈtɔəriəl dʒɪsəɪrɪˈdɪkʃən]	<i>იხ. თავშესაფარი (ტერიტორიული) (asylum (territorial))</i> ტერიტორიული იურისდიქცია – იურისდიქცია ყველა იმ შემთხვევაზე, რომელიც ვლინდება განსაზღვრულ ტერიტორიაზე ან რომლებშიც ჩართული არიან ამ ტერიტორიაზე მცხოვრები პირები. ასევე, ტერიტორია, რომელზეც სახელმწიფოს, მის ერთ-ერთ სასამართლოს ან ქვეგანყოფილებას გააჩნია იურისდიქცია.
terrorism	[ˈtɛrərɪz(ə)m]	ტერორიზმი – ნებისმიერი ქმედება, რომელიც

		გამიზნულია იმ სამოქალაქო პირის მოკვლის ან სხეულის სერიოზული დაზიანებისთვის, რომელიც აქტიურად არ მონაწილეობს საბრძოლო მოქმედებებში საომარი კონფლიქტის მიმდინარეობისას. თავისი ბუნებით და კონტექსტით ამგვარი ქმედების მიზანია მოსახლეობის დაშინება ან მთავრობის ან საერთაშორისო ორგანიზაციის იძულება, განახორციელოს რაიმე კონკრეტული ქმედება ან თავი შეიკავოს მისგან (<i>საერთაშორისო კონვენცია ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის შესახებ, 1999 წ., მუხლი 2(1)(ბ)</i>).
third country	[θɜ:d 'kʌntri]	მესამე ქვეყანა – ქვეყანა, რომელიც არ წარმოადგენს პირის წარმოშობის ქვეყანას. <i>იხ. ასევე: დანიშნულების ქვეყანა (country of destination), წარმოშობის ქვეყანა (country of origin), მიმღები ქვეყანა (receiving country), წარმოშობის სახელმწიფო (state of origin), სატრანზიტო სახელმწიფო (state of transit)</i>
third country national	[θɜ:d 'kʌntri 'næʃənəl]	მესამე ქვეყნის მოქალაქე <i>იხ. უცხოელი (alien), უცხო ქვეყნის მოქალაქე (foreigner), მოქალაქე (national), არამოქალაქე (non-national)</i>
tolerated stay	['tɒləreɪtɪd steɪ]	აუცილებლობით გამოწვეული დაყოვნების უფლება - ქვეყანაში დარჩენის უფლება, რომელიც უმრავლეს შემთხვევაში, ენიჭება პირს, რომლის იძულებითი გაყვანა ვერ ხერხდება პრაქტიკული მიზეზების გამო (როგორცაა, მაგალითად, საჭირო დოკუმენტების არარსებობა ან წარმოშობის ქვეყნის უარი პირის მიღებაზე) ან იმის გამო, რომ პირის იძულებითი გაყვანა უტოლდება გაძევებას (და ამდენად, ეწინააღმდეგება კონვენციას ლტოლვილთა სტატუსის შესახებ).
torture	['tɔ:tʃʊə(r)]	<i>იხ. ასევე: გაძევების დაუშვებლობა (non-refoulement)</i> წამება – ნებისმიერი ქმედება, განხორციელებული ადამიანისთვის ძლიერი ტკივილის ან ფიზიკური ან მორალური ტანჯვის განზრახ მიყენების მიზნით, მისგან ან მესამე პირისგან ინფორმაციის ან აღიარების მოსაპოვებლად, მის ან მესამე პირის დასასჯელად ჩადენილი ქმედებისთვის, ან ამ ქმედების ჩადენის ეჭვის გამო, ასევე, მისი ან მესამე პირის დასაშინებლად ან იძულებისთვის ან დისკრიმინაციაზე დაფუძნებული ნებისმიერი მიზეზით, როდესაც ამგვარი ტკივილის და ტანჯვის მიყენება ხდება თანამდებობის პირის ან ოფიციალური უფლებამოსილებით მოქმედი პირის მიერ, ან ამ უკანასკნელის წაქეზებით, თანხმობით ან ფაქტობრივი ნებართვით. აღნიშნული განსაზღვრება

total migration / net migration	['təʊtəl mɑːr'greɪʃən / net mɑːr'greɪʃən]	არ ვრცელდება კანონიერ სანქციათა განხორციელების შედეგად გამოწვეულ ტკივილზე ან ტანჯვაზე, რაც წარმოადგენს ამ სანქციათა განუყოფელ თანამდევ ეფექტს ან წარმოიქმნება შემთხვევით (<i>კონვენცია წამების ან სხვა სასტიკი, არაადამიანური და ადამიანის ღირსების დამამცირებელი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ, 1984 წ., მუხლი 1</i>). იხ. ასევე: საერთო საერთაშორისო სამართალი (<i>jus cogens</i>), წამების აკრძალვა (<i>prohibition of torture</i>) მიგრაციის მთლიანი მოცულობა / მიგრაციის სალდო – იმიგრანტთა და ემიგრანტთა ჯამური რაოდენობა იძლევა მიგრაციის საერთო მაჩვენებელს და მას მიგრაციის მთლიანი მოცულობა ეწოდება, მიგრაციის სალდოსგან ან მიგრაციის ნარჩენი ბალანსისგან განსხვავებით, რომელიც შემოსვლებსა და გასვლებს შორის სხვაობას აღნიშნავს. ბალანსს სუფთა იმიგრაცია ეწოდება მაშინ, როდესაც შემოსულთა რაოდენობა აღემატება გასულ პირთა რაოდენობას, ხოლო სუფთა ემიგრაცია – როდესაც გასულთა რაოდენობა აღემატება შემოსულ პირთა რაოდენობას.
trafficker, human	['træfɪkə(r) 'hjuːmən]	ადამიანით მოვაჭრე (ტრეფიკიორი) – შუამავალი, რომელსაც გადაჰყავს ადამიანები ეკონომიკური ან სხვა სარგებლის მიღების მიზნით მოტყუების, იძულების და/ან ექსპლუატაციის სხვა ფორმებით. ადამიანით მოვაჭრის (ტრეფიკიორის) თავდაპირველი (<i>ab initio</i>) განზრახვა იმთავითვე მდგომარეობს პირის ექსპლუატაციაში და ექსპლუატაციისგან მოგების ან სარგებლის მიღებაში. იხ. ასევე: ექსპლუატაცია (<i>exploitation</i>), ადამიანების საზღვარზე უკანონო გადაყვანი (<i>smuggler</i>), ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) (<i>trafficking in persons / in human beings</i>) ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) – ადამიანთა გადაბირება, ტრანსპორტირება, შეფარება ან მიღება მუქარის, ძალის გამოყენების ან იძულების სხვა საშუალებებით: მოტაცებით, თაღლითობით, მოტყუებით, ძალაუფლების ან პირის უმწეობის ბოროტად გამოყენებით, ან იმ პირის თანხმობის მისაღწევად თანხის ან სხვა სარგებლის მიღების ან გაცემის გზით, ვისი დამოკიდებულების ქვეშაც იმყოფება მეორე პირი, ამ უკანასკნელის ექსპლუატაციის მიზნით.
trafficking in persons (in human beings)	['træfɪkɪŋ ɪn 'pɜːrs(ə)nz ɪn 'hjuːmən biːɪŋz]	(<i>გაერო-ს ოქმი ადამიანით, განსაკუთრებით ქალებითა და ბავშვებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ, მუხლი</i>

		3(ა), ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გაერო-ს კონვენციის (2000 წ.) დამატება). იხ. ასევე: გატაცება (abduction), იძულება (coercion), ექსპლუატაცია (exploitation), თაღლითობა (fraud), ადამიანების საზღვარზე უკანონოდ გადაყვანა (smuggling), ადამიანით მოვაჭრე (ტრეფიკორი) (trafficker)
transients	['tra:nsiənts]	ხანმოკლე დროით დასაქმებულნი - პროფესიონალი ან კვალიფიცირებული მუშაკები, რომლებიც მოგზაურობენ ერთი ქვეყნიდან მეორეში, ხშირად როგორც საერთაშორისო და/ან ერთობლივ საწარმოთა თანამშრომლები.
transit	['tra:nsit]	იხ. ასევე: შრომითი მიგრანტი (migrant worker) ტრანზიტი – ორ ან მეტ ქვეყანას შორის მგზავრობისას განსხვავებული დროით შეჩერება, რაც ატარებს შემთხვევით ხასიათს უწყვეტი მგზავრობისას, ან განპირობებულია თვითმფრინავის, რეისის ან სატრანსპორტო საშუალების შეცვლით.
transit passengers	['tra:nsit 'pæsɪndʒə(r)z]	იხ. ასევე: ტრანზიტული ლტოლვილები (refugees in transit), სატრანზიტო სახელმწიფო (state of transit) ტრანზიტული მგზავრები – პირები, რომლებიც შემოდინა ქვეყანაში სხვა ქვეყნიდან, მიემართებიან რა დანიშნულების (მესამე) ქვეყნისკენ და მოცემულ ქვეყანაში ყოფნის სრული პერიოდის (შემოსვლიდან მაქსიმუმ 24 საათის) განმავლობაში რჩებიან ზომალდზე, რომლითაც შემოვიდნენ ქვეყანაში, პორტში, აეროპორტის დაცულ ზონაში ან პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ.
transit visa	['tra:nsit 'vi:zə]	იხ. ასევე: სატრანზიტო სახელმწიფო (state of transit), ტრანზიტი (transit) ტრანზიტული ვიზა – სახელმწიფოს მიერ პირისთვის გაცემული ვიზა, რომელიც მიემგზავრება მესამე ქვეყანაში და რომელიც პირს ამ სახელმწიფოს ტერიტორიის გადაკვეთის ნებართვას ანიჭებს. ტრანზიტული ვიზა გაიცემა სამი დღით ან ნაკლები ვადით.
transportation	[tra:ns'pɔ:t'eɪʃən]	იხ. ასევე: სატრანზიტო სახელმწიფო (state of transit), ტრანზიტი (transit), ტრანზიტული მგზავრები (transit passengers), ვიზა (visa) ტრანსპორტირება – ადამიანების ან პროდუქტის გადაადგილება ერთი ადგილიდან მეორეში, რომელსაც ახორციელებს გადამზიდი. იხ. ასევე: სატრანსპორტო საშუალება (conveyance)

travel documents	['træv(ə)l 'dɒkjʊmənts]	სამგზავრო დოკუმენტები – ზოგადი ტერმინი, რომელიც გამოიყენება ყველა იმ დოკუმენტის აღსანიშნავად, რომლებიც წარმოადგენს პირადობის დასადასტურებლად აღიარებულ მტკიცებულებას. პასპორტები და ვიზები სამგზავრო დოკუმენტების ყველაზე ხშირად გამოყენებული ფორმაა. ზოგ ქვეყანაში სამგზავრო დოკუმენტებად მიღებულია ასევე პირადობის დამადასტურებელი ან სხვა დოკუმენტები. <i>იხ. ასევე: პირადობის დამადასტურებელი მოწმობა (certificate of identity), პასპორტი (passport), ვიზა (visa)</i>
traveller	['trævələ(r)]	მოგზაური - პირი, რომელიც გადაადგილდება ერთი ადგილიდან მეორეში, ნებისმიერი მიზეზით. <i>იხ. ასევე: მიგრანტი (migrant)</i>
treaty	['tri:tɪ]	საერთაშორისო ხელშეკრულება – ქვეყნებს შორის წერილობითი ფორმით დადებული და საერთაშორისო კანონმდებლობით რეგულირებადი საერთაშორისო შეთანხმება, რომელიც შეიძლება წარმოდგენილ იყოს ერთი დოკუმენტის სახით ან შედგებოდეს ორი ან მეტი ურთიერთდაკავშირებული დოკუმენტისგან; საერთაშორისო შეთანხმება წარმოადგენს ასეთს მიუხედავად მისი კონკრეტული დასახელებისა (<i>ვენის კონვენცია სახელშეკრულებო სამართლის შესახებ, 1969 წ.</i>). <i>იხ. ასევე: შეთანხმება (accord), შეთანხმება (agreement), პაქტი (covenant), სამართლებრივი ინსტრუმენტი (instrument)</i>

U

ultra vires [ˈʌltrə ˈvaɪərɪz]

ultra vires (ლათ.) „კომპეტენციის მიღმა“ – არანებდართული; კორპორატიული წესდების ან კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების მიღმა მოქმედი.

unaccompanied minor [ʌnəˈkʌmpənɪd ˈmaɪnə(r)]

თანმხლები პირის გარეშე მყოფი არასრულწლოვანი – პირი, რომელსაც არ მიუღწევია სრულწლოვანებისთვის და რომელსაც არ ახლავს მშობელი, მეურვე ან სხვა ზრდასრული პირი, რომელიც კანონის ან ჩვეულების თანახმად, მასზე პასუხისმგებელია. თანმხლების გარეშე მყოფ არასრულწლოვანთა საკითხი განსაკუთრებულ ამოცანებს უყენებს საზღვრის კონტროლზე პასუხისმგებელ პირებს, ვინაიდან სრულწლოვან უსაბუთო უცხოელთა მიმართ გამოყენებული დაკავების ან სხვა ღონისძიებები არ შეიძლება გამოყენებული იქნეს არასრულწლოვანთა მიმართ.

undocumented alien [ʌnˈdɒkjʊməntɪd ˈeɪliən]

იხ. ასევე: ბავშვი (child), არასრულწლოვანი (minor)

უსაბუთო (უკანონოდ მყოფი) უცხოელი – უცხოელი, რომელიც შემოდის და/ან რჩება ქვეყანაში შესაბამისი დოკუმენტაციის გარეშე; მათ შორის: ა) ქვეყანაში შესვლისთვის საჭირო ლეგალური დოკუმენტების არმქონე პირები, რომლებიც ახერხებენ ქვეყანაში ფარულად შესვლას; ბ) პირები, რომლებიც ყალბი დოკუმენტების გამოყენებით შედიან ქვეყანაში; გ) პირები, რომლებიც ლეგალური დოკუმენტებით შესვლის შემდგომ, დარჩნენ ქვეყანაში ნებდართულ ვადაზე მეტ ხანს ან სხვა ფორმით დაარღვიეს შესვლისთვის დადგენილი წესები და დარჩნენ ქვეყანაში ნებართვის გარეშე.

undocumented migrant workers / migrant workers in an irregular situation [ʌnˈdɒkjʊməntɪd ˈmaɪgrəntˈwɜːkə(r)z / ˈmaɪgrəntˈwɜːkə(r)z in ən ɪˈrɛɡjʊlə(r) sɪtjuˈeɪʃ(ə)n]

იხ. ასევე: არალეგალური შესვლა (illegal entry), არალეგალური მიგრაცია (irregular migration)

უსაბუთო (უკანონოდ მყოფი) შრომითი მიგრანტები / სამართლებრივი საფუძვლის გარეშე შემოსული შრომითი მიგრანტები – შრომითი მიგრანტები ან მათი ოჯახის წევრები, რომლებსაც არ აქვთ სახელმწიფოში შესვლის, დარჩენის ან მუშაობის ნებართვა.

unlawful entry [ʌnˈlɔːfʊl ˈentri]

იხ. ასევე: საბუთიანი შრომითი მიგრანტები (documented migrant workers), შრომითი მიგრანტი (migrant worker)

უკანონო შესვლა

იხ. არალეგალური შესვლა (illegal entry)

uprooted people	[Ap'rutid 'pi:p(ə)l]	ჩვეული ბინადრობის ადგილიდან იძულებით გადაადგილებული პირები – ადამიანები, რომლებიც იძულებულნი გახდნენ, დაეტოვებინათ თავიანთი საცხოვრებელი ადგილები: ისინი, ვინც მიემგზავრებიან დევნის ან ომის გამო; ისინი, ვინც ექვემდებარებიან იძულებით გამოსახლებას ეკოლოგიური კატასტროფის გამო და ისინი, ვინც იძულებულნი არიან, გაემგზავრონ ქალაქში ან საზღვარგარეთ თავიანთ საცხოვრებელ ადგილზე საარსებო პირობების არქონის გამო. <i>იხ. ასევე: ქვეყნის გარეთ გადაადგილებული პირები (externally displaced persons), ქვეყნის შიგნით [GEO: იძულებით] გადაადგილებული პირები (internally displaced persons), ლტოლვილები (refugees)</i>
urban-rural migrants	['ʒ:bən 'rʊəɐl 'maigrənts]	ქალაქიდან სოფელში მიგრირებულები – შიდა მიგრანტები, რომლებიც გადაადგილდებიან ქალაქებიდან სოფლებში ახალი დასახლების მიზნით ან ისინი, ვინც ბრუნდებიან დაბრუნებითი მიგრაციის გზით სოფლებში მას შემდეგ, რაც ერთხელ უკვე გადაადგილდნენ სოფლებიდან ქალაქში. <i>იხ. ასევე: შიდა მიგრაცია (internal migration)</i>
urban-urban migrants	['ʒ:bən 'ʒ:bən 'maigrənts]	ქალაქიდან ქალაქში მიგრირებულები – შიდა მიგრანტები, რომლებიც გადაადგილდებიან ერთი ქალაქიდან მეორეში, ძირითადად დასაქმების მიზნით. <i>იხ. ასევე: შიდა მიგრაცია (internal migration)</i>

V

vessel	[ˈvesəl]	ხომალდი – ნებისმიერი ტიპის მცურავი ხომალდი, წყალწვის არმქონე ხომალდებისა და ჰიდროთვითმფრინავების ჩათვლით, რომლებიც გამოიყენება ან შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც წყალზე ტრანსპორტირების საშუალება, რაც არ ვრცელდება სამხედრო ხომალდებზე, ასევე სახელმწიფოს კუთვნილებაში ან მის ექსპლუატაციაში არსებულ დამხმარე საზღვაო ან სხვა ხომალდებზე, რომლებიც მოცემულ მომენტში სახელმწიფო არაკომერციულ სამსახურში გამოიყენება (<i>მიგრანტთა სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო გზებით უკანონო გადაყვანის წინააღმდეგ ოქმი, 2000 წ., მუხლი 3(დ)</i>).
victim of human trafficking	[ˈvɪktɪm əv ˈhjuːmən ˈtræfɪkɪŋ]	ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი – პირი, რომელიც წარმოადგენს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის მსხვერპლს. <i>იხ. ასევე: ადამიანით მოვაჭრე (ტრეფიკიორი) (trafficker), ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) (trafficking in persons / in human beings)</i>
violence against women	[ˈvaɪələns əˈgeɪnst ˈwɪmɪn]	ქალების მიმართ ძალადობა – გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობა, რომელიც აყენებს ან შეუძლია მიაყენოს ფიზიკური, სექსუალური ან ფსიქოლოგიური ზარალი ან ტანჯვა ქალებს, ასევე ამგვარი ქმედებით მუქარა და თავისუფლების თვითნებური შეზღუდვა ან ამგვარი შეზღუდვის იძულება მათ საზოგადოებრივ ან პირად ცხოვრებაში (<i>დეკლარაცია ქალის მიმართ ძალადობის წინააღმდეგ, 1993 წ., მუხლი 1</i>).
visa	[ˈvɪzə]	ვიზა – საკონსულოს თანამდებობის პირის მიერ (პასპორტში ან პირადობის დამდასტურებელ დოკუმენტში აღნიშნული) დადასტურება იმისა, რომ იგი პასპორტის ან პირადობის დამდასტურებელი მოწმობის მფლობელს ვიზის გაცემის მომენტში თვლის იმ არამოქალაქეთა კატეგორიაში, რომლებსაც ეძლევათ ქვეყანაში შესვლის ნებართვა, ამ ქვეყნის კანონმდებლობის თანახმად. ვიზა ასახავს ქვეყანაში დაშვების კრიტერიუმებს. საერთაშორისო პრაქტიკაში თანდათან მკვიდრდება სპეციალური მოწყობილობით წამკითხველი ვიზების გაცემის პრაქტიკა, რომლებიც შეესაბამება სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ICAO) სტანდარტებს და დაბეჭდილია უსაფრთხოების ნიშნების შემცველ წებოვან

		ქალაქში.
visitor	['vɪzɪtə(r)]	იხ. ასევე: ბიომეტრია (biometrics), პირადობის დამადასტურებელი მოწმობა (certificate of identity), პასპორტი (passport), სამგზავრო დოკუმენტები (travel documents) სტუმარი / ვიზიტორი - მიგრაციის კონტექსტში: პირი, რომელსაც სურს ქვეყანაში დროებით შესვლა.
voluntary repatriation	['vɒləntəri rɪpeɪtri'eɪʃən]	იხ. ასევე: მუდმივი ბინადრობა (permanent residence), მუდმივი მოსახლეები (permanent settlers) ნებაყოფლობითი რეპატრიაცია – პირის დაბრუნება წარმოშობის ქვეყანაში, თავისუფლად გამოხატული სურვილის საფუძველზე.
voluntary return	['vɒləntəri rɪ'tɜːn]	იხ. ასევე: ნებაყოფლობით დაბრუნებაში ხელშეწყობა (assisted voluntary return), არანებაყოფლობითი რეპატრიაცია (involuntary repatriation), რეპატრიაცია (repatriation), დაბრუნება (return), დაბრუნების უფლება (right to return) ნებაყოფლობითი დაბრუნება – პირის დამოუკიდებლად დაბრუნება ან ხელშეწყობა დაბრუნებაში წარმოშობის, სატრანზიტო თუ მესამე ქვეყანაში მისი თავისუფლად გამოხატული სურვილის საფუძველზე.
vulnerable groups	['vʌlnərəb(ə)l gruːps]	იხ. ასევე: ნებაყოფლობით დაბრუნებაში ხელშეწყობა (assisted voluntary return), არანებაყოფლობითი რეპატრიაცია (involuntary repatriation), იძულებითი დაბრუნება (forced return), დაბრუნება (return), რეპატრიაცია (repatriation), ნებაყოფლობითი რეპატრიაცია (voluntary repatriation) მოწყვლადი ჯგუფები – საზოგადოების რომელიმე ჯგუფი ან ნაწილი, რომლებიც, სახელმწიფოში მცხოვრებ სხვა ჯგუფებთან შედარებით, შეიძლება უფრო მეტად აღმოჩნდნენ დისკრიმინაციული პრაქტიკის, ძალადობის, ბუნებრივი ან ეკოლოგიური კატასტროფების ან ეკონომიკური კრიზისის მსხვერპლად გახდომის რისკის ქვეშ. საზოგადოების ნებისმიერი ჯგუფი ან ნაწილი (ქალები, ბავშვები ან ხანდაზმულები), რომლებიც იმყოფებიან მომეტებული რისკის ქვეშ კონფლიქტებისა და კრიზისების დროს.

W

waiver	[ˈweɪvə(r)]	უარის თქმა – ნებაყოფლობით უარის თქმა (გამოხატული ან ნაგულისხმევი) იურიდიულ უფლებაზე ან სარგებელზე. მიგრაციის მარეგულირებელი კანონმდებლობა შეიძლება შეიცავდეს დებულებებს, რომელთა მიხედვით კანონიერი მოთხოვნები ან დაშვებაზე უარის თქმის საფუძვლები შეიძლება კონკრეტულ შემთხვევებში უგულვებელყოფილი იქნეს და შესაბამის უწყებას მიეცეს მოცემულ მოთხოვნაზე „უარის თქმის“ უფლებამოსილება.
watch list	[ˈwɒtʃ ˌlɪst]	<i>იხ. არასასურველ / ძიებაში მყოფ პირთა სია (lookout system)</i>
withdrawal, of an application	[wɪðˈdrɔːəl əv ən æplɪˈkeɪʃən]	განცხადების გამოხმობა – თხოვნა ადრე შეტანილი განცხადების ანულორების ან გამოხმობის შესახებ, ან შესაბამის თანამდებობის პირთა ინფორმირება იმის თაობაზე, რომ პირს, რომელმაც აღნიშნული განცხადება შეიტანა, აღარ სურს მოთხოვნილი სარგებლის ან სტატუსის მიღება.
witness	[ˈwɪtnɪs]	<i>იხ. ასევე: განცხადება (application)</i> მოწმე – პირი, რომელიც თავად, პირადი გამოცდილებით არის პირადად გათვითცნობიერებული კონკრეტული გარემოებების ან ფაქტების შესახებ. იურიდიულ კონტექსტში – პირი, რომელსაც გააჩნია აღნიშნული ცოდნა და აქვს იურიდიული უფლებამოსილება, წარდგეს ამ ცოდნით სასამართლოს წინაშე. რაიმე მოვლენაზე ან ქმედებაზე დაკვირვება. იურიდიულ კონტექსტში დაკვირვების წარმოება ნორმატიულ-სამართლებრივი დოკუმენტის (შეთანხმების ან ხელშეკრულების) შესრულებაზე.
worker on an offshore installation	[ˈwɜːkə(r) ɒn ən ɔːfʃə(r) ɪnstəːˈleɪʃən]	სანაპირო ზოლზე განლაგებულ ობიექტზე დასაქმებული მუშაკი – შრომითი მიგრანტი, რომელიც მუშაობს იმ სახელმწიფოს სანაპირო ზოლზე განთავსებულ ობიექტზე, რომლის მოქალაქესაც არ წარმოადგენს <i>(შრომითი მიგრანტების და მათი ოჯახის წევრების უფლებათა დაცვის საერთაშორისო კონვენცია, 1990 წ., მუხლი 2(2)(დ)).</i>
working permit	[ˈwɜːkɪŋ ˈpɜːmɪt]	<i>იხ. ასევე: შრომითი მიგრანტი (migrant worker)</i> შრომის ნებართვა – იურიდიული დოკუმენტი, რომელიც იძლევა შრომითი მიგრანტების სამუშაოდ დაქირავების უფლებას მიმღებ ქვეყანაში.

worst forms of
child labour

[wɜːst fɔːmz
əv tʃaɪld 'leɪbə(r)]

ბავშვის შრომის უკიდურესი ფორმები – მონობის ყველა ფორმა ან მონობის მსგავს მდგომარეობაში ჩაყენება (ბავშვებით ვაჭრობა (ტრეფიკინგი), სავალო კაბალა, ბატონყმურ მდგომარეობაში ჩაყენება, იძულებითი ან სავალდებულო შრომა, მათ შორის, ბავშვების იძულებითი ან სავალდებულო გადაბირება საომარ კონფლიქტში გამოყენების მიზნით); ბავშვის გამოყენება, ყიდვა ან შეთავაზება პროსტიტუციის, პორნოგრაფიული მასალების დამზადების ან პორნოგრაფიულ გამოსვლებში მონაწილეობის მიზნით; ასევე უკანონო საქმიანობებისთვის, როგორცაა ნარკოტიკული საშუალებების დამზადება და გადატანა (როგორც განსაზღვრულია საერთაშორისო ხელშეკრულებებით), ან სხვა სახის საქმიანობაში ჩაბმის მიზნით, რომელსაც, თავისი არსის ან იმ გარემოებების გამო, რომლებშიც ეს საქმიანობა ხორციელდება, შეუძლია დააზიანოს ბავშვების ჯანმრთელობა, უსაფრთხოება ან ზნეობა.

იხ. ასევე: ბავშვის ექსპლუატაცია (*child exploitation*), ბავშვის შრომა (*child labour*), სავალო კაბალა (*debt bondage*), ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) (*trafficking in persons / in human beings*)

writ of habeas corpus

[rɪt əv 'heɪbiːəs
'kɔːpəs]

ბრძანებულება (დაკავებულის) სასამართლოში მიყვანის შესახებ

იხ. ასევე: *habeas corpus*

X

xenophobia

[zenə'fəʊbiə]

ქსენოფობია – საერთაშორისო დონეზე ქსენოფობიის საყოველთაოდ მიღებული განსაზღვრება არ არსებობს; თუმცა ის შეიძლება აღიწეროს, როგორც მიდგომები, წინასწარგანწყობა და ქცევა, რომელიც უგულებელყოფს, არ იღებს და უარყოფით კონტექსტში იხსენიებს ადამიანებს იმ მოსაზრების საფუძველზე, რომ ისინი თემისთვის, საზოგადოებისა და ეროვნული იდენტობისთვის უცხო ელემენტებს წარმოადგენენ. არსებობს მჭიდრო კავშირი რასიზმსა და ქსენოფობიას შორის და ამ ორი ტერმინის მკაფიო გამიჯვნა რთულია.

ბიბლიოგრაფია

Aleinikoff, T.A., Chetail, V. (Ed.)

2003 *Migration and International Legal Norms*, T.M.C. Asser Press, The Hague

Bernhardt, R. (Ed.)

1985 *Encyclopedia of Public International Law*, Instalment 8, Elsevier Science Publisher, B.V., Amsterdam

Council of Europe

2002 *Creation of a Charter of Intent on Clandestine Migration*, Report of the Rapporteur of the Committee on Migration, Refugees and Demography at

<http://assembly.coe.int/Documents/WorkingDocs/Doc02/EDOC9522.htm>

Council of European Union

2002 *Proposal for a Return Action Programme, Annex 1: Indicative Definitions*, Brussels at <http://register.consilium.eu.int/pdf/en/02/st14/14673en2.pdf>

European Commission, Justice and Home Affairs

Glossary http://www.europa.eu.int/comm/justice_home/glossary/glossary_welcome_en.htm

European Commission, European Migration Network

2012 *Asylum and Migration Glossary 2.0*

http://ec.europa.eu/dgs/home-affairs/what-we-do/networks/european_migration_network/docs/emn-glossary-en-version.pdf

Garner, B.A. (Ed.)

1999 *Black's Law Dictionary* (Seventh Edition), West Group, St. Paul, Minnesota

Ghosh, B.

1998 *Huddled Masses and Uncertain Shores: Insights into Irregular Migration*, International Organization for Migration, Martinus Nijhoff

Grant, J.P., and J.C. Barker (Ed.)

2004 *Parry and Grant Encyclopaedic Dictionary of International Law* (Second Edition), Oceana Publications, Inc. Dobbs Ferry, New York

International Labour Organization

1997 *International Migration Statistics*, Annex: Labour Migration Statistics Questionnaire's Terms and Concepts at

<http://www.ilo.org/public/english/protection/migrant/download/ilmdbqs.pdf>

2001 *Report on Stopping Forced Labour*, Global Report Under the Follow-up to the ILO Declaration on Fundamental Principles and Rights at Work, International Labour Conference, 89th Session, Report I (B)

International Organization for Migration

1970s *Glossary: Definitions and Explanations of Terms and Abbreviations Used in Migration Work*, Intergovernmental Committee for European Migration, Geneva

1997 "Terminology and Typologies of Migration", *IOM Overview of International Migration*, Migration Management Training Programme, IOM Geneva

2001 "The Role of Regional Consultative Processes in Managing International Migration", *IOM Migration Research Series*, No. 3, Geneva

2003 *World Migration 2003: Managing Migration, Challenges and Responses for People on the Move*, Volume 2, IOM World Migration Report Series, Geneva

Perruchoud, R.

1992 "Persons falling under the Mandate of the International Organization for Migration (IOM) and to Whom the Organization may Provide Migration Services", *International Journal of Refugee Law*, Vol. 4, No. 2, Oxford University Press, Oxford

1998 "Migration Terminology", *International Migration Policy and Law Courses*, Budapest, Hungary

United Nations

1998 *Recommendations on Statistics of International Migration, Revision 1, Glossary*, UN; also at http://unstats.un.org/unsd/publication/SeriesM/SeriesM_58rev1E.pdf

United Nations Commission on Population and Development

1998 *Concise report on world population monitoring, 1997: International Migration & Development*, UN, New York

United Nations Educational, Scientific and Cultural Organization

Glossary of Migration Related Terms

http://portal.unesco.org/shs/en/ev.phpURL_ID=1256&URL_DO=DO_TOPIC&URL_SECTION=201.html

United Nations High Commissioner for Refugees

1979 *Handbook on Procedures and Criteria for Determining Refugee Status under the 1951 Convention and the 1967 Protocol relating to the Status of Refugees*, UNHCR Geneva

Van Krieken, P. J. (Ed.)

2004 *The Consolidated Asylum and Migration Acquis: The EU Directives in an Expanded Europe*, T.M.C. Asser Press, The Hague

ლ. ალექსიძე (რედ.), ლ. გიორგაძე, მ. კვაჭაძე და სხვ.

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი: ლექსიკონი-ცნობარი, თბილისი, 2005 წ.

დოკუმენტური წყაროები

ჰააგის (IV) კონვენცია სახმელეთო ომის კანონებისა და ჩვეულებების შესახებ და მისი დანართი: სახმელეთო ომის კანონებისა და ჩვეულებების რეგულაციები, 1907 წ. (ძალაში შევიდა 1910 წლის 26 იანვარს) [187 Consol. T.S. 227]

(Convention (IV) respecting the Laws and Customs of War on Land and its annex: Regulations concerning the Laws and Customs of War on Land, The Hague, 1907 (entry into force 26 January 1910) [187 Consol. T.S. 227])

კონვენცია მონობის შესახებ (კონვენცია მონობით ვაჭრობისა და მონობის აღმოფხვრის შესახებ), 1926 წ. (ძალაში შევიდა 1927 წლის 9 მარტს), შესწორებები შეტანილი იქნა 1953 წლის ოქმის მიხედვით (ძალაში შევიდა 1953 წლის 7 დეკემბერს) [182 U.N.T.S. 51]

(Slavery Convention (Convention to Suppress the Slave Trade and Slavery), 1926 (entry into force 9 March 1927), [60 LNTS 253], as amended by Protocol Amending the Slavery Convention, 1953 (entry into force 7 December, 1953) [182 U.N.T.S. 51])

კონვენცია მოქალაქეობის კანონებთან დაკავშირებულ რიგ საკითხებზე, 1930 წ. (ძალაში შევიდა 1937 წლის 1 ივლისს)

(Convention on Certain Questions Relating to the Conflict of Nationality Laws, 1930 (entry into force 1 July 1937))

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის #C29 კონვენცია იძულებითი შრომის შესახებ, 1930 წ. (ძალაში შევიდა 1932 წლის 1 მაისს, გაუქმდა 1957 წლის #C105 კონვენციით)

(ILO Convention No.C29 Concerning Forced Labour, 1930 (entry into force 1 May 1932; abolished by Convention No.C105, 1957))

მონტევიდეოს კონვენცია სახელმწიფოთა უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ, 1933 წ. (ძალაში შევიდა 1934 წლის 26 დეკემბერს)

(Montevideo Convention on Rights and Duties of States, 1933 (entry into force 26 December 1934))

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, 1945 წ. (ძალაში შევიდა 1945 წლის 24 ოქტომბერს)

(Charter of the United Nations, 1945 (entry into force 24 October 1945))

კონვენცია გაერო-ს პრივილეგიებისა და იმუნიტეტების შესახებ, 1946 წ. (ძალაში შევიდა 1946 წლის 17 სექტემბერს) [1 U.N.T.S. 15]

(Convention on the Privileges and Immunities of the United Nations, 1946 (entry into force 17 September 1946) [1 U.N.T.S. 15])

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, 1948 წ. [G.A. res. 217A (III)].

(Universal Declaration of Human Rights, 1948 [G.A. res. 217A (III)])

ამერიკული დეკლარაცია ადამიანის უფლებებისა და მოვალეობების შესახებ, 1948 წ. [O.A.S. Res. XXX]

(American Declaration of the Rights and Duties of Man, 1948 [O.A.S. Res. XXX])

კონვენცია გენოციდის დანაშაულის აღკვეთისა და დასჯის შესახებ, 1948 წ. (ძალაში შევიდა 1951 წლის 12 იანვარს) [78 U.N.T.S. 277]

(Convention on the Prevention and Punishment of the Crime of Genocide, 1948 (entry into force 12 January 1951) [78 U.N.T.S. 277])

ჟენევის IV კონვენცია ომის დროს სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის შესახებ, 1949 წ. (ძალაში შევიდა 1950 წლის 21 ოქტომბერს) [75 U.N.T.S. 287]

IV Geneva Convention Relative to the Protection of Civilian Persons in Time of War, 1949 (entry into force 21 October 1950) [75 U.N.T.S. 287])

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, 1950 წ. (ძალაში შევიდა 1953 წლის 3 სექტემბერს) [213 U.N.T.S. 222].

(European Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms, 1950 (entry into force 3 September 1953) [213 U.N.T.S. 222])

კონვენცია ლტოლვილთა სტატუსის შესახებ, 1951 წ. (ძალაში შევიდა 1954 წლის 22 აპრილს) [189 U.N.T.S.137]

(Convention Relating to the Status of Refugees, 1951 (entry into force 22 April 1954) [189 U.N.T.S.137])

კონვენცია მოქალაქეობის არმქონე პირთა სტატუსის შესახებ, 1954 წ. (ძალაში შევიდა 1960 წლის 6 ივნისს) [360 U.N.T.S. 117]

(Convention Relating to the Status of Stateless Persons, 1954 (entry into force 6 June 1960) [360 U.N.T.S. 117])

დამატებითი კონვენცია მონობის, მონებით ვაჭრობის და მონობის, მსგავსი ნორმებისა და პრაქტიკის აკრძალვის შესახებ, 1956 წ. (ძალაში შევიდა 1957 წლის 30 აპრილს) [226 U.N.T.S. 3].

(Supplementary Convention on the Abolition of Slavery, the Slave Trade, and Institutions and Practices Similar to Slavery, 1956 (entry into force 30 April, 1957) [226 U.N.T.S. 3])

ევროპის სოციალური ქარტია, 1961 წ. (ძალაში შევიდა 1965 წლის 26 თებერვალს) [529 U.N.T.S. 89]

(European Social Charter, 1961 (entry into force 26 February 1965) [529 U.N.T.S. 89])

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის IV დამატებითი ოქმი, 1963 წ. (ძალაში შევიდა 1968 წლის 2 მაისს) [E.T.S. No. 46]

(Protocol IV to the 1950 European Convention of Human Rights, 1963 (entry into force 2 May 1968) [E.T.S. No. 46])

ვენის კონვენცია საკონსულო ურთიერთობის შესახებ, 1963 წ. (ძალაში შევიდა 1967 წლის 19 მარტს) [596 U.N.T.S 261]

(Vienna Convention on Consular Relations, 1963 (entry into force 19 March 1967) [596 U.N.T.S 261])

საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, 1965 წ., (ძალაში შევიდა 1969 წლის 4 იანვარს) [660 U.N.T.S. 195]

(International Convention on the Elimination of All Forms of Racial Discrimination, 1965 (entry into force 4 January 1969) [660 U.N.T.S. 195])

სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი (ICCPR), 1966 წ. (ძალაში შევიდა 1976 წლის 23 მარტს) [999 U.N.T.S. 171]

International Covenant on Civil and Political Rights (ICCPR), 1966 (entry into force 23 March 1976) [999 U.N.T.S. 171])

ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტი, 1966 წ. (ძალაში შევიდა 1976 წლის 3 იანვარს) [993 U.N.T.S. 3]

(International Covenant on Economic, Social and Cultural Rights, 1966 (entry into force 3 January 1976) [993 U.N.T.S. 3])

ოქმი ლტოლვილთა სტატუსის შესახებ, 1967 წ. (ძალაში შევიდა 1967 წლის 4 ოქტომბერს) [606 U.N.T.S. 267].

(Protocol Relating to the Status of Refugees, 1967 (entry into force 4 October 1967) [606 U.N.T.S. 267])

ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია, 1969 წ. (ძალაში შევიდა 1978 წლის 18 ივლისს) [1144 U.N.T.S. 123]

(American Convention on Human Rights, 1969 (entry into force 18 July 1978) [1144 U.N.T.S. 123])

ვენის კონვენცია სახელშეკრულებო სამართლის შესახებ, 1969 წ. (ძალაში შევიდა 1980 წლის 27 იანვარს) [1155 UNTS 331]

(Vienna Convention on the Law of Treaties, 1969 (entry into force 27 January 1980) [1155 UNTS 331])

ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია, 1978 წ. (ძალაში შევიდა 1979 წლის 18 ივლისს) [1144 U.N.T.S. 123]

(American Convention on Human Rights, 1978 (entry into force 18 July 1979) [1144 U.N.T.S. 123])

კონვენცია ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, 1979 წ. (ძალაში შევიდა 1981 წლის 3 სექტემბერს) [1144 U.N.T.S. 123]

(Convention for the Elimination of All Forms of Discrimination Against Women, 1979 (entry into force 3 September 1981) [1249 U.N.T.S. 13])

ადამიანის და ხალხთა უფლებების აფრიკული (ბანჟულის) ქარტია, 1981 წ. (ძალაში შევიდა 1986 წლის 21 ოქტომბერს)

(African (Banjul) Charter on Human and Peoples' Rights, 1981 (entry into force 21 October 1986))

კონვენცია წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ადამიანის ღირსების დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ, 1984 წ. (ძალაში შევიდა 1987 წლის 26 ივნისს) [Doc. A/RES/39/46]

(Convention Against Torture and Other Cruel, Inhuman or Degrading Treatment or Punishment, 1984 (entry into force 26 June 1987) [Doc. A/RES/39/46])

შენგენის შეთანხმება, 1985 წ. და შენგენის ხელშეკრულების განმახორციელებელი კონვენცია, 1990 წ. (ძალაში შევიდა 1993 წლის 1 სექტემბერს)
(Schengen Agreement, 1985 and the Convention Implementing the Schengen Agreement, 1990 (entry into force on 1 September 1993))

ბავშვის უფლებების დაცვის კონვენცია, 1989 წ., (ძალაში შევიდა 1990 წლის 2 სექტემბერს)
[Doc. A/RES/44/25]
(Convention on the Rights of the Child, 1989 (entry into force 2 September 1990) [Doc. A/RES/44/25])

შრომითი მიგრანტებისა და მათი ოჯახების წევრების უფლებათა დაცვის საერთაშორისო კონვენცია, 1990 წ. (ძალაში შევიდა 2003 წლის 1 ივლისს) [A/RES/45/158]
(International Convention on the Protection of the Rights of All Migrant Workers and Members of Their Families, 1990 (entry into force 1 July 2003) [A/RES/45/158])

დეკლარაცია ქალის მიმართ ძალადობის აღმოფხვრის შესახებ, 1993 წ. (A/RES/48/104)
(Declaration on the Elimination of Violence against Women, 1993 (A/RES/48/104))

ქვეყნის შიგნით გადაადგილების სახელმძღვანელო პრინციპები, 1998 წ. [Un Doc E/CN.4/1998/53/Add.2]
(Guiding Principles on Internal Displacement, 1998 [Un Doc E/CN.4/1998/53/Add.2])

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის #C182 კონვენცია ბავშვის შრომის უკიდურესი ფორმების აკრძალვისა და დაუყოვნებლივ აღმოფხვრის ღონისძიებების შესახებ, 1999 წ. (ძალაში შევიდა 2000 წლის 19 ნოემბერს)
(ILO Convention No.C182 Concerning Worst Forms of Child Labour, 1999 (entry into force 19 November 2000))

საერთაშორისო კონვენცია ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის შესახებ, 1999 წ. (ძალაში შევიდა 2002 წლის 10 აპრილს) [A/RES/54/109]
(International Convention for the Suppression of the Financing of Terrorism, 1999 (entry into force 10 April 2002) [A/RES/54/109])

გაერო-ს კონვენცია ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ, 2000 წ. (ძალაში შევიდა 2003 წლის 29 სექტემბერს) [G.A. res. A/RES/55/25]
United Nations Convention against Transnational Organized Crime, 2000 (entry into force 29 September 2003) [G.A. res. A/RES/55/25])

ოქმი ადამიანების, განსაკუთრებით, ქალებით და ბავშვებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ – გაერო-ს ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის საწინააღმდეგო კონვენციის დამატება, დანართი II, 2000 წ. (ძალაში შევიდა 2003 წლის 25 დეკემბერს) [G.A. res. A/RES/55/25]
(Protocol to Prevent, Suppress and Punish Trafficking in Persons, Especially Women and Children, Supplementing the United Nations Convention Against Transnational Organized Crime, Annex II, 2000 [G.A. res. A/RES/55/25], (entry into force 25 December 2003))

ოქმი მიგრანტთა სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო გზებით უკანონო გადაყვანის წინააღმდეგ – გაერთიანებული ერების ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის საწინააღმდეგო კონვენციის დამატება, დანართი III, 2000 წ. (ძალაში შევიდა 2004 წლის 28 იანვარს) [G.A. res. A/RES/55/25]

(Protocol Against the Smuggling of Migrants by Land, Sea and Air, Supplementing the United Nations Convention Against Transnational Crime, Annex III, 2000 [G.A. res. A/RES/55/25], (entry into force 28 January 2004))